



ციხეხანი

№ 59 / 17 - 23 იანვარი / 2011

ტომ-კლარჯეთი მუსლიმური სალოცავების წილ გვ. 08
 ინტერვიუ გიგა ბოკერიასთან გვ. 11
 სკანდალი შვიდი წელით გვ. 14
 მაესტროვ გვ. 24
 მთავრობის გარანტიები „პირველ კავკასიურს“ გვ. 27
 ფსიქიკა ოთხ კედელს შორის გვ. 30
 ოთხი თვე თანამედროვე მეკობრეების ტყვეობაში გვ. 33
 სახელმწიფოს მიერ აკლესიის დაფინანსების შესახებ გვ. 38
 რაო და მარადონაო გვ. 47

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



სახანსჯოხთო ცაბიხინთი

გვ. 18

FM
სენტი
98.0





გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა 1930 წელს

ნომერში:

- 02 რედაქტორის სვეტი
- 04 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 06 მოკლედ
- 08 **ორი აზრი**
უნდა აღდგეს თუ არა ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლები საქართველოში მუსლიმური სალოცავების აშენების სანაცვლოდ?
ნესტან თათარაშვილი VS მურმან დუმბაძე
კონფლიქტები
- 10 რუსული რუბლის კვალდაკვალ **ინტერვიუ**
- 11 „ეს კითხვა მაშინ გახდება აქტუალური, როცა მოვა არჩევნების დრო“
გიგა ბოკერია

- ეკონომიკა**
- 14 სკანდალი შვიდი წელით **მთავარი თემა**
- 18 სატრანსპორტო ლაბირინთი **მედია**
- 24 მასეტრო 3
- 27 **ინტერვიუ**
მთავრობის გარანტიები „პირველ კავკასიურს“
რობერტ პარსონსი
ადამიანის უფლებები
- 30 ფსიქიკა ოთხ კედელს შორის
- 33 ოთხი თვე თანამედროვე მეკობრეების ტყვეობაში **ფოტოპროექტი**
- 36 „ზარია ვოსტოკას“ დაისი **რელიგია**
- 38 სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების შესახებ

- თვალსაზრისი**
- 41 ჯინის კოეფიციენტი
მარკ მალენი
- 43 გახდება თუ არა ფეისბუქი ახალი ფინანსური კრიზისის მიზეზი
გიორგი ცხადაია
მედიაკრიტიკა
- 45 31 დეკემბრის ექსტრემალური ღამე **სპორტი**
- 47 რაო და მარადონაო **ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 48 მე რომ თბილისში პირველად ჩამოსული უცხოელი ვიყო
- 50 **თვალსაზრისი**
დაგვიანებული კომენტარი ლაშა ბულაძე

გარეკანზე:
სატრანსპორტო ლაბირინთი
ფოტო: თემო ბარძიმაშვილი



უზრუნავი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლიბერალიზაცია-საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლიბერალიზაცია-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



პირველად სვანეთში, მგონი, 2000 წელს ვიყავი, ისიც ზამთარში, თებერვალში, მაშინ, როცა სვანები თავისიანებსაც არ ელოდნენ ზუგდიდიდან საათობით სავალ, თოვლით დაფარულ, კლდეებზე გადაკიდებულ ვიწრო, ოკრო-ბოკრო გზებზე. ჩვენ რომ სვანეთისკენ მივდიოდით, ჩვენს წინ ახალგაზრდა გოგოს ცხედარს მისვენებდნენ და 15 წუთში ერთხელ ზარს სცემდნენ. ეს გლოვა და ნისლი, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება, ისევე, როგორც უშბა, რომლის წვერი ცას უერთდება და მგლები, დილის თოვლში რომ ტოვებდნენ ნაკვალევს. მაინტერესებს, როგორი გახდება სვანეთი – თამარ მეფის სახელობის მესტიის საერთაშორისო აეროპორტით და სათხილამურო ტრასებით. ისევ შეძლებს ის ადამიანების ადამიანებად ქცევას თუ სამომხმარებლო სავანედ იქცევა?

პანკისის ხეობაში მეგობრები მეგულებიან, იმ დროიდან მოყოლებული, როცა ხეობა, საერთაშორისო მედიის ცნობით, „ალ-ქაიდას“ ტერორისტებს იფარებდა და ჩეჩნეთიდან დევნილებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა. მაშინ გავიცანი ქალები, რომლებიც თავიანთ ქმრებს მეორე და მესამე ცოლებს უზიარებდნენ, მაგრამ სიყვარული იცოდნენ, შესაძლოა „ჩვენზე“ მაგრად. გავიცანი კაცებიც, რომლებიც ჩეჩენ ძმებს გლოვობდნენ და საომრად ემზადებოდნენ. მაინტერესებს, როგორ ცხოვრობს პანკისის ხეობა მას შემდეგ, რაც ის „ცხელი წერტილი“ აღარ არის? იციან, ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი? ან კი აქვს მათთვის ამას მნიშვნელობა?

გუშინ მოვიარე მთაწმინდა და სოლოლაკი, ისტორიული ძეგლების დათვალიერება-ძიებაში, მას მერე რაც „ზარია-ვოსტოკას“ შენობის წერევის ვაპროტესტებდით, „თბილისის ჰამქართან“ ერთად. ვნახე, რომ არსებობს ქალაქი, რომელსაც მე თითქმის არ ვეხები, მაგრამ რომელიც აყალიბებს ჩემს იდენტობას. მაინტერესებს, მოახერხებს თუ არა „ჰამქარი“ ჩოხა-ახალუხით თავმონონებასთან ერთად, რეალურად დაიცვას ამ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობა და იერსახე? შეძლებს ჩვენი ქალაქის ქსოვილის და მიკროსამყაროების დაცვას ხელისუფლების მესაკუთრული პოლიტიკისაგან?

დღეს გავიცანი 28 წლის მცირე მენარმე, რომელსაც 90,000 ლარიანი საგადასახადო ჯარიმა დააკისრეს. ის მხოლოდ 2000 ლარიან დავალიანებას აღიარებს და უარს ამბობს სახელმწიფოსთან გარიგდეს. ციხეში გამოშვით, თუ გინდათ, ოღონდ ამაზე მეტს არ გადაიხდით. არ გადაიხდის და ყადაღას დაადებენ და ბიზნესიც გაუჩერდება. შეუძლია იჩივლოს სასამართლოში, მაგრამ თუ სამართალს მიაღწია, ეს მის კომპანიას უკვე ველარაფერს უშველის. ასე და ამგვარად, ქვეყანას ერთით ნაკლები მცირე მენარმე ეყოლება. მაინტერესებს, მოვახერხებთ თუ არა იმას, რომ მტკიცების ტვირთი მენარმიდან სახელმწიფოზე გადავიდეს, რომ სახელმწიფომ ამტკიცოს მენარმის დანაშაული და არა – პირიქით? მოვახერხებთ, რომ დავიცვათ ბიზნესი პოლიტიკური წნეხისაგან?

საქმე ბევრია, მაგრამ დროც ბევრია. პოლიტიკური ისტებლიშმენტი საინტერესოს არაფერს გვთავაზობს და პოლიტიკური „ხმაურიც“ არ გვიშლის ხელს, შეგვიძლია ამაზეც არ მოვცდეთ.

არჩევანი ჩვენზეა და ამ მხრივ, 2011 წელს ერთი ნაბიჯით წინ ვხვდებით. მთავარია, რომ დრო მხოლოდ ჩვენზე მუშაობს, უშბა კი ისევ დგას.

შორენა შავერდაშვილი

რედაქტორი: შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი: სოფო ქაჯავა / კავკასია და კონფლიქტები: სოფო ბუკია / საზოგადოება: თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები: ნანა საჯავა / ვებგვერდის რედაქტორი: ნინო ჯაფარიძე

შპს რედაქტორი: მათა ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაკიძე, ნათია გულიაშვილი

კონსტრუქციები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიანი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდია, მოლი კორსო, ლექსო ჩქარეული, სიმონ ჯანაშია, თამარ ამხაშვილი, დიანა ჩაჩუა, ალექსანდრ ბურიჩაქო, ოლგა ალიონოვა, ნათია ახალაშვილი, რატი ამალობელი

რედაქტორი: ფოტო-რედაქტორი: ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი: პაატა შამუგია / კორექტორი: თამარ ლონდაძე

ბაზმომცემლობა: პროექტის მენეჯერი: ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი: ლელა მუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი: ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი: ზვიად მენგელია

ბაზმომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა ბაზმომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

წიგნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

www.liberali.ge

პროკრედიტ ბანკი გაიბეთ მეტი საბანკო მომსახურების შესახებ!



ბანკის საქმიანობას მისი ბიზნეს სტრატეგია და შიდა პოლიტიკა წარმართავს, მაგრამ ნებისმიერი კომერციული საქმიანობისას ბანკი თავისი მისიის ერთგული უნდა რჩებოდეს და ამავდროულად, როგორც ფინანსური შუამავალი, კლიენტების ნდობას იმსახურებდეს. პროკრედიტ ბანკის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის თანახმად, მომხმარებელსა და საფინანსო ინსტიტუტებს შორის აქტიური და პარმონიული ურთიერთობისთვის აუცილებელია ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც გულდასმით და ეტაპობრივად ჩამოყალიბებას საჭიროებს. პროკრედიტ ბანკის გამჭვირვალობის კამპანიის მიზანი ფინანსურ საკითხებში საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდაა, რაც ორმხრივად სასარგებლო პროცესია; ინფორმირებული მომხმარებელი გონივრულად (და არა სპონტანურად) იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი საბანკო პროდუქტი შეესაბამება ყველაზე მეტად მის მოთხოვნებს, ხოლო ის საფინანსო დაწესებულება კი, რომელიც მას ამ საკითხებში კარგად გაარკვევს, მომხმარებლისათვის კიდევ უფრო მეტად სანდო და მასთან მეტად დაახლოებული ხდება. პროკრედიტ ბანკმა მოსახლეობის ფინანსური განათლების გაღრმავებისკენ მიმართული კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. საქართველოში მოღვაწეობის მანძილზე ბანკმა არაერთხელ აჩვენა, რომ მისთვის მთავარი ამოსავალი კლიენტებთან ურთიერთნდობის საფუძველზე დამყარებული ურთიერთობაა. თავისი გამჭვირვალე საქმიანობით ბანკი ამ ნდობას ნამდვილად ამართლებს. როგორც სოციალურად პასუხისმგებელი ბანკი, პროკრედიტ ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს კლიენტებისათვის მომსახურების პირობების ნათლად და მკაფიოდ განმარტებას და ყველა მოსალოდნელი ხარჯის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას. კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით და მისი მაქსიმალური გათვითცნობიერებით ბანკი აღწევს ბალანსს ფასსა და კლიენტის კმაყოფილებას შორის.

საბანკო მომსახურებების შესახებ ზოგადი ცოდნის მისაღებად ბანკმა საგანგებო ბროშურაც კი გამოსცა, სადაც მარტივი ენითაა აღწერილი ის ფინანსური ოპერაციები, რაც კლიენტმა კონკრეტული პროდუქტით სარგებლობამდე უნდა იცოდეს. ბროშურა „რა უნდა ვიცოდეთ საბანკო მომსახურების შესახებ“ ბანკებთან ურთიერთობაში გარკვეულ მეგზურობასაც გაგინვით და მომსახურების შერჩევისას ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაშიც დაგეხმარებათ, რომელიც თქვენს მოთხოვნებს ყველაზე მეტად შეესაბამება.

ბროშურაში, განმარტებულია რა არის ბანკი და რა მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს.

როგორ უნდა შეარჩიოთ თქვენთვის შესაფერისი ბანკი? გირჩევთ, ბანკი სტაბილურობის მიხედვით შეარჩიოთ, რასაც მისი ფინანსური მდგომარეობა და კაპიტალი განსაზღვრავს. გახსენებთ იმასაც, რომ ბანკში პროფესიონალური და მაღალხარისხიანი მომსახურება უნდა მიიღოთ. ბანკის თანამშრომლები, მარტივი და გასაგები ენით უნდა გისხნიდნენ მომსახურების კატეგორიებსა და პროდუქტებს. ბანკის არჩევაში დიდ როლს ასრულებს მისი ადგილმდებარეობაც.

ბროშურაში დანვრილებითაა განმარტებული, თუ რა უნდა ვიცოდეთ საბანკო ანაბრების შესახებ. ზოგადად ვიცით, რომ ანაბარი ერთ-ერთი საბანკო პროდუქტია, რომელიც ფულის დაგროვების და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მიღების შესაძლებლობას გვაძლევს. მაგრამ რა ტიპის ანაბრები (შემნახველი თუ ვადიანი) არსებობს, ან როგორ უნდა შეარჩიოთ თქვენთვის შესაფერისი პროდუქტი? ამის თაობაზე ინფორმაციას პროკრედიტ ბანკის მიერ გამოცემულ ბროშურაშიც ამოიკითხავთ. ბროშურა ასევე გთავაზობთ ინფორმაციას კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საბანკო მომსახურების – სესხის შესახებ. თუ როგორ ხდება მისი ოდენობის განსაზღვრა, რა ტიპის სესხები არსებობს და რა აუცილებელი გარემოებები უნდა გაითვალისწინოთ სესხის შერჩევისას. აქვე წაიკითხავთ, თუ როგორ იღებს ბანკი გადაწყვეტილებას სესხის გაცემაზე; რა ხარჯები უკავშირდება სესხის აღებას, რა უნდა ვიცოდეთ ორმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ და რა ძირითადი ფუნქციები აქვს საკრედიტო მონაცემთა ბაზას – კრედიტინფოს. ასევე მიიღებთ საჭირო ცნობებს **საბანკო ოპერაციების, სადებეტო და საკრედიტო ბარათის** შესახებაც.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტსა თუ ოპერაციაზე ზოგადი ინფორმაციის მიღება პროკრედიტ ბანკის მიერ გამოცემული ბროშურის მეშვეობით უკვე შეგიძლიათ. ამით საკუთარ დროსაც დაზოგავთ და თქვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხს ერთი ბეჭდვითი გამოცემიდან მიიღებთ.

პროკრედიტ ბანკი საკუთარ მომხმარებელს გამჭვირვალე და მაღალხარისხიან საბანკო მომსახურებას სთავაზობს. დასვით შეკითხვები ნებისმიერ საბანკო პროდუქტსა თუ ოპერაციაზე და პროკრედიტ ბანკის მაღალკვალიფიციური კადრებისგან ამომწურავ პასუხებსაც მიიღებთ. ბანკის ეს ინიციატივა უდავოდ ხელს შეუწყობს საბანკო საკითხებში ფართო საზოგადოების ინფორმირებულობას, რაც ოჯახის ბიუჯეტის გონივრულ მართვაში, მოკლე და გრძელვადიანი ფინანსური გეგმების გონივრულად, დანაკარგების გარეშე განხორციელებაში გამოიხატება და საბოლოო ჯამში ქართული საზოგადოების კეთილდღეობაზე აისახება.

სსპა საქართველო

ის, რაც ტელევიზორში ჩანს, ტყუილი საქართველოა ან ტყუილია საქართველოს შესახებ

ნინო ბექიშვილის ბლოგი



„სხვა საქართველო სად არის?“ – ამ რიტორიკულ ფრაზას დღეს ჩემთვის ძალიან კონკრეტული პასუხი აქვს – სხვა საქართველო ტელევიზორის ყუთშია. სწორედაც რომ იქაა, სხვაგან არსად. სხვანაირია ის ქვეყანა, სადაც მე და თქვენ და ჩვენი ოჯახები ცხოვრობენ. სხვანაირია ის, რასაც ტელევიზორში ვხედავთ. ამ ორ ქვეყანაში განსხვავებული ამბები ხდება. ვილატები იმ, ტელევიზორის საქართველოს ვირტუალურს უწოდებენ. კი, ბატონო, თანახმა ვარ – იყოს ვირტუალური, არაფერი მაქვს საინანაღმდეგო.

ისე, გამოგიტყდებით, მიყვარს, როცა უფრო ზუსტი სახელები ერქმევა მოვლენებს და უკვე არც კატეგორიულობისა მეშინია – ის, რაც ტელევიზორში ჩანს, ტყუილი საქართველოა ან ტყუილია საქართველოს შესახებ. ხან ცხადია

ეს ტყუილი, ხანაც ოსტატურად გამოსვლით – ისე, რომ ვერც ვხვდებით, სად გადის ზღვარი ტყუილსა და სიმართლეს შორის. უბრალოდ, ვერც წარმოვიდგინებ.

რამდენიმე მამალ ტყუილს გავიხსენებ:

7 ნოემბრის შემდეგ ტელევიზორმა თქვა, რომ ლევან ბერძენიშვილი რუსეთის აგენტი. მაშინ, შვიდი ნოემბრის შემდეგ ტელევიზორმა ბევრი ტყუილი თქვა, მაგრამ ეს ერთი იყოს ნიმუშად. ლევან ბერძენიშვილს სასამართლოს გზით არ უცდია შელახული ღირსების აღდგენა. მიხვდებით, რატომაც.

აგვისტოს ომის დროს, მაშინ, როცა ქართული ტელევიზიები გვარწმუნებდნენ, რომ ცხინვალის რეგიონს ჩვენ ვაკონტროლებთ, ოსების ბანდ-ფორმირებები და რუსული ჯარი ქართულ ტე-

ლევიზიებს მინდობილ ჩვენს მოსახლეობას ანიოკებდა.

8 აგვისტოს მერე ტელევიზორში ჰააგიდან დაბრუნებულმა მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ საქართველოს სარჩელის წინასწარი განხილვა დაიწყო, რუსეთს შენიშვნები მისცა, დაგმო რუსეთი, მოუწოდა რუსეთს და ა. შ. ვუყურებდი ტელევიზორს, თან სასამართლოს ვებგვერდზე ვკითხულობდი მათ დასკვნას, რომელიც საქართველოს მიმართაც საკმაოდ მკაცრი იყო. ცხადია, მინისტრის გამოსვლა უინტერნეტო და უინგლისურო ქართველებზე იყო გათვლილი. სავარაუდოდ, გაჭრა კიდეც და ცოტა ხნით მაინც დავიჯერეთ, რომ ომი მოვიგეთ.

მერეც იყო და ყოველდღეა ტელევიზორში ტყუილი. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ამ ტყუილს და მასთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიებიც ვისწავლეთ.

ვისაც სსრკ-ში გვიცხოვრია, რომელი ტყუილით გაგვაკვირვებენ?! მაშინაც ისევე, როგორც დღეს, ტელევიზორის ყურება არ შეიძლებოდა. ცხადია, მაშინ ტყუილი უფრო ტოტალური და ყოველისმომცველი იყო და არც „მაესტრო“ და აქუბარდია არსებობდა. აქუბარდია, რომლის ყურება და მოსმენა მიზეზთა გამო მე არ შემიძლია, ჩვენი დროის გმირია – ვერაფრით ვხვდები, წლიდან წლამდე როგორ არ იცვლება (არ ვსდევ უამთა ცვლას!) და მთავარი – რა მანქანებით ახერხებს ეთერში დარჩენას. ძალიან რომ მოვინდომოთ, ალბათ, ამ მოვლენასაც მოეძებნება ახსნა. მაგრამ შევეშვათ აქუბარდიას, ბოლოს და ბოლოს, უკვე წლებია, მის ეთერში ისმის ის ყველაფერი, რასაც ნაციონალური

მაუწყებლები გულდასმით მალავენ. თანაც, მარტო კაცია და მარტო თბილისში მაუწყებლობს.

კიდევ ერთი – მაშინ, სსრკ-ში ასეთი რამ რომ დამენერა, რასაც ახლა ვნერ, ციხე არ ამცდებოდა. მაშინ ეს პოლიტიკური დანაშაული იქნებოდა, პოლიტიკური დამნაშავეებისთვის კი ცალკე ბანაკები იყო, სადაც, როგორც პატარაობაში ვიცოდი, მერაბ კოსტავა იხდიდა სასჯელს და შიმშილობდა. პოლიტიკური პროტესტის ამ ყველაზე რადიკალურ ზომას დღევანდელ საქართველოშიც მიმართავენ – ქსნის კოლონიაში ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრები შიმშილობდნენ, მკურნალობაზე ხელი არ მიუწვდებოდათ და წამლებს ითხოვდნენ, სხვას არაფერს. მემორიალთან მოშიმშილე ომის ვეტერანების ამბავიც გეცოდინებათ. ოლონდ, ეს ამბები ტელევიზორიდან არ გამიგია. მოშიმშილე პატიმრებზე ჩვენს არხებს, მათ შორის, არც საზოგადოებრივს, კრინტი არ დაუძრავთ, ვეტერანების აქცია კი დაშლის შემდეგ გააშუქეს, როცა ამ ყველაფერს ქართული საზოგადოების და, რაც მთავარია, ამერიკის ელჩის ჯონ ბასის აღშფოთება მოჰყვა.

ვინც გინდა, ის დაერბიათ და აღშფოთებულიყო, საბჭოთა ტელევიზორი როგორ დაძრავდა კრინტს მერაბ კოსტავას შიმშილობის შესახებ? მოკლედ, პროგრესი ნამდვილად არის.

მაშინ რალატომ მახსენებს ის დაწყებული სსრკ თავს? რამდენიმე დღის წინ სადილობისას „კურიერს“ ვუყურე. რაც ახალი წელი დაიწყო, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები ბავშვთა სახლებში და მოხუცებულთა თავშესაფარებში მათთვის ახალი წლის მისალოცად დაიარებიან. ან პირიქით – ბავშვები მიჰყავთ თავისთან და ზეიმებს უწყობენ. ადრე იტყოდნენ, სოცმეჯიბრი გამოცხადდაო, ახლაც რალაც ეგეთი აქვთ, ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ კანფეტს მიუტანს სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ამაში არაფერია დასაძრახი. მაგრამ ცოტა ხნის წინ

„არატელევიზორის“ საქართველოში სახალხო დამცველის ანგარიში გამოქვეყნდა და სახელმწიფო ინსტიტუტებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ბავშვების შესახებ. ანგარიშში მძიმე რეალობა ჩანს. დაახლოებით ისეთი, როგორც რუბენ გალიეგოს ნიგშია „თეთრით შავზე“. ეს ნიგნი საბჭოთა ინვალიდ ბავშვთა სახლებზე და 40–30 წლის წინანადელ ამბებს აღწერს. ვკითხულობდი სახალხო დამცველის ანგარიშს და გული მენურებოდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რომლებიც ინსტიტუტებში დღეს ხვდებიან, იმის შემდეგ დიდად არც არაფერი შეცვლილა. ისევ ძალადობა, ისევ სიცივე, ისევ შიმშილი...

ჰო, ასევე აჩვენებს სიუჟეტი იმის შესახებ, რომ იუსტიციის სამინისტრომ მათი საქმიანობის ობიექტური გაშუქებისთვის ჟურნალისტები დააჯილდოვა. სამინისტრო არ შემცდარა – „რუსთავი 2“-ის, „იმედისა“ და „რეალტივის“ ჟურნალისტები ნამდვილად ობიექტურად აშუქებენ იმას, რასაც სამინისტროების პრესცენტრები მიაწოდებენ ხოლმე. ოლონდ ეგაა, კითხვები არ უჩნდებათ. მაგალითად, იმაზე, რაც საპროცესო გარიგების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დანერა თავის უკანასკნელ ანგარიშში. პასპორტებს ნამდვილად იოლად ვიღებთ, მაგრამ ამ ფაქტს შეუძლია იმის გადაფარვა, რომ პროკურატურის მხრიდან სასამართლო ზენოლას განიცდის? გამოდის, რომ ხელისუფლება და ჟურნალისტები შეხმატკბილებულად მუშაობენ. სრული იდილიაა.

სახელმწიფო გვიპირდება, მსხვილი მედიამფლობელების შესახებ ყველაფერს გაიგებთო. დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ, რაც „ყველაფერს გაიგებთ“, დიდად არც არაფერი შეიცვლება. ტელევიზიები სარედაქციო პოლიტიკას არ შეცვლიან. ჩვენ მფლობელების ზუსტი ვინაობა გვეცოდინება, სახელმწიფო საერთაშორისო ორგანიზაციებს უპა-

ტაკებს, თქვენი მოთხოვნა შევასრულებთო და სანამ ისინი რაიმეს უფრო ეფექტურს მოიგონებენ, აქაური მედიის გასაადამიანურებლად, „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ ერთ არჩევნებს მოიგებს.

აი, წარმოვიდგენ ადამიანს, რომელიც სადღაც, საქართველოს კარგ, ლამაზ, მაგრამ ღარიბ სოფელში ცხოვრობს, ჟურნალ-გაზეთების საყიდელი ფული არა აქვს, კომპიუტერი თუ იყიდა, ინტერნეტზე საუბარიც ზედმეტია და რალა დარჩენია – ტელევიზორს უყურებს. ტელევიზორს ტყუილის გარდა, სხვა უფრო ცუდი რამეც შეუძლია – უხეშად და მარტივად რომ ვთქვათ – აშტერებს. ჩემთვის წარმოუდგენელია, ადამიანმა ამდენ „კურიერს“, „ქრონიკას“, „ჯგოსტარ-ბრავო-ნიჭიერს“ და კიდევ ბევრ შოუს და კიდევ უფრო ბევრ მექსიკურ-არგენტინულ საპნის ოპერას უყუროს და არ გამოშტერდეს. გამოშტერებაც ზუსტი ტერმინია – მოვლენების სალი აღქმა გეკარგება და სასურველს რეალობად ასაღებ და, რაც მთავარია, გემოვნება გიფუჭდება.

მგონია, რომ დავჯდებ და ერთი თვე ქართულ ტელევიზიებს კრიტიკული თვალის გარეშე ვუყურო, ვუყურო ისე, როგორც ჩვეულებრივმა ტელემყურებელმა, არც ინტერნეტში შევიდე და არც გაზეთები ვიკითხო, თვის ბოლოს, ალბათ, სხვა ადამიანი ვიქნები. მეცოდინება, როგორ შენდება და მშვენდება ჩემი ქვეყანა, მერე, ნელ-ნელა შევეჩვევი და დავიჯერებ ყველაფერს, რასაც ტელევიზორი მეტყვის. ეგ კი არა, მოვა არჩევნები და „ნაციონალურ მოძრაობას“ მივცემ ხმას – მერე რა, რომ ჩემამდე ჯერ არ მოუღწევია, დავიჯერებ, რომ სადღაც გაბრწყინებული, აშენებულ-დამშვენებული საქართველო არსებობს და ის ჩვენი ხელისუფლების „ხელედაკაპინებული“ მუშაობისა და „ქამრების შემოჭრის“ შედეგად შენდება.

ბოლოს, ალბათ, „ვაშასაც“ შემოვძახებ – „ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა შენებას!“

ფოტო: მათი წყალპური



ახასამთავრობოები ვახანების საქმის მონიშვნის აპიხაბენ

თორმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ვეტერანთა აქციის დარბევასთან დაკავშირებულ სპეციალურ განცხადებას. არასამთავრობოებმა ამ განცხადებით შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას 3 იანვარს ვეტერანების დარბევის საქმის ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდეს.

ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ხელმძღვანელის ქეთი ხუციშვილის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები გამოძიების სამოქალაქო მონიტორინგს გეგმავენ „გავარკვიოთ, რეალურად გამოვლინდებიან და დაისჯებიან თუ არა დამნაშავეები, თუ ეს იქნება მხოლოდ ფასადური, მაგალითად, ერთი-ორი პიროვნების გაშვება თანამდებობებიდან და ამით საქმის დამთავრება“, – განაცხადა ქეთი ხუციშვილმა.

გმირთა მოედანზე მოშიშპილე ომის ვეტერანების აქცია 3 იანვარს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაარბიეს და 11 მოშიშპილე დააკავეს. სასამართლომ მათ 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

ოცდაორი ომის ვეტერანი ახალ წელს გმირთა მოედანზე საძილე ტომრებში და ლურჯი ბრეზენტის ქვეშ შეხვდა. 1992-93 და 2008 წლების ომის ვეტერანები დალუპულ

გმირთა მემორიალთან 8 დღის განმავლობაში შიმშილობდნენ და ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას ითხოვდნენ.

აქციის დაშლის დროს პოლიციის ძალის შესაძლო გადამეტებასთან დაკავშირებით საკითხის შესწავლაზე განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიანიშვილმა გააკეთა. ამავე საქმისთვის სამსახურიდან დაითხოვეს პოლიციელი ოთარ გვენეტაძე, რომელმაც აქციის დაშლის დროს „ქართული პარტიის“ ერთ-ერთ წევრს ეკა მათიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პროკურატურას საქმის გამოძიების მოთხოვნით მიმართა სახალხო დამცველმა და „ქართულმა პარტიამ“. ვეტერანების დარბევას საქართველოში ამერიკის ელჩი ჯონ ბასიც გამოეხმაურა, მისი განცხადებით, პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებაზე საჭიროა საქმის „სერიოზული გამოძიება“ და მეორე მხრივ, აუცილებელია „გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები, რათა საზოგადოებაში ყველას ესმოდეს ის ძირითადი წესები, რომელიც ეროვნულ მონუმენტებთან საპროტესტო აქციების ჩატარებას ეხება“.

სახანაპიროს სასამართლო საჩივროს წინააღმდეგ საჩივრები ბაზანახია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს წინააღმდეგ 1500 სარჩელი დაიხურა. ეს არის ნაწილი იმ 3 000-მდე სარჩელისა, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა ევროპულ სასამართლოში რუსი ადვოკატების დახმარებით შეიტანეს. მოსარჩელები საქართველოს სახელმწიფოს ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევაში სდებდნენ ბრალს, მაგალითად – სიცოცხლის უფლების ხელყოფასა თუ არაჰუმანურ ან შეურაცხმყოფელ მოპყრობაში.

სანაპიროს ალსახაბა

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ყოფილი წევრი და აქცია „კოკოთი ფანდარასტის“ ხელმძღვანელი ვლადიმერ სანაკოვეი საქართველოში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დავალებებს ასრულებდა. სანაკოვეის თქმით, რუსულმა სპეცსამსახურმა მისი გააქტიურება საქართველოში „ვარდების რევოლუციის შემდეგ მოითხოვა. როგორც სანაკოვეი ამბობს, მისი საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო, არ დაეშვა საომარი მოქმედებების დაწყება. იგი თავის დამსახურებად მიიჩნევს საქმიანობიდან ირაკლი ოქრუაშვილის ჩამოშორებას და „პროექტ ვანო მერაბიშვილის“ ამოქმედებას.

დასავანა ხაჩინსკის სარეზიდენტო



ავიაციის სამთავრობოთამორისო კომიტეტმა 2010 წლის აპრილში პოლონეთის პრეზიდენტის ლუბ კაჩინსკის თვითმფრინავის ტრაგედიაზე დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის მიხედ-

ვით, მფრინავებს, რომლებიც პრეზიდენტის თვითმფრინავს (ტუ-154) მართავდნენ, სათანადო მომზადება აკლდათ და თან განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ბორტზე მყოფი გენერლისაგან, რომელიც პილოტს დაჯდომას თხოვდა. დასკვნას არასრული უწოდა პოლონეთის პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა კი დასკვნასთან დაკავშირებული პრობლემები უარყო. პრეზიდენტთან ერთად ავიაკატასტროფაში თვითმფრინავში მყოფი 96-ვე ადამიანი დაიღუპა.

აფეთქება "ხინანის" სასწავლო ცენტრში

„კრანისის“ სასწავლო ცენტრში მომხდარი უბედური შემთხვევა, გამოძიების ინფორმაციით, უსაფრთხოების ნორმების დარღვევამ გამოიწვია, რისთვისაც უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი სამი სამხედრო დააკავეს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 403-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აფეთქების ფაქტს თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო პოლიცია და გენერალური ინსპექცია იძიებს. „კრანისის“ სასწავლო ცენტრში მომხდარი უბედური შემთხვევისას სამი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, ცამეტი კი დაიჭრა. ცამეტივე დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რჩება. 12 ჯარისკაცი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობს. ერთი კი პირველი კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

FREEDOM HOUSE-ის მიხედვით, საქართველო ნახევარ თავისუფალი ქვეყანაა

უფლებადამცველი ორგანიზაცია „Freedom House“ მსოფლიოში თავისუფლების შესახებ წლიურ ანგარიშს აქვეყნებს. ანგარიშის მიხედვით, საქართველო კვლავ რჩება ნახევრად თავისუფალ ქვეყნად. ანგარიშში ასახულია ვითარება მსოფლიოს 194 ქვეყანაში და 14 ტერიტორიაზე, მათ შორის, უთანხმოების გამოწვევ ტერიტორიებზე, როგორცაა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. დანარჩენ საქართველოში, თავისუფლების მხრივ, „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასე-



ბით, გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება. ორგანიზაცია ინფორმაციას ისეთ ფაქტორებზე აგროვებს, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, პოლიტიკური პლურალიზმი, შეკრების თავისუფლება და თითოეულ ქვეყანას თავისუფალი, ნაწილობრივ თავისუფალი ან არათავისუფალი ქვეყნის სტატუსს ანიჭებს.

ჩისხვები

3,9

მილიარდი აშშ დოლარით განისაზღვრა საქართველოს საგარეო ვალი 2010 წელს.

24

თეთრამდე მოუნევეთ მობილური კავშირის ოპერატორებს წუთობრივი ტარიფის შემცირება.

29-ე

ადგილი დაიკავა საქართველომ ეკონომიკის თავისუფლების ინდექსში.

მე-6

ადგილზეა საქართველო „ნიუ იორკ ტაიმსის“ 2011-ში მოსაზრებლებელი ქვეყნების სიაში.

სიტყვები



„საქართველო, უსაფრთხოების მხრივ, მეორე ადგილზეა ისლანდიის შემდეგ“.

პრეზიდენტი სააკაშვილი ვაშინგტონში კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას

„ათასწლეულის გამონვევის კორპორაციამ საქართველოს წინაშე ბოლო ვალდებულება აიღო“.

კორპორაციის დირექტორი დენიელ იოჰანესი საქართველოსთვის გამოყოფილ 300-მილიონიანი ტრანშის შესახებ

„კატასტროფის ანგარიში არასრულია“.

პოლონეთის პრეზიდენტი დონალდ ტუსკი კაჩინსკის ტრაგედიაზე ანგარიშის შესახებ

„დადგა დრო, ჩრდილოეთ კორეა დასერიოზულდეს“. **ამერიკის თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი სამშვიდობო მოლაპარაკებებზე**

მომხრე

ნესტან თათარაშვილი


არქიტექტორ-რესტავრატორი

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ქრისტიანული ძეგლების აღდგენის მიზნით, თურქეთთან მოლაპარაკებები წინა ჯერზე ძალიან გაჭიანურდა. ამასობაში ხანძთის ტაძარს გუმბათი ჩამოენგრა. განადგურების საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა სხვა ძეგლებიც.

საბედნიეროდ, განახლებული მოლაპარაკებების შედეგად, დღეს უკვე რეალური ხდება ოშკის, ხანძთის, იშხანისა და ოთხთა ეკლესიის გადარჩენა. ამის სანაცვლოდ თურქეთი ითხოვს, რესტავრაცია გაუკეთდეს სამცხეში მხარჯავისა და ახალციხის (აზი ახმედ ფაშას, იგივე ჯაყელის მიერ აშენებული) მეჩეთებს, ქობულეთის რაიონში სოფელ კვირიკეს ქართული ორნამენტებით გაფორმებულ მე-19 საუკუნის ჯამეს, ხოლო ბათუმში ითხოვს, რომ აშენდეს მე-20 საუკუნის შუა ხანს განადგურებული, შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა – აზიზიეს მეჩეთი.

მიმაჩნია, რომ ეს შეთანხმება შესანიშნავ პრეცედენტს შექმნის იმ პრობლემურ საქმეში, რასაც სხვა ქვეყნებში – ირანში, აზერბაიჯანში, ისრაელში, რუსეთსა და სომხეთში არსებული ქართული კულტურული ძეგლების დაცვა ჰქვია. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენ ტერიტორიაზე თურქეთის მიერ აღსადგენად შერჩეული მუსლიმური სალოცავები საქართველოს არქიტექტურული მემკვიდრეობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ისინი, თავის დროზე, ქართველმა მუსლიმებმა ააშენეს, შესაბამისად, უფრო მეტად ქართული კულტურით არიან ნიშნდებული, ვიდრე მუსლიმურით. და, უნდა ითქვას, რომ ისინი ჩვენ აქამდეც უნდა აღგვედგინა. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ სალოცავების მხოლოდ ფიზიკურ აღდგენაზეა ლაპარაკი და არა მათი ფუნქციური დანიშნულების განახლებაზე, ე.წ. „მუსლიმური საფრთხე“ მაინც ისეთი სერიოზულობით განიხილება, თითქოს, 21-ე საუკუნეში საქართველოს „გამუსულმანებას“ ეს 4 სალოცავი მართლაც შეძლებდეს.

თურქეთ-საქართველოს აღნიშნული შეთანხმების მონინალმდებენი ქართულ ტაძრებში წირვა-ლოცვის აღდგენასაც ითხოვენ, მაგრამ ადგილობრივი მრევლის არარსებობის პირობებში (ვგულისხმობ თურქეთის მოქალაქეებს, და არა საქართველოდან სისტემატურად მოსიარულე მორწმუნეებს) ეს ადვილი განსახორციელებელი არ იქნება. თანაც, პირველ რიგში, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ტაძრების ფიზიკური გადარჩენა მთავარი, რადგან მათი ნგრევის შემთხვევაში წირვა-ლოცვის ჩატარება უკვე შეუძლებელი გახდება.

ხანძთის გუმბათი უკვე დავკარგეთ მოლაპარაკებების გაჭიანურების გამო და თუ ახლაც იგივე განმეორდა – ხვალ ოშკს დავკარგავთ, რაზეც სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ შეთანხმების მონინალმდებელებს დაეკისრებათ. 



მეჩეთი ბათუმში

უნდა აღბეას თუ საქართველოში ქართული ძეგლები სანაპირო სალოცავების აშენებას

■ ხანძთის გუმბათი უკვე დავკარგეთ მოლაპარაკებების გაჭიანურების გამო და თუ ახლაც იგივე განმეორდა – ხვალ ოშკს დავკარგავთ, რაზეც სრული პასუხისმგებლობა მხოლოდ ამ შეთანხმების მონინალმდებელებს დაეკისრებათ.



მონინალმდევე

მურმან დუმბაძე

„რესპუბლიკური პარტიის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

ამ პროექტის სისრულეში მოყვანით საბოლოოდ ვალიართუბთ თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ყოფილი ქართული ეკლესიების სტატუსის ცვლილებას, რაც ჩემთვის დაუშვებელია. თუ ამ ეკლესიების თავდაპირველი ფუნქცია ღვთისმსახურება იყო, აღდგენის შემდეგ, ისინი იქნებიან ობიექტები და არა ტაძრები. ამიტომ მაშფოთებს ამ პროცესში საპატრიარქოს აზრის გაუთვალისწინებლობაც, რაც სხვა რომ არაფერი, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის დარღვევაა.

ამით ირღვევა სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებაში ნაცვალგების პრინციპიც. როგორც ცნობილია, თურქეთში რესტავრაცია გაუკეთდება 4 აშენებულ ქართულ ტაძარს ისე, რომ მათ არ დაუბრუნდება სალოცავი ფუნქცია, საქართველოში კი რესტავრაცია ჩატარდება 3 აშენებულ მეჩეთს სალოცავი ფუნქციით, ხოლო მეოთხეს ახლიდან ავაშენებთ.

ამ საკითხებზე ღიად არავინ საუბრობს, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საკითხის გადაჭრა კულუარულად და დარქარებულად ხდება. პირადად ჩემთვის მიუღებელია ისიც, რომ საკითხი გადაჭარბებულად ცენტრალიზებულია. ბათუმში „რალაც ობიექტის“ (უფუნქციო მეჩეთის) დადგამაზე მსჯელობს ცენტრალური მთავრობა, და ამ დროს საქმის კურსში არ არის ბათუმის თვითმმართველობა.

პროექტის განხორციელებამ შესაძლოა, დაპირისპირებაც გამოიწვიოს არა მარტო მოსახლეობასა და ხელისუფლებას, არამედ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის, რადგან ჩნდება სხვა სახელმწიფო იდეოლოგიის პროპაგანდის საფრთხე. მეჩეთ-მუზეუმი შესაძლოა, იქცეს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დოკუმენტურად დადასტურებული თურქული პროპაგანდის კანონიერ ცენტრად. პრაქტიკულად, ის შეიძლება, გახდეს ოსმალური თურქეთის ოკუპაციის მეჩეთ-მუზეუმი.

ეხედავ კიდევ ერთ საფრთხეს: საქართველოში არსებული მუსლიმური კულტურის ძეგლები თურქული კულტურის ძეგლებად გასაღდება (ახალციხე, კვირიკე, სამცხე). გამოდის, რომ თურქეთის სახელმწიფო ჩვენი ხელისუფლების უგუნური დადასტურებით, ქართველი მუსლიმების (რომლებმაც ეს ძეგლები თავის დროზე ააშენეს) ეთნიკურ თურქებთან იდენტიფიცირებას მოახდენს.

და ბოლოს, არც საკითხის ზედმეტი გაპიარება მომწონს. წარსულის დიდებით სპეკულირება ხელისუფლების პიარს ემსახურება ისე, რომ დღეს დადებული ხელშეკრულება მომავალზე საერთოდ არ არის გათვლილი. შეგახსენებთ, რამდენად ფატალურად დამთავრდა მსგავსი პიარ-კამპანიები კოდორი-ზემო აფხაზეთსა და ახალგორი-ლენინგორში. **□**

ახი ხაო-ხაიჯათის ხითვალოში მასლიმუხი ნაბის სანასვლოდ?

■ ჩნდება სხვა სახელმწიფო იდეოლოგიის პროპაგანდის საფრთხე. მეჩეთ-მუზეუმი შესაძლოა, იქცეს თურქული პროპაგანდის კანონიერ ცენტრად. პრაქტიკულად, ის შეიძლება გახდეს ოსმალური თურქეთის ოკუპაციის მეჩეთ-მუზეუმი.

აფხაზეთი

ჩხუბი ჩხუბის ხვადახვად

კრემლი აფხაზეთში საკუთარი ფულის კონტროლს ამკაცრებს.

ინალ ხაშიგი, სოხუმი

რუსეთის კონტროლის პალატისა და აფხაზეთის პარლამენტის ერთობლივმა კომისიამ, რომელმაც აფხაზეთში რუსეთის ფინანსური დახმარებით აღდგენილი საჯარო ობიექტები შეამოწმა, სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა.

რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი 12 იანვარს აფხაზეთში სწორედ ამ მიზეზით ჩავიდა: გაერკვია, ხომ არ ფლანგავენ რუსულ ფულს აფხაზი ჩინოვნიკები?

ვიდრე პრეზიდენტის სასახლეში შეხვედრა გაიმართებოდა, სადაც უნდა შეეჯამებინათ, რამდენად ეფექტურად იხარჯება აფხაზეთისთვის რუსეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, სტეპაშინმა სოხუმის ქუჩებში გაისეირნა და ის ობიექტები დაათვალიერა, რომელიც რუსეთის მხარდაჭერით შენდება: აფხაზური და რუსული თეატრების რეკონსტრუქცია, რუსეთის საელჩოს შენობის მშენებლობა.

„გასული ორი წლის განმავლობაში რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან აფხაზეთის ფინანსური დახმარებისთვის 7,3 მილიარდი რუბლი გამოიყო, – განაცხადა სტეპაშინმა, – 2009 წელს თანხები სრულად გამოეგზავნა რესპუბლიკას, თუმცა 2010 წელს იყო გარკვეული შეფერხებები – ვერ მოვასწარით 2 მილიარდის ათვისება, რაც 2011 წლისთვის გადაიღო“. მისი თქმით, შემონების დროს 347 მილიონი რუბლის გარღვევა აღმოჩნდა. თუმცა რუსმა ჩინოვნიკმა საჯაროდ მხოლოდ ეს განაცხადა: „თაღლითები თქვენთან ვერ ვიპოვეთ“.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსი რევიზორები აფხაზი ჩინოვნიკების მიერ რუსი გადასახადების გადახედვით თანხების თვითნებურად განკარგვის გამო აღშფოთებას ვერ მალავდნენ, ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებში გავრცელდა.

როგორც გაირკვა, ფინანსური დახმარება, რომელიც ხალხში უკვე ქილიკის საგნად იქცა, შემსრულებლებმა ზედმინევენით აითვისეს.

ირკვევა, რომ თურმე აფხაზეთში მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ხიდები, გზები, სახურავები და საბავშვო მოედნებია აშენებული. სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით გულუბრყვილო მოქალაქეები ყოველ საღამოს ამ ობიექტების აგებისთვის „პარტიასა და მთავრობას“

■ რუსეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელი სერგეი სტეპაშინი აფხაზეთში ერთი მიზეზით ჩავიდა: გაერკვია, ხომ არ ფლანგავენ რუსულ ფულს აფხაზი ჩინოვნიკები?

მთელი გულითა და სულით მადლობას უხდინა და შესამჩნევ წინსვლასა და აღმშენებლობაზე საუბრობენ.

გასაკვირი ის კი არ არის, როგორ „კეთილსინდისიერად“ იხარჯებოდა დახმარება, არამედ ის, რომ დარღვევები ოფიციალურ ანგარიშში აისახა. ამის რამდენიმე მიზეზი შეიძლება იყოს.

აშკარაა, რომ ანგარიშში რეალური მდგომარეობის დაფიქსირებით, პირველ რიგში, მოსკოვის რომელიმე დიდი მაღალჩინოსანი იყო დაინტერესებული. წყარო აფხაზეთის ხელისუფლებაში ამბობს, რომ მოსკოველი რევიზორები იმთავითვე საკმაოდ თავდაჭერილად და უცნაურად იქცეოდნენ. „მათ ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყურადღების ყველა გამოხატვაზე, სასტუმროს

ხარჯების გადახდაზე, ბანკეტებსა და სადილებზე ჩამოსვლისთანავე დემონსტრაციულად უარი განაცხადეს და თქვეს, რომ ამისთვის მათ სამივლინებო თანხა ეძლევათ“.

ვის აწყობდა ანგარიშში რეალური ფაქტების ასახვა?

შესაძლოა, რუსული მხარე იმის გამო იყოს ნაწყენი, რომ აფხაზეთის მთავრობა თავიდან კატეგორიულ უარს აცხადებდა ეს დახმარება, სამხრეთ ოსეთის მსგავსად, რეგიონული განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფილიყო. ან, შესაძლოა, კრემლს აფხაზეთის ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებზე კომპრომატების მოპოვების სურვილი აქვს.

მეორე, შესაძლოა, ეს ვიღაცებს აფხაზეთის ხელისუფლების შიგნითაც სჭირდებოდათ, რადგან 2014 წლის არჩევნებისათვის მზადება უკვე დაწყებულია და ძალთა და ინტერესთა სერიოზული გადაჯგუფება მიმდინარეობს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ შემომხება 2,35 მილიარდ რუბლს ეხებოდა, რომელიც შარშან გამოიყო, როცა მთავრობას სათავეში ალექსანდრე ანქვაბი ედგა და ინერციით, არჩევნების შემდეგაც, რუსული პროექტების დიდი ნაწილის კურირება უკვე ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში მასვე ერგო, შემომხების შედეგების მთავარი დარტყმა სწორედ ალექსანდრე ანქვაბის წინააღმდეგ იქნება მიმართული. **■**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

"ეს ხითხვან მათონ ბახდაზა ნახუნდუხი, ხოსა მოვან ხიჩვინაზის დიო"

ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივანთან,
გიგა ბოკერიასთან

უშიშროების საბჭოს მდივანი ბელარუსის არჩევნებზე, რუსეთთან ურთიერთობასა და პრემიერ-მინისტრის შესაძლო კანდიდატებზე.



ფოტო: ლევან სარგაძე

ბატონო გიგა, რატომ აღიარა საქართველომ ბელარუსის არჩევნები?

თუ შეიძლება დააზუსტეთ, რას გულისხმობთ აღიარებაში?

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ალექსანდრ ლუკაშენკოს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

ჰო, რა თქმა უნდა, ბელარუსს ჰყავს

ახალი პრეზიდენტი, საქართველო ამ ფაქტს აღიარებს.

ანუ თქვენ აღიარებთ ამ არჩევნების სამართლიანობას?

არა, უკაცრავად. ჩვენი, უფრო სწორად, პირადად ჩემი ფუნქცია არ არის ამა თუ იმ არჩევნების ხარისხის შეფასება, ეს იმ ორგანოების კვალი-

ფიკაციის საქმეა, ვინც აკვირდება არჩევნებს. ბელარუსში იყო დამკვირვებლების მისია საქართველოდან და მათი დასკვნა ცნობილია. ის მეტ-ნაკლებად იმავე მიმართულებისაა, რაც ეუთოს მისიის დასკვნა.

ეუთოს დამკვირვებელთა მისიის დასკვნა კრიტიკულია.

კრიტიკულ დასკვნასა და არჩევნების არალიარებას შორის ძალიან დიდი ზღვარია.

ვალდარებთ თუ არა ლუკაშენკოს ბელარუსის პრეზიდენტად? რა თქმა უნდა, ვალდარებთ! წინასწარი მონაცემებით, ლუკაშენკო აირჩა და ჩემი აზრით, ამ ფაქტს მარტო ჩვენ კი არა, მიიღებს იმ ქვეყნების უმრავლესობა, თუ ყველა არა, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ბელარუსთან.

დამკვირვებლების შეფასებები ეჭვქვეშ აყენებს ფაქტს, რომ ლუკაშენკო ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტია.

შეგახსენებთ, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა, მაშინაც იყო კრიტიკა. მედვედევს ყველა აღიარებს რუსეთის პრეზიდენტად, ხომ არ მეშლება?! ყველა – მათ შორის, ევროკავშირიც და შეერთებული შტატებიც.

საქართველოს ხელისუფლება არ აფასებს არჩევნების დემოკრატიულობის სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტს, ამას აფასებენ სადამკვირვებლო მისიები, მათ შორის, ეუთო. მიუხედავად იმისა, რომ ეუთო არის ძალიან ავტორიტეტული ორგანო და საქართველოს ხელისუფლებისთვის ავტორიტეტულია მისი დასკვნები, ჩვენ ვალდარებთ არჩევნების შედეგებს. ეუთოს სადამკვირვებლო მისიის დასკვნაში არსად წერია, რომ არჩევნები არ შედგა.

მე მიკვირს, რომ ეს კითხვა საერთოდ გაჩნდა. ვინმე მოელოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ აღიარებდა ბელარუსის არჩევნების შედეგებს?!

მოლოდინი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც აცხადებს, რომ მისი სტრატეგიული ხედვა და კურსი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება...

ჩნდება კითხვა ჩვენი დამოკიდებულების შესახებ გარკვეულ ფუნდამენტურ თავისუფლებებთან დაკავშირებით?

დაახ.

საარჩევნო დღესთან და შემდეგ, მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე მე გავაკეთე განცხადება და ჩვენი პოზიცია ასეთია: ბელარუსი არის ჩვენი მეგობარი ქვეყანა და მასთან ურთიერთობას ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენ ძალიან მყარად და მტკიცედ ვუჭერთ მხარს მის სუვერენიტეტს. სწორედ აქედან გამომდინარე, შეშფოთების საბაბს იძლევა ის ვითარება, რომელიც შექმნილია და ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ყველა დაკავებული ადამიანი და პირველ რიგში, პრეზიდენტობის კანდიდატები გათავისუფლდებიან. ამას-

■ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბელარუსმა გაუძლო ძალიან აგრესიულ ზენოლას რუსეთის ფედერაციიდან, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ჩვენ ვალდარებთ არჩევნების შედეგებს.

თან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს დიალოგი ბელარუსსა და ევროკავშირს, ბელარუსსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ეს არის ჩვენი პოზიცია შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით.

თქვენ ხართ ხელისუფლება, რომელიც მოხვედით არა არჩევნებით, არამედ რევოლუციით.

„ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდა არჩევნებით. უბრალოდ, რევოლუციამ აიძულა წინა ხელისუფლება, რომელიც არ გამო-

ხატავდა ქართველი საზოგადოების ნებას, გადამდგარიყო.

თქვენი შეფასებით აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა ახლა ბელარუსში?

მე თავს შევიკავებდი, ეს არ არის ჩემი საქმე, ბელარუსში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზისგან. ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი შეშფოთება, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოში არჩეულ ხელისუფლებასთან ურთიერთობა სრულიად განსხვავებული საკითხია.

ამ გადანყვეტილებაზე იქონია თუ არა გავლენა იმან, რომ მიუხედავად ამ შესაძლებლობისა, ლუკაშენკო არ დათანხმდა აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას?

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბელარუსმა გაუძლო ძალიან აგრესიულ ზენოლას რუსეთის ფედერაციიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩვენ ვალდარებთ არჩევნების შედეგებს. არცერთი სხვა მაგალითი არ არსებობს იმისა, რომ ჩვენ არ ვალდარებთ არჩევნების შედეგებს, ამიტომ მოგიტანეთ რუსეთის მაგალითიც. ეუთო საერთოდ არ შეუშვეს რუსეთში და დამკვირვებლების დასკვნები ძალიან კრიტიკული იყო, მაგრამ პრეზიდენტი მედვედევი აირჩა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად და მასთან ურთიერთობს მთელი ცივილიზებული სამყარო, მთელი თავისუფალი სამყარო.

ბატონო გიგა, რა ნაბიჯები უნდა გადადგას „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2011-2012 წლებში იმისთვის, რომ დარჩეს ხელისუფლებაში?

მარტივია პასუხი ამ კითხვაზე. ჩვენი მიზანია იმ ამოცანების შესრულება, რაც დგას ქვეყნის წინაშე და რისთვისაც ჩვენ მივიღეთ მანდატი არჩევნებზე.

მოდერნიზაციის გაგრძელება, ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების გაჩენა, თუ რამე უნდა გამოვყოთ, ეს არის, სუვერენიტეტის გაძლიერებასთან ერთად.

ფიქრობთ თუ არა, რომ „ნაციონალურ-მა მოძრაობამ“, იმისათვის, რომ დარჩეს ხელისუფლებაში, უნდა მოახერხოს წინსვლა რუსეთთან ურთიერთობაში?

რუსეთთან ურთიერთობაში წინსვლა შედის ჩვენს ნაციონალურ ინტერესებში, მთელი ქართული საზოგადოების ინტერესებში. მაგრამ, როდესაც ურთიერთობის დარეგულირებაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავინცდეს, რომ მას წინ უძღოდა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები, რის გამოც შეიქმნა პრობლემები და რამაც მოგვიყვანა ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციამდე და რუსულ აგრესიამდე.

ეს თქვენი მმართველობის პერიოდში მოხდა, „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ამ დროს ხელისუფლებაში.

საქართველოს პრეზიდენტებს ერთმანეთს არ ვადარებ, ეს სხვადასხვა ისტორიებია, თუმცა, მათ ერთი საერთო ჰქონდათ: ყველა ეტაპზე, როდესაც მათ სცადეს ქართული დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს შექმნა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ევროატლანტიკური სივრცისაკენ მიმართეს, ჰქონდათ ფუნდამენტური პრობლემა რუსეთის ფედერაციასთან.

როცა საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ტემპი ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა და საქართველო გახდა არასრულყოფილი, მაგრამ ფუნქციური, ლიბერალური და დემოკრატიული, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკამ ყველაზე ღია აგრესიის სახე მიიღო 2008 წლის აგვისტოში, ეს ნამდვილად ასეა, თუმცა ფუნდამენტურად არაფერი განსხვავებული ჩვენ არ გვინახავს.

რუსეთის ფედერაციისთვის ძირი ამ პრობლემებისა მდგომარეობს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგის ფუნდამენტურ მიუღებლობაში, ანუ იმაში, რომ აღდგა საქართველოს სუვერენიტეტი და საქართველოს აქვს ნება და ხედვა საგარეო კურსისა, რომ წავიდეს ევროატლანტიკური სივრცისაკენ.

ამავე დროს, სწორედ ეს არის ის ფუნდამენტური პრობლემა, რაც აქვს რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს ხელისუფლებასთან.

უდავოდ! და მთლიანად საქართველოსთანაც.

თქვენ, როგორც პოლიტიკური პარტია, რომელსაც გაქვთ საზოგადოების დაკვეთა, აღადგინოთ ურთიერთობა რუსეთთან ისე, რომ ეს არ მოხდეს ჩვენი სახელმწიფო ინტერესების ხარჯზე, როგორ აპირებთ ამის გაკეთებას მომავალში, როცა ეს აქამდე ვერ მოახერხებთ?

■ ვიდრე არ შეიცვლება რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს, საერთოდ მეზობლების, ევროპული უსაფრთხოებისა და ქვეყნების სუვერენიტეტის მიმართ, გარღვევა შეუძლებელია.

ვიდრე არ შეიცვლება რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს, საერთოდ მეზობლების, ევროპული უსაფრთხოებისა და ქვეყნების სუვერენიტეტის მიმართ, გარღვევა შეუძლებელია.

მანამდე უნდა შევინარჩუნოთ და შევინარჩუნებთ კიდევ სუვერენიტეტს, საგარეო კურსს, წავალთ წინ და დროს არ დავკარგავთ. ამავ დროს, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად უნდა შევეცადოთ, რომ ამ მიმართულებით მოხდეს ცვლილებები ჩვენს ურთიერთობებში მოსკოვთან და

მოსკოვის ურთიერთობებში მეზობლებთან და თავისუფალ სამყაროსთან. ეს პროცესი ძალიან რთული აღმოჩნდა, ამდენი წელიწადი გაგრძელდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენ გვექონდა მცდელობა, რომ ეს ურთიერთობები მოგვეგვარებინა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით. რაც ვერ მოხერხდა და ბუნებრივია, რადგან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს და ახლა პრემიერ-მინისტრს – ვლადიმირ პუტინს მოლოდინი ჰქონდა, რომ ის დანიშნავდა ჩვენს უშიშროების მინისტრს.

როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, რომ მზად არის დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასთან, რას ელოდით საპასუხოდ? თქვენი თქმით, საკითხი ასე იმიტომ დაისვა, რომ თუ არსებობს რაიმე თეორიული შანსი, ეს შანსი უნდა გამოყენებულ იქნას. თუმცა იქვე აღნიშნეთ, რომ ძალიან სკეპტიკურად ხართ განწყობილი ამ შესაძლებლობის მიმართ.

ამ ეტაპზე.

თვლით თუ არა შანსად იმას, რომ პრეზიდენტი მედვედევი სულ უფრო ხშირად ცდილობს, გააკრიტიკოს ის ნაბიჯები, რასაც დგამს პრემიერ-მინისტრი პუტინი სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით?

მე გავცნობივარ მრავალ სპეკულაციას თუ ანალიზს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ეს ჩემი საქმე არ არის, მე პოლიტოლოგი არ ვახლავართ, რომ გავაანალიზო ეს საკითხი და, მით უმეტეს, სპეკულაციები. ეს საინტერესოა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემი საქმე არ არის. ჩვენ, ისევე, როგორც მთელმა სამყარომ, უნდა ვიხილოთ, რეალური ცვლილებები, ან მოძრაობის დაწყება ამ რეალური ცვლილებებისკენ. ამას საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ვერ ვხედავთ. თუმცა, უნდა გავძლიერდეთ იმ მომენტისათვის, როდესაც გაჩნდება ეს ცვლილებები, თუ გაჩნდა საერთოდ.

თუ სწორად მივხვდი, ამ ეტაპზე, ერთადერთი, რაც თქვენ შეგეძლოთ, გაგეკეთებინათ, იყო ის, რომ განაცხადეთ დიალოგისთვის მზაობა და ამის იქით ვეღარ მიდიხართ?

დიალოგს სჭირდება ორი მხარე. რუსეთის ფედერაცია ამ ეტაპზე არ აღიარებს საქართველოს საზღვრებს, საქართველოს ხელისუფლებას და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებას.

რუსეთის ფედერაციას ჯერ არ უთქვამს უარი მცდელობაზე, რომ არსებობდეს მისი პრივილეგიებული გავლენის სფეროები, სადაც ის მიიღებს გადანყვეტილებებს და სულ მცირე, შეზღუდავს ქვეყნების სუვერენიტეტს. ეს არის პრობლემის ძირი.

თქვენ არ უპასუხეთ ყურნალისტ ეკა კვესიტაძის კითხვას, როგორი იქნება თქვენი შეფასება, თუ 2013-ში პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილი გახდა...

მე ვუპასუხე ამ კითხვას, უბრალოდ, ქალბატონი ეკა, და როგორც ჩანს, თქვენც, ამ პასუხმა არ დაგაკმაყოფილათ.

თქვენ არ გაეცით ამ კითხვას პირდაპირი პასუხი და თქვით, რომ ეს არ არის აქტუალური თემა, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს მართლაც შესაძლებელია...

ეს თქვენი შეფასებაა, ჩემმა პასუხმა არ დაგაკმაყოფილათ. მე მზად ვარ იგივე გაგიმეოროთ, თუ მაშინ კარგად არ ისმოდა და შეფერხება იყო ტელესივრცეში. მე ვთქვი, რომ ალოგიკურია, სამი წლით ადრე პრეზიდენტის ვადის ამოწურვამდე მთავარ სადისკუსიო თემად ამ საკითხის ქცევა და ამის დაკავშირება საკონსტიტუციო ცვლილებებთან.

ძალიან მნიშვნელოვანია და ლოგიკურია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ფიქრობდეს, რას იზამს 2012-ში და როგორ დარჩება 2013-ში ხელისუფლებაში.

დღეს საუბარი იმაზე, თუ ვინ იქნება მმართველი პარტიის კანდიდატი,

პოლიტიკური ცხოვრების დინამიკის გათვალისწინებით, არა თუ ნაადრევია, არაარსებითიცაა, ჩემი აზრით. იმიტომ, რომ სამი წელიწადი პოლიტიკურ ცხოვრებაში არის უსასრულობა, როცა ლაპარაკია არჩევნებზე.


ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ არ ფიქრობს იმაზე, ვინ იქნება მისი კანდიდატი?

არა, რა თქმა უნდა! ახლა ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში. ახლა დგას ის საკითხი, თუ როგორ მოვახერხებთ იმ ამოცანების მომავალ წელს შესრულებას, რაც ჩვენს წინაშე დგას.

რა კრიტერიუმებით წყვეტთ, ვინ იქნება თქვენი კანდიდატი?

შიდაპარტიული დისკუსიის შედეგად და ამ ფაქტორების გათვალისწინებით – რომელი ლიდერი გამოხატავს პარტიის შეხედულებებს, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ თანამდებობაზეა საუბარი – ქალაქის მერის, პრემიერ-მინისტრის თუ პრეზიდენტის. მთავარია, ჰქონდეს ამომრჩევლის მხარდაჭერა და უკეთ შეეძლოს ამ საქმის გაკეთება და არტიკულირება. ასევე, ამომრჩევლების დარწმუნება საკუთარ შესაძლებლობებში.

თქვენი საუბრიდან გამომდინარე, არ გამოიცხავთ რომ ეს შეიძლება იყოს მიხეილ სააკაშვილი?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დისკუსია იმაზე, თუ ვინ იქნება კანდიდატი, ნაადრევია. „ნაციონალური მოძრაობის“, მისი ლიდერის და ქვეყნის ლიდერის – მიხეილ სააკაშვილის ამოცანა არ მდგომარეობს იმაში, დარჩებიან თუ არა ესა თუ ის პერსონები ხელისუფლებაში. ამოცანაა იმ კურსის და იმ რეფორმების გაგრძელება, რაც აირჩია ხალხმა. ეს არის ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე. ეს საკითხი კი მაშინ გახდება აქტუალური, როცა მოვა არჩევნების დრო. 

ესაუბრა ნინო ჯაფიაშვილი.

ფინანსური ღვა

სხანდალი შვილი ნულით

„კარდასოპულოსი და ფუქსი საქართველოს წინააღმდეგ“ და პირიქით.

მანანა ვარდიაშვილი

ამერიკულმა იურიდიულმა ფირმა Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom-მა, რომელიც საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენის, რონ ფუქსის ინტერესებს იცავს, 2011 წლის 7 იანვარს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პეტიცია გაუგზავნა და საქართველოს მთავრობა ფუქსის უფლებათა შელახვაში დაადანაშაულა. პეტიციაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობამ ფუქსს მახე დაუგო და ის 2010 წლის ოქტომბერში, ბათუმში მოტყუებით ჩამოიყვანა. ქვეყნის შიგნით მის შემოსატყუებლად კი სპეცოპერაცია დაგეგმა, რომელიც ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობით განახორციელა.

ებრაელი ბიზნესმენები – რონ ფუქსი და ზევ ფრენკიელი საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთობლივი ოპერაციის შედეგად, 2010 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში დააკავეს. გამოძიების მტკიცებით, მათ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძეს ქრთამის სახით 7 მილიონი დოლარი შესთავაზეს. ისრაელის მოქალაქეებს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-3 ნაწილით



■ საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის ტრიბუნალის მიერ 2010 წლის 3 მარტს გამოტანილი განაჩენის თანახმად, საქართველომ დაარღვია ენერგო ქარტიის საერთაშორისო ხელშეკრულება და „კარდასოპულოსს საქართველოში ჩადებული ინვესტიციები უკანონოდ ჩამოართვა“.

გათვალისწინებული დანაშაულისთვის ნაუყენეს. ექვმიტანილებს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა კიდევ ერთ ექვმიტანილზე, ბერძენ ბიზნესმენ იოანის კარდასოპულოსზე.

პანამაში რეგისტრირებული კომპანია „ტრამექსის“ დამფუძნებლები იოანის კარდასოპულოსი და რონ ფუქსი საქართველოში 1990 წელს ჩამოვიდნენ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასთან მათ შუამდგომლობა ცნობილმა ქართველმა ებრაელმა – ეფრაიმ გურმა გაუწია. „ტრამექსის“ დამფუძნებლები საქართველოში გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგაც დარჩნენ და ურთიერთობა პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას მთავრობასთან გააგრძელეს. 1992 წელს მათ „საქნავთობთან“ ერთად ერთობლივი კომპანია „ჯი-თი-აი“ დააარსეს და საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოპოვების, გადამუშავებისა და ტრანზიტის ექსკლუზიური უფლება მიიღეს. 1993 წლის 15 აპრილს გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, „ჯი-თი-აი“-მ საქართველოს მაგისტრალურ ნავთობსადენზე 30-წლიანი კონცესიის უფლება მიიღო. „ჯი-თი-აი“-სთან დადებული კონტრაქტი საქართველოს მთავრობამ 1996 წელს გააუქმა. კარ-

დასოპულოსს და ფუქსს დაჰპირდნენ, რომ კომპენსაციას გადაუხდიდნენ. თუმცა პრეზიდენტი შევარდნაძე ისე წავიდა ხელისუფლებიდან და პოლიტიკიდან, რომ ინვესტორებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმე არც განხილულა. პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობამ კი, 2004 წლის ნოემბერში „ტრამექსის“ მფლობელებს კომპენსაციის მიცემაზე უარი უთხრა.

ამის შემდეგ ფუქსმა და კარდასოპულოსმა საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრს მიმართეს. საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSI - International Centre for Settlement of Investment Disputes) წამყვანი საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოა, რომელიც „მსოფლიო ბანკის“ ჯგუფში შედის.

საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, რომ საქმე სახელწოდებით „კარდასოპულოსი და ფუქსი საქართველოს წინააღმდეგ“ არ განხილულიყო. არგუმენტად დავის ხანდაზმულობა დასახელდა. საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრმა ეს არგუმენტი სამართლიანად არ ცნო. ცენტრის ტრიბუნალის დასკვნაში აღნიშნულია, რომ 1996 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამთავრობო კომისია შეიქმნა და რომ

ინვესტორებს 2004 წლამდე კომპენსაციის მიცემას ჰპირდებოდნენ.

ამის შემდეგ მომჩივან ინვესტორებს ქართულმა მხარემ კიდევ რამდენიმე ბრალდება შეაგება – საქართველოს მთავრობამ სცადა დაემტკიცებინა, რომ „ტრამექსთან“ გაფორმებული ხელშეკრულება კაბალური იყო და რომ ინვესტორებმა მათზე დაკისრებული მოვალეობები არ შეასრულეს და ფაქტობრივად, საქართველოში ინვესტიციები არ განახორციელეს. საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრმა მართებულად არც ეს არგუმენტები მიიჩნია. ცენტრის ტრიბუნალის დასკვნის თანახმად, ინვესტორები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს მანამდე, ვიდრე საქართველოს მთავრობამ მათთან დადებული კონტრაქტი ცალმხრივად არ შეწყვიტა.

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის ტრიბუნალის მიერ 2010 წლის 3 მარტს გამოტანილი განაჩენის თანახმად, საქართველომ დაარღვია ენერგო ქარტიის საერთაშორისო ხელშეკრულება (რომელიც ენერგოსექტორში საერთაშორისო გარიგებების წესებს ადგენს) და „კარდასოპულოსს საქართველოში ჩადებული ინვესტიციები უკანონოდ ჩამოართვა“. ფუქსთან დაკავშირებით კი არბიტრა-

ჟმა დაადგინა, რომ ქართულმა მხარემ ისრაელსა და საქართველოს შორის ინვესტიციების დაცვის შესახებ დადებული ორმხრივი შეთანხმება დაარღვია.

საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას კარდასოპულოსისა და ფუქსისთვის 90 მლნ 250 ათასი აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. საქართველოს მთავრობას დაევალა ასევე ინვესტორების მიერ განეული სასამართლო ხარჯების – 8 მილიონი აშშ დოლარის დაფარვა.

2010 წლის 30 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის ტრიბუნალის განაჩენის გასაჩივრება გადაწყვიტა. ვერდიქტის შეჩერების საკითხი საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო

აცხადებს, რომ მას მყარი არგუმენტები აქვს დაკავებული ბიზნესმენების წინააღმდეგ და რომ საქმე სუფთა კორუფციულ გარიგებას ეხება. „მედია და ამ ორი პიროვნების ოჯახები შეეცადნენ, მთელი ამ საქმისთვის პოლიტიკური მიმართულება მიეცათ, აცხადებენ რა, რომ საქართველოს არ სურს თანხის გადახდა და სწორედ ამიტომ დააპატიმრეს ისინი. ეს სიმართლე არ არის. ეს ტიპური მოქრთამვის საქმეა,“ – აცხადებს Fox News–სთვის მიცემულ კომენტარში საქართველოს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე დავით საყვარელიძე.

ქართველი სამართალდამცველების მთავარი სამხილი სტამბულსა და ბათუმში გადაღებული ფარული ვიდეოჩანაწერებია, რომლებზეც ფუქსისა და ფრენკიელის ხარაიდესთან შეხვედრე-

ძელოს სვამს. ფუქსი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ეუბნება, რომ „ასეთი შანსი ცხოვრებაში ორჯერ არ მოდის“ და რომ ასეთი ხელსაყრელი გარიგება 32 წლის ხარაიდის ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ებრაელ ბიზნესმენებსა და ფინანსთა მინისტრის მოადგილეს შორის შეთანხმება საბოლოოდ შვიდ მილიონ დოლარზე შედგა.

ფუქსის დაცვის მხარის რწმუნებით კი, იმისთვის, რომ ბიზნესმენებისთვის კომპენსაცია არ გადაეხადათ, საქართველოს მთავრობამ სპეცოპერაცია დაგეგმა – ებრაელი ბიზნესმენები დაარწმუნეს, რომ ქართული მხარე თანახმა იყო 73 მლნ აშშ დოლარის გადახდაზე, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფუქსი მიიღებდა პრემიერ-მინისტრის

■ ფუქსის დაცვის მხარის რწმუნებით კი, იმისთვის, რომ ბიზნესმენებისთვის კომპენსაცია არ გადაეხადათ, საქართველოს მთავრობამ სპეცოპერაცია დაგეგმა – ებრაელი ბიზნესმენები დაარწმუნეს, რომ ქართული მხარე თანახმა იყო 73 მლნ აშშ დოლარის გადახდაზე.

ცენტრის არბიტრაჟს უნდა განეხილა. ფუქსმა და კარდასოპულოსმა კი არბიტრაჟისგან მოითხოვეს, რომ საქართველოს მათი კუთვნილი კომპენსაციის საბანკო გარანტია წარედგინა. აურზაურიც სწორედ ამის შემდეგ დაიწყო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, რონ ფუქსი და იოანის კარდასოპულოსი ქრთამის სანაცვლოდ ითხოვდნენ „საქართველოს ხელისუფლების დაყოლიებას მათთვის მისაღებ პირობებზე, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობა არ გაასაჩივრებდა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას“.

ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს ორი ბიზნესმენის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესა და მრავალმილიონიან დავას შორის. ბრალდების მხარე

ბია ჩანერილი. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ფუქსმა და ფრენკიელმა ხარაიდეს სხვადასხვა დროს ქრთამის სახით სხვადასხვა ოდენობის თანხა შესთავაზეს. პირველი შეხვედრისას ხარაიდეს ხუთი მილიონი დოლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზეს. მეორე შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის მისაცემი თანხის ოდენობა 10-დან 20 მილიონ ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა – ეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველო „ტრამექსის“ სასარგებლოდ 100 მილიონ დოლარს გადაიხდიდა.

ვიდეოჩანაწერში, რომელიც სტამბულის სასტუმროში 15 სექტემბერსაა გადაღებული, ფუქსი ხარაიდეს ეუბნება, რომ მას 80 მილიონი აშშ დოლარის მიღება სურს და შეუძლია 80 მილიონს ზემოთ მისაღები თანხა ხარაიდეს მისცეს. ებრაელი ბიზნესმენი ვისკით მეგობრობის, პენსიაზე გასვლისა და უზრუნველი ცხოვრების სადღეგრ-

მონვევას და 2010 წლის 14 ოქტომბერს ბათუმში ჩავიდოდა, სადაც სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციას და „ხელის მოწერის“ ცერემონიას დაესწრო.

„საქართველომ გამოიყენა იუსტიციის მინისტრი და იურისტები იმისთვის, რომ მხარეებს შორის შეთანხმების საბუთები მოემზადებინა ცრუ პრესკონფერენციისა და ცერემონიისთვის, მაშინ როცა, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რომ მხარეთა შორის ურთიერთობის მოგვარების პროცესი ფარსი იყო. ფუქსი საქართველოში შეიტყუეს და კომპენსაციის მიღების მაგივრად დააპატიმრეს“, – ნათქვამია დაცვის მხარის პეტიციაში.

დაცვის მხარე აცხადებს, რომ ფუქსი საქართველოში პირადად პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა წერილობით მიიწვია. პრემიერ-მინისტრის ამ მოსაწვევში, რომელსაც ფუქსის ადვოკატე-

ბი მთავარ სამხილად მიიჩნევენ, ვკითხულობთ:

„პირველ რიგში, ნება მომეცით გამოვხატო ჩემი კმაყოფილება მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ ვიპოვით მისაღებ გამოსავალს. მტკიცედ მჯერა, რომ ეს შეხვედრა, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება, დიდად შეუწყობს ხელს ამ შეთანხმების დასრულებას. ასეთი შეხვედრა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ვიმსჯელოთ ყველა დეტალზე და უეჭველად პოზიტიური ეფექტი ექნება საკითხის მეგობრული მოგვარებისთვის. ამასთან დაკავშირებით, უკვე მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, ნება მიბოძეთ ოფიციალურად მოგინვიოთ თქვენ ბათუმში 2010 წლის 14 ოქტომბერს, რათა დავასრულოთ მორიგება და ხელი მოვაწეროთ მას.“

პატივისცემით, ნიკა გილაური“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოსანვევის არსებობის ფაქტს უარყოფს. დაკავებული ბიზნესმენის დაცვის მხარე აცხადებს, რომ ამ მოსანვევის გარდა არსებობს საქართველოს მთავრობასა და კარდასოპულოსს და ფუქსს შორის მორიგების ხელშეკრულების ხელმოწერული პროექტიც, რომელზეც გილაური თავის მოსანვევში საუბრობს და სადაც იუსტიციის მინისტრის მოადგილის – თინა ბურჯალიანის გვარიც ფიგურირებს.

პეტიციაში ნათქვამია, რომ „დიპლომატიური არხების გამოყენებით, საქართველოს მთავრობამ ფუქსს პატიმრობიდან გათავისუფლება და ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა შესთავაზა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის და მისი ბიზნესპარტნიორი საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში მოგებული თანხის მიღებაზე უარს იტყვიან. საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებული „გარიგების“ თანახმად, ფუქსმა თავისუფლების სანაცვლოდ ქრთამის მიცემის

დანაშაული უნდა აღიაროს. ეს ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა ფუქსსა და მის პარტნიორზე შანტაჟს ახორციელებს.“

თბილისის საქალაქო სასამართლო უარს ამბობს დაკავებული ბიზნესმენების გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე. პეტიციაში წერია, რომ „წლის ბიზნესმენი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც შელახულია, კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩება. რის გამოც, არსებობს საფრთხე, რომ დაკავებულმა ბიზნესმენმა მასზე განხორციელებულ შანტაჟსა და ზეწოლას ვერ გაუძლოს და საქართველოს ხელისუფლების მიერ წაყენებული ბრალდება აღიაროს.“

თბილისის საქალაქო სასამართლოში რამდენიმე პროცესი უკვე გაიმართა. დაკავებული ბიზნესმენების დაცვის მხარემ ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის და იუსტიციის მინისტრის მოადგილე თინა ბურჯალიანის მონმის სტატუსით დაკითხვა მოითხოვა. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების საქმეს უკვე მოჰყვა საერთაშორისო გამომხაურება. ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა პრეზიდენტ სააკაშვილს სატელეფონო საუბარში საქმის სამართლიანი გამოძიება სთხოვა. როგორც გაირკვა, დაკავებული რონი ფუქსი პერესის ახლო მეგობარი და ამავე დროს ისრაელის ქალაქ ეილათში თურქეთის საპატიო კონსულია. ფუქსის ადვოკატთა ჯგუფს კონსულტაციას ცნობილი ამერიკელი იურისტი და პრეზიდენტ ბარაკ ობამას ყოფილი მთავარი იურიდიული მრჩეველი გრეგორ კრეიგი უწევს. კრეიგი ხელმძღვანელობდა პრეზიდენტ კლინტონის იურისტთა გუნდს, როდესაც მას იმპიჩმენტი ემუქრებოდა. ამჟამად ის ამერიკული იურიდიული ფირმა Skadden, Arps, Slate, Meagher & Flom-ის პარტნიორია. ფირმა ახლა იმაზე მუშაობს, რომ ფუქსის საქმემ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გადაინაცვლოს. [



საეციალური შეთავაზება



გამოინერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

**წლიური ხელმოწერა
ასოლოდ 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოინერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**



საზოგადოებრივი ტრანსპორტი

სახანსპოხსო დაბიინთი

დედაქალაქს სპონტანური და ქაოტური სატრანსპორტო პოლიტიკა აქვს.

ნათია ახალაშვილი, რუსუდან ფანოზიშვილი

– რა მიტინგია აქ? – კითხულობს სამარშრუტო ტაქსში მოხუცი ქალი, რომლის „მარშრუტკამაც“ ორბელიანის (ყოფილი კოლმეურნეობის) მოედანზე მოუხვია და ვარკეთილისკენ გააგრძელა გზა.

– მიტინგი კი არა, გაჩერებაა. ხალხი ავტობუსს ელოდება, – პასუხობს მძღოლი.

თითქმის ყოველდღე პიკის საათის დროს, ორბელიანის მოედანთან გაჩერებაზე, კონკას მხარეს, ერთდროულად დაახლოებით 100-120 ადამიანი ელოდება თავის ავტობუსს.

„რამდენმა 44-მა ჩაიარა და 102 კიდევ არ ჩანს!“ – ორი მძიმე პარკით დატვირთული ნანა მჭედლიშვილი ფონიჭალისკენ მიმავალ ავტობუსს, ნახევარ საათზე მეტია, ელოდება.

დედაქალაქის ბიუჯეტს მუნიციპალური ტრანსპორტის შენახვა ყოველწლიურად სოლიდური თანხა უჯდება. 2011 წელს საქალაქო ტრანსპორტი 43 მილიონ ლარზე მეტ დაფინანსებას მიიღებს.

„უკეთესი მომსახურება უკეთეს თბილისს“ – ეს 2011 წლის ბიუჯეტის სლოგანია. დედაქალაქის მერის თქმით, ჩატარდა გამოკითხვა, ბიუჯეტის შედგენისას მოსახლეობის აზრი გაითვალისწინეს და უპირატესობა ქალაქის მომსახურების სფეროს მოდერნიზებას მიენიჭა.

ბოლო რამდენიმე წელია, თბილისის მერია ყოველ წელს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დედაქალაქის სა-

ტრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მომსახურების ხარისხის ამაღლებასა და საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებას ასახელებს.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული გუნდი მოვიდა, დედაქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არაერთი ექსპერიმენტისა და ცვლილების ობიექტი გახდა.

მთელი თბილისის მასშტაბით ევროსტანდარტების შესაბამისად დამონტაჟდა საგზაო ნიშნები და ახალი შუქნიშნები უკუათვისის წამშობებით; დაიხაზა გზები, რეკონსტრუქცია ჩატარდა გზაჯვარედინებსა და მოედნებს; დამონტაჟდა უსაფრთხოების კუნძულები, შემოვიდა პარკირების სისტემა და მოძრაობის განსაზღვრავად ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური პროექტი – ახალი მაგისტრალიც კი აშენდა. ხშირ შემთხვევაში, ცვლილებები წინასწარ გათვლილი არ იყო და შემდეგ მალევე უქმდებოდა, როგორც, მაგალითად, გმირთა მოედნის შემთხვევაში, რომელმაც ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ტრანსფორმაცია.

მიუხედავად ამ თვალშისაცემი ცვლილებებისა, დედაქალაქში თვიდან თვემდე სულ უფრო რთული ხდება გადაადგილება და ამას, პირველ რიგში, სწორედ ისინი გრძნობენ, ვინც მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობს.

ბოლო რამდენიმე თვეა, გაჩერებებზე ავტობუსების ერთდროულად მომლოდინეთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა, ხოლო ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში მისასვლელად თბილისელებს სულ უფრო მეტი ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ.

გასული წლის ოქტომბერში მერიამ „მგზავრთა ნაკადის სიმციროს“ მოტივით ავტობუსის 124 ხაზიდან 36 გააუქმა, 33-ს კი მარშრუტი შეუმცირდა. პარალელურად „სერვისის გაუმჯობესების“ მოტივით, მუნიციპალური ტრანსპორტის ფასიც გაიზარდა – ავტობუსითა თუ მეტროთი მგზავრობა 40-ის ნაცვლად 50 თეთრი გახდა.

ამ გადანყვეტილების შემდეგ მგზავრთა ნაკადმა დედაქალაქის ავტობუსებში იმატა. პიკი საათებში ყვითელ ავტობუსებში, რომლებსაც არც ფანჯრები ეღება და არც სავენტილაციო სისტემა აქვს, ტევა არ არის.

გაჩერებებზე არ არის მითითებული ავტობუსების განრიგი და მათი მოძრაობის ციფრული მაჩვენებლები. მეტიც, თბილისის გაჩერებებიდან ის საინფორმაციო აბრებიც კი გაქრა, რომლებზეც ავტობუსის მარშრუტები იყო ჩამოთვლილი. რომელი ავტობუსი მიდის თქვენთვის სასურველი მიმართულებით, ამას გაჩერებაზე მომლოდინე სხვა მგზავრებისგან თუ შეიტყობთ.

უცხოელი, დახმარების გარეშე, თბილისში საქალაქო ტრანსპორტით მოძრაობას ვერ შეძლებს.

ბობ ჯონსი საქართველოში ნათესა-

მთავარი თემა

ვებთან ჩამოვიდა და რამდენიმე თვეა, თბილისში ცხოვრობს, თუმცა, საზოგადოებრივი ტრანსპორტით თბილისში არასოდეს უსარგებლია: „ავტობუსები, მეტრო, „მარშრუტები“, ჩემთვის მიუწვდომელი და არაკომფორტულია, რადგან ვერასოდეს ვხვდები, სადმე წასვლა თუ მინდა, როგორ გამოვიყენო,“ – ამბობს ბობი.

გაუქმებული ხაზების გამო, ხშირ შემთხვევაში, თბილისელებს ერთი რაიონიდან მეორეში მისასვლელად რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა უწევთ.

„მარჯანიშვილიდან ვაკეში წასვლა ტანჯვაა. მხოლოდ ერთი ავტობუსი დადის და ისიც, მგონი, საათში ერთხელ. დილით 3-4 ავტობუსის გაშვება მინევს ხოლმე, ისეთი გადავსებულეზია. ან რამდენიმე ტრანსპორტი უნდა გამოვიცვალო“, – ამბობს სტუდენტი ნინო გოგელია.

ერთი ბარიერის გადალახვის – ავტობუსში ასვლის შემდეგ ახალი გამოწვევა იწყება: ბილეთის აპარატთან მიღწევა. ამის მოხერხება მგზავრმა შეიძლება, რამდენიმე გაჩერების განმავლობაშიც ვერ შეძლოს.

– გადავინოთ, თუ შეიძლება, ხომ არის ადგილი ქალბატონო, რას დგახართ აქ!

– კი მაგრამ, თავზე ხომ არ დავაჯდები ადამიანს! – ეს თბილისის ავტობუსების ტრადიციული დიალოგებია.

ამასობაში გაჩერების დრო მოდის და ბილეთის მოსაპოვებლად მეტროძოლებს „ჩამსვლელთა“ მასა უპირისპირ-

დება. ამ აურზაურში კი კონტროლიორებისთვის კიდევ უფრო გაურკვეველი რჩება, რომელმა მგზავრმა მართლა ვერ მიაღწია აპარატს ბილეთის ასაღებად და რომელს ეს, უბრალოდ, არც უცდია.

- ჯერ არ დაძრათ! ხომ ვერ გადავადრინდები ხალხს თავზე.
- გააღეთ კარი!
- ვაიმე ხელი!
- ვერ ვსუნთქავ!

ამ დროს, ავტობუსში დამონტაჟებულ თანამედროვე ტიპის თხელ ეკრანებზე პეიზაჟებისა და ყვავილების კადრები ჩანს, ან მუსიკალური კლიპები უხმოდ გადის.

ვინც ახალი ამოსულია და ადგილი ავტობუსის კარებთან შეხვდა, არ გაუმართლა: დიდი შანსია, კარი რომ გაიღება, ქუჩაში გადავარდეს. პიკის საათებში ხალხის ნაკადი იმდენად დიდია, რომ ავტობუსში დამონტაჟებულ რკინის მოაჯირებზე მოჭიდება საქმეს აღარ შეუძლია. თუმცა, ამის მიუხედავად, ზოგი მაინც კარებთან გაჩერებას ამჯობინებს – გაჩერებებზე, კარის გაღების დროს ჰაერი შემოდის და სუნთქვა იოლდება.

თბილისში სულ ოთხი სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტია – მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი და ტაქსი. აქედან ორი მუნიციპალურია. ე.წ. „მარშრუტები“ და ტაქსები დღემდე კერძო საკუთრებად რჩება.

საქალაქო ტრანსპორტი ხშირად ხდება წინასაარჩევნო დაპირებების მთავარი თემა. ბოლო 3 წლის განმა-



ბოლო 3 წლის განმავლობაში თბილისში მუნიციპალური ავტობუსების რაოდენობა რამდენჯერმე დროებით გაიზარდა

ვლობაში თბილისში, მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტების რაოდენობა რამდენჯერმე დროებით გაიზარდა – სხვადასხვა წინასაარჩევნო კამპანიის პარალელურად.

მაგალითად, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ მერიამ ავტობუსების რამდენიმე ხაზი დაამატა. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს კი მოქმედმა მერმა პენსიონერებს ტრანსპორტით სარგებლობის შედავათები დაუწესა.

„ჩვენი მიზანია მოსახლეობის უფრო სწრაფი და გარანტირებული სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფა, რაც, პირველ რიგში, აისახება მარშრუტზე მოძრავ შემადგენლობებს შორის ინტერვალების შემცირებასა და გადაადგილების საიმედოობაზე,“ – ამბობს თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი აკაკი ჯოხაძე.

ჯერჯერობით მერიის ეს დეკლარირებული მიზანი მიუღწეველია. მუნიციპალური ტრანსპორტი კონკურენციას ვერ უწევს ე.წ. „მარშრუტებს“, რომლებიც წლებია, თბილისის ყველაზე პოპულარულ ტრანსპორტად რჩება.

სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა 40-50 თეთრი ღირს. მათი რაოდენობა

მზახითა ხაოლნობა ტანსპორტის საჯარო სახეობის მიხედვით მთლიან საჯარო მსახურში

წელი	ავტობუსი	შიკლიბუსი	ტაქსი	მარშრუტები
1990	735 200 000	77 500 000	29 500 000	183 400 000
1995	116 200 000	9 700 000	6 200 000	142 200 000
2000	235 000 000	16 200 000	7 700 000	105 400 000
2005	263 100 000	16 300 000	2 700 000	105 700 000

თბილისის ტანსპორტის საჯარო მსახურის მონაცემებით 2010 წლის მზახითა ხაოლნობა ტანსპორტის საჯარო მსახურში

„მარშრუტები“	მარშრუტები	ავტობუსი
127 750 000	91 250 000	67 525 000

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები



მუნიციპალური ტრანსპორტი კონკურენციას ვერ უწევს ე.წ. „მარშრუტებს“

ფოტო: შანი თაყაი ბაჩყალი

ბევრად მეტია, ვიდრე მუნიციპალური ავტობუსების და მათი ქსელი დედაქალაქის მეტ რაიონს ფარავს.

მიუხედავად იმისა, რომ სამარშრუტო ქსელებს რამდენიმე კომპანია ფლობს და თითქოს შიდა კონკურენციაც არსებობს, სამგზავრო პირობები სამარშრუტო ტაქსებში იმაზე უარესია, ვიდრე მუნიციპალურ ტრანსპორტში

„მარშრუტკების“ დიდი ნაწილი მოძველებული და ტექნიკურად გაუმართავია. მგზავრობა არაკომფორტულთან ერთად სახიფათოც არის, რადგან მეტი სარგებლის მიზნით, მძღოლებს იმაზე მეტი მგზავრი გადაჰყავთ, ვიდრე ადგილების რაოდენობაა.

2004 წლიდან ტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება მიხეილ სააკაშვილის პირადი ინიციატივით გაუქმდა. შესაბამისად, მას შემდეგ არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოწმდება და არც კერძო, მათ შორის, არც „მარშრუტკები“. უსაფრთხოების ელემენტარულ წესებზე არც მძღოლები ზრუნავენ და არც სხვა სამსახურები.

ბადრი მეექვსე წელია N128 მიკროავტობუსის მძღოლია და დღეში დაახლოებით 9 მარშრუტს აკეთებს და 70 კილომეტრს გადის. ის ვერ იხსენებს რაიმე სტანდარტს ან შეზღუდვას, რო-

■ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული გუნდი მოვიდა, დედაქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არაერთი ექსპერიმენტისა და ცვლილების ობიექტი გახდა.

მელსაც დედაქალაქის ხელისუფლება სამარშრუტო ტაქსებს უყენებს.

„მგზავრების რაოდენობას არავინ გვიზღუდავს და მათ ფეხზე დაყენებას არ გვიკრძალავენ. ზოგჯერ პატრული შენიშვნას მაძლევს ხოლმე. კარი კარგად იკეტება და რაიმე შემთხვევა არ მქონია. თანაც, ზედმეტი მგზავრი რომ არ წავიყვანო, არაფერი დამრჩება, ისედაც კაპიკებზე ვმუშაობთ“.

თუმცა 2011 წლიდან მერია თამაშის წესებს ცვლის. 2004 წელს გაუქმებული ტექნიკური დათვალიერება სამარშრუტო ტაქსებისთვის კვლავ ძალაში შემოდის და მკაცრი სტანდარტებიც წესდება.

ქალაქის მთავრობამ „მიკროავტობუსების საქალაქო რეგულარულ მარშრუტებზე მგზავრთა გადაყვანის ნებართვის მისაღები კონკურსი“ უკვე გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებულები პირველ თებერვლამდე უნდა გა-

მოვლინდნენ.

თუ კონკურსში ჩადებული ყველა პირობა შესრულდება, გამარჯვებულის გამოვლენიდან ზუსტად ერთ წელიწადში თბილისში მხოლოდ ყვითელი ფერის, ტექნიკურად გამართული, სუფთა, უსაფრთხოების ევროსტანდარტებთან შესაბამისი მიკროავტობუსები იმოდრავებენ.

ამ მიკროავტობუსებში გადახდის ელექტრონული სისტემა იქნება. დამონტაჟდება სპეციალური აღმრიცხველები, მგზავრები ფულს იგივე ბარათით გადაიხდიან, რომელსაც მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას გამოიყენებენ.

„გაიხსენეთ, ავტობუსებზე რა ამბავი ააგორეს, ასეთი და ისეთი იქნებაო და ჩვეულებრივი, ძველი, მორყეული ავტობუსებია. ისეთი სავსეა, ნაცემი ჩამოვდივარ იქიდან. მარშრუტკებზეც ასე იქნება ალბათ, არაფერი შეიცვლე-



ფოტოგრაფი: თინათინ ბარბაქაძე

მეტროთი მგზავრობის ერთჯერადი ყვეტონები აღარ მოქმედებს და ამისთვის ორლარიანი ბარათის შექმნა აუცილებელი

ბა მანქანების ფერის გარდა, – ამბობს მანანა ნიკლაური.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისის ამქრის“ წარმომადგენელი დავით გოგიშვილი, რომელიც საქალაქო ტრანსპორტის თემაზე აქტიურად მუშაობს, ამბობს, რომ მთავარი პრობლემა გადაწყვეტილებების სპონტანურობასა და გაუაზრებლობაშია.

„ყველა ძირითად გადაწყვეტილებას პირადად რამდენიმე ადამიანი იღებს. ხშირად, ის რაც ქალაქის გენერალურ გეგმაში წერია, მხოლოდ ფურცელზე რჩება. ბევრი კონკრეტული გადაწყვეტილების უკან პირადი მოტივაცია იკითხება. მაგალითად, გაუგებარია, რატომ კეთდება კუნძულები ისეთ ადგილას, სადაც არ არის საჭირო? მაგალითად პეკინისა და ყაზბეგის გადაკვეთაზე. ეჭვი ჩნდება, რომ ამ „კუნძულებს“ ერთი კონკრეტული კომ-

პანია აკეთებს და მის ინტერესებშია, რაც შეიძლება მეტი „კუნძული“ გაკეთდეს,“ – ამბობს დავით გოგიშვილი.

მისი თქმით, ინფრასტრუქტურული პროექტების უმრავლესობა, რომლებიც თბილისში განხორციელდა ან ამჟამად კეთდება, ახლად დამტკიცებულ გენერალურ გეგმაში არ იყო. „გადაწყვეტილებები სპონტანურად და ერთპიროვნულად მიიღება. ამ ეტაპზე საქართველოში მაინც პირადი ბიზნესი თუ სხვა რაიმე ინტერესები განაპირობებს გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას, ამიტომაც გრძელვადიანი გათვლები არ არსებობს.“ – ამბობს გოგიშვილი.

„რთულ ადგილებზე, გზაჯვარედინებზე რამდენიმე თვის განმავლობაში ხდება დაკვირვება. შემდეგ სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს და ადგენს, თუ რა შეიძლება, რომ ამ ადგილას

გაკეთდეს მოძრაობის გასაუმჯობესებლად და შემდეგ ვიღებთ გადაწყვეტილებას.“ – ამბობს აკაკი ჯოხაძე.

სპონტანური გადაწყვეტილების ერთ-ერთი მაგალითი მეტროთი მგზავრობის საფასურის გადახდის ახალი წესებია, რომელთა თანახმად, მეტროთი მგზავრობის ერთჯერადი ყვეტონები აღარ მოქმედებს და ამისთვის ორლარიანი ბარათის შექმნა აუცილებელი, რომელზეც შემდეგ მგზავრობის თანხა განთავსდება. ეს სისტემა იაფი და მოსახერხებელია მათთვის, ვინც რეგულარულად მგზავრობს საქალაქო ტრანსპორტით, თუმცა ახალი წესი არ ითვალისწინებს მათ ინტერესებს, ვინც მუნიციპალური ტრანსპორტით მუდმივად არ მგზავრობს. მაგალითად, დედაქალაქის სტუმარს, რომელსაც შეიძლება მხოლოდ ერთხელ დასჭირდეს მეტროთი მგზავრობა, ეს მოგზაურობა მინიმუმ 2 ლარი და 50



ტაქსი ერთადერთი ტრანსპორტია, რომლითაც თბილისში 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი მგზავრობა

■ 2011 წლიდან, მერია თამაშის წესებს ცვლის. 2004 წელს გაუქმებული ტექნიკური დათვალიერება სამარშრუტო ტაქსებისთვის კვლავ ძალაში შემოდის და მკაცრი სტანდარტებიც წესდება.

თეთრი დაუჯდება. თანაც, სპეციალური პლასტიკური ბარათის ასაღებად პირადობის მოწმობაა აუცილებელი, რომელიც შეიძლება იმ დროს თან არ გქონდეს. ეს კიდევ ერთი დამატებითი ბარიერი ხდება მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის მსურველთათვის. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და სწრაფი ტრანსპორტი თბილისში რეიტინგით მეორე ადგილზეა.

ტაქსი ერთადერთი ტრანსპორტია, რომლითაც თბილისში 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი მგზავრობა. ყოველდღიურად თბილისში ასეულობით ტაქსი მოძრაობს. მათი ზუსტი რიცხვი არავინ იცის, რადგან იმისთვის, რომ კერძო ავტომობილი ტაქსი გახდეს, მძღოლს მხოლოდ 12 ლარიანი ტაქსის ნიშნის ყიდვა სჭირდება. სხვა ნებართვა, ლიცენზია, ტექნიკური და-

თვალიერების ვალდებულება ან რაიმე სახის რეგულაცია, უკვე რამდენიმე წელია, ტაქსებისთვის საქართველოში არ არსებობს.

„ვფიქრობ, რომ 2011 წელი იქნება გარდატეხის წელიწადი მგზავრობის მომსახურების კუთხით. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თბილისის სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი გაზარდოთ და ევროპული ქალაქის მომსახურების ხარისხს მიუახლოვოთ“, – ამბობს ჯოხაძე.

თანამედროვე ქალაქების სატრანსპორტო სისტემები ზოგადად ორი ტიპისაა – „უნწყვეტი მოძრაობა“ და ე.წ. „მდგრადი მობილობა“.

უნწყვეტი მოძრაობა სატრანსპორტო პოლიტიკის პრიორიტეტი დასავლეთში ჯერ კიდევ 1950-1970 წლებში იყო, როცა მთავარ მიზანს ავტოტრანსპორტის სწრაფი და დაუბრკოლებელი გადაადგილება წარმოადგენდა. დღეს

ასეთი პოლიტიკა მოძველებულად ითვლება და მხოლოდ შანხაიში, მეხიკოში და კიდევ რამდენიმე ქალაქშია აქტუალური.

დღეს ევროპული ქვეყნები სატრანსპორტი განვითარების სრულიად სხვა საფეხურზე არიან და პრიორიტეტული „მდგრადი მობილობის“ სატრანსპორტო პოლიტიკაა, როცა ქალაქის ხელმძღვანელობა თანაბრად ითვალისწინებს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლის ინტერესს, ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს გარემოს და მეტნაკლებად მომგებიანიც იყოს. ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის პროპაგანდა, ფასიანი ქუჩების დამკვიდრება სწორედ ამ მიზნის მისაღწევი გზებია.

თბილისის სპონტანური სატრანსპორტო პოლიტიკა ჯერ ვერც უწყვეტ მოძრაობას უზრუნველყოფს, რომ არაფერი ვთქვათ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაზე. ტრამვაის ხაზების შემოღება, რაც 2012 წლისთვის იგეგმება, მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს იმ ქალაქის ეკოლოგიაზე, სადაც ათასობით გაუმართავი ტრანსპორტი უხარისხო საწვავზე მუშაობს.

ექსპერტები ამბობენ, რომ ქალაქის ბიუჯეტიდან დიდი თანხები მხოლოდ იმ მონაკვეთების გამართვაზე იხარჯება, რომლებიც კერძო ავტომობილებისთვისაა გამოსადეგი. პრიორიტეტულად კერძო ავტოტრანსპორტის მოძრაობაა მიჩნეული და ფეხით მოსიარულეთა და მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლეთა ინტერესები ნაკლებადაა გათვალისწინებული. მაგალითად, გმირთა მოედანი-თამარაშვილის მაგისტრალი. ხშირად გზა საფეხმავლო ზონის ხარჯზე ფართოვდება, ტროტუარებზე კი ავტომობილების სადგომები ეწყობა.

2011 წელი მგზავრობის მომსახურების კუთხით მართლაც გარდამტეხი გახდება, თუ გაჩერებაზე მდგომ მგზავრებს ეცოდინებათ, რამდენ ხანში მოვა მათი ავტობუსი, თუ გლდანთან ვაკემდე მგზავრობას საათნახევარს არ მოანდომებენ, თუ სხვის კალთაში არ იმგზავრებენ ან ტრანსპორტიდან დაღურჯებულები არ ჩამოვლენ. □



ფოტო: ლევან სპრიტოვიძე

ტელეკომპანია „მეესტროს“ საეთერო სტუდია, იანვარი 2011

მეესტრო 3

ბოლო 2 წლის განმავლობაში, „მეესტრო“ მესამედ დადგა დახურვის საფრთხის წინაშე. ამჯერად მიზეზი მენეჯმენტის შიგნით დაპირისპირებაა.

ნანა საჯავია

22 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, როცა „მეესტროს“ თანამშრომლები ჯერ კიდევ ელოდნენ ორთვიანი სახელფასო დავალიანების სახალწლოდ ანაზღაურებას, არხის გენერალურმა დირექტორმა – კახა ბექაურმა ისინი თათბირზე დაიბარა. „მეესტროს“ თანამშრომლებმა, რომელთაგან უმეტესობა უშტატო კორესპონდენტია, პირველად ამ თათბირზე გაიგეს, რომ ბექაური, მფლობელებთან შეთანხმებით, რეორგანიზაციის გამოცხადებას აპირებდა. უკვე დილით არხი გაითიშე-

ბოდა და ტელევიზორში, „მეესტროს“ ნაცვლად ჩაბნელებული ეკრანი, წარწერით „რეორგანიზაცია“ შვიდი საათიდან გაჩნდებოდა. გენერალურმა დირექტორმა თანამშრომლებს არ დაუმალა, რომ „მეესტრო“ ფინანსური პრობლემების გამო ითიშებოდა. ხელმძღვანელის განცხადებაში ტელევიზიის პერსონალისთვის ახალი არაფერი ყოფილა. საინფორმაციო სამსახურის 40-მდე თანამშრომელი, უკვე კარგა ხანია, ისედაც ენთუზიაზმზე მუშაობს.

ბექაურს თანამშრომლებთან ფინანსური პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე არც მანამდე და არც 22 დეკემბრის თათბირზე უსაუბრია, არც სახელფასო დავალიანებები უხსენებია და არც ის დაუკონკრეტებია, თუ როდისთვის და როგორ აპირებენ პრობლემების მოგვარებას. სამაგიეროდ, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არხის გათიშვის ოფიციალურ მიზეზად ის საჯარო განცხადებაში ტექნიკურ პრობლემას დაასახელებდა, რად-

განაც „მაესტრო“ ვალდებულია, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას გათიშვის მიზეზი დაუსაბუთოს.

თათბირზე თანამშრომლებს დაჰპირდნენ, რომ თუ რამე შეიცვლებოდა, დაურეკავდნენ, მანამდე კი შეეძლოთ, სხვა ტელეარხებით ენახათ ბეჭაურის მეორე დღისთვის დანიშნული პრესკონფერენცია.

მართლაც, მეორე დღეს, „მაესტრო-ელემბა“, დანარჩენი ტელემედიაციების მსგავსად, სხვა არხებზე მოსმინეს მათივე გენერალური დირექტორის სატელევიზიო განცხადება.

„ჯერ ვერაფერს გეტყვით, შეიძლება, ერთი დღით; შეიძლება, უფრო დიდი ხნით შევაჩეროთ მუშაობა“, – ამბობდა ბეჭაური, მას არ დაუკონკრეტებია, რატომ გახდა საჭირო ტექნიკური სახის პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება.

ორი დღის შემდეგ „მაესტრომ“ მაუნყებლობა აღადგინა, თანამშრომლებს კი ნოემბრის დავალიანება გაუსტუმრეს. არხის გენერალურმა დირექტორმა ერთი კვირის შემდეგ მორიგი ბრიფინგი გამართა და პრობლემებში ტელეკომპანია „მაესტროს“ მმართველი კომპანია – „რუსთავის მედიის მართვის კომპანია“ და მისი დამფუძნებელი, ეროსი კინმარიშვილი დაადანაშაულა.

ამ განცხადების გაკეთების შემდეგ ბეჭაურმა გენერალური დირექტორის თანამდებობა დატოვა. როგორც თავად ამბობს, არხიდან ნასვლით მან „მაესტროს“ შესაძლო კოლაპსი ააცილა თავიდან: „ეროსიმ პირდაპირ მითხრა, შენ ნახვალ, გაიხსნება ფინანსები, თუ არადა, არხს თვითონ მიხედეთ“.

ბეჭაურის თქმით, კონფლიქტი მასსა და კინმარიშვილს შორის სარედაქციო პოლიტიკაში კინმარიშვილის ჩარევის სურვილმა გამოიწვია:

„იცვლებოდა მისი დამოკიდებულება „მაესტროს“ დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის მიმართ, სულ უფრო მეტი პრეტენზიები ჰქონდა სიუჟეტებზე, რომელიც ეთერში გადიოდა, სტუმრებზე იქნებოდა ეს, თუ კითხვებზე. როგორც ყველა პოლიტიკოსი, ეროსი ტელევიზიას უყურებს არა როგორც მიუკერძოებელ

და დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის განმხორციელებელს, არამედ როგორც პოლიტიკური პიარის გამტარებელ სამსახურს. მან მითხრა, რომ „რუსთავი-2“ და „იმედი“ ემსახურება მიხეილ სააკაშვილს, ამიტომ „მაესტრო“ მათი სანინააღმდეგო უნდა გამხდარიყო“, – იხსენებს ბეჭაური.

ეროსი კინმარიშვილის ნაცვლად ბეჭაურის ბრალდებებს კინმარიშვილის „ქართულმა პარტიამ“ განცხადებით უპასუხა. პარტიის ინფორმაციით, კინმარიშვილი „მაესტროს“ მართვაში ბოლო ცხრა თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა:

„ეროსი კინმარიშვილი ტელეკომპანიის საინფორმაციო მუშაობაში არანაირი ფორმით არ ჩარეულა და არც ერევა. „ქართული პარტიის“ ყველა ლიდერისთვის, მათ შორის, ეროსი კინმარიშვილისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლება და ჟურნალისტების სარედაქციო დამოუკიდებლობა. პარტიას მიუღებლად მიაჩნია პოლიტიკური ბრძოლის იარაღად მედიასაშუალებების გამოყენება“, – ნერია განცხადებაში.

კინმარიშვილის სახელმა „მაესტროსთან“ მიმართებაში პირველად 2009 წლის ნოემბერში გაიჟღერა, როცა არხის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ლლონტმა ეროსი კინმარიშვილთან თანამშრომლობაზე განაცხადა. უსახსრობის გამო, დახურვის პირას მყოფი ტელევიზიის დამფუძნებელი მაშინ ამბობდა, რომ მთავარი ფაქტორი კინმარიშვილის მენეჯერული გამოცდილება იყო.

„მაესტროს“ დამფუძნებლებისა და კინმარიშვილის მოლაპარაკებების შედეგად ტელეკომპანია მართვაში კინმარიშვილის შპს „რუსთავის მედიის მართვის კომპანიას“ სამწლიანი ვადით გადაეცა.

მმართველ კომპანიას და „მაესტროს“ ერთად უნდა ემუშავათ სასტარტო კაპიტალის პოვნაზე, რომელიც „მაესტროს“ განვითარების საშუალებას მისცემდა და დაეხმარებოდა, არხი თვითდაფინანსებაზე 2012 წლიდან გადასულიყო. ამ მიზნის მისაღწევად 2010 წლის გაზაფხულზე მმართველმა კომპანიამ გენერალურ დირექტორად კახა ბეჭაური წარადგინა.

ბეჭაურის თქმით, არხის მიუკერძო-

ებლობის და დამოუკიდებლობის გარანტიად სწორედ ფინანსური დამოუკიდებლობა წარმოედგინა: „სხვა ყველა შემთხვევაში, ის განწირულია პოლიტიკური ინტერესების გატარებისთვის, ადრე თუ გვიან ის გახდება მხარე“, – აცხადებს დღეს ბეჭაური.

მისი გადადგომის შემდეგ, არხის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, მამუკა ლლონტმა განაცხადა, რომ დაიწყო მმართველ კომპანიასთან კონტრაქტის განწყვეტის პროცესი და ვალდებულებების შესასრულებლად მას 14-დღიანი ვადა მისცა: „კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ, ეროსი კინმარიშვილი დარჩეს მართვაში, ერთადერთი მიზეზის გამო: არ ვენდობი კომპანიას, რომელმაც ტელევიზია ერთ კვირაში ორჯერ მიიყვანა გამორთვის პირამდე“, – ამბობდა იანვრის დასაწყისში ლლონტი. ის ასევე ამბობდა, რომ თუ 14 დღის ვადაში კინმარიშვილის „რუსთავის მედიის მართვის კომპანია“ „მაესტროს“ წინაშე არსებულ ფინანსურ დავალიანებას არ დაფარავდა, შემდგომი 3 თვის განმავლობაში კონტრაქტი გაუქმდებოდა და საქმე სასამართლოში გადაინაცვლებდა.

თუმცა ბეჭაურის ტელევიზიიდან წამოსვლის შემდეგ „მაესტროს“ მმართველ კომპანიასთან ურთიერთობა არ გაუნწყვეტია და მოლაპარაკებების შედეგად ახალ გენერალურ დირექტორზე – ბაჩო კიკაბიძეზე შეთანხმდნენ.

გენერალურ დირექტორობამდე კიკაბიძე არხის აღმასრულებელი დირექტორი იყო, მაგრამ ამბობს, რომ მის მოვალეობებში მხოლოდ ტექნიკური საკითხები შედიოდა და არც არხის მენეჯმენტში არ ერეოდა და არც ფინანსურ პრობლემებზე სმენია რამე ბეჭაურის საჯარო განცხადებამდე: კითხვაზე, თუ როდის დაიწყო „მაესტროში“ ფინანსური პრობლემები, კიკაბიძე ასე პასუხობს: „მას შემდეგ, რაც გამოვიდა გენერალური დირექტორი. მე არ ვიყავი საქმის კურსში, არ ვერეოდი მართვაში და პრობლემებს ვერ ვხედავდი“.

კიკაბიძის თქმით, კონსულტაციების შედეგად მხარეები იმ ვადებზე შეთანხმდნენ, რომელშიც მმართველმა კომპანიამ ვალდებულებები უნდა შეასრულოს



ფოტო: ლევან წარსულუხიძე

ტელეკომპანია „მესტროს“ სამონტაჟო, იანვარი 2011

■ ახლა „მესტროს“ მომავალი იმაზე გაურკვეველია, ვიდრე ეს 2009 წელს იყო. ყოფილი თანამოაზრეების მთავარ საქმიანობად ერთმანეთთან ურთიერთობებისა და ანგარიშების საჯარო გარკვევა იქცა.

და დავალიანებები დაფაროს, თუმცა კონკრეტულ ვადებს არ ასახელებს.

იმის მიუხედავად, რომ მმართველმა კომპანიამ „მესტროს“ წერილობით მიმართა და გენერალური დირექტორის თანამდებობიდან ბექაურის გათავისუფლების საკითხის განხილვა მოსთხოვა, გენერალური დირექტორის შეცვლას ლლონტი კომპრომისად არ მიიჩნევს. მისი თქმით, კომპრომისი იქნებოდა, თუ ბექაურის ნაცვლად დირექტორად „გაურკვეველი პიროვნება“ მოვიდოდა, ნიუსრუმი და პროდიუსერები კი შეიცვლებოდნენ: „პირიქით, მე ვფიქრობ, დიდი კომპრომისი დაუშვა მმართველმა კომპანიამ. რა კომპრომისი? კახა ეროსის კანდიდატურა იყო“.

ლლონტის თქმით, ეს ბექაურს და კინმარიშვილს შორის პიროვნული კონფლიქტი იყო, რომელიც ან უნდა მოგვარებულიყო, ან საქმე სასამართლომდე მისულიყო და „მესტროს“ საერთოდ დახურულიყო. მოლოდინი კი სხვა იყო – ეროსი კინმარიშვილის მისვლის შემდეგ, 2010 წლის გაზაფხულიდან არხზე მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა დაწყებულიყო.

„ბალანსი რომ დემოკრატიულობის განმსაზღვრელი იყოს, მაშინ კანონში იქნებოდა შეტანილი. ვის რა პროპორციით ვაჩვენებ, ამას ჩემი ბიზნესი მკარნახობს“ – ამბობდა მამუკა ლლონტი ჯერ კიდევ

2009 წელს. მართლაც, 2007 წლის ნოემბრის შემდეგ, ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილო და ალტერნატიული ინფორმაციის მაძიებელი მაცურებელი „მესტროს“ სწორედ საკუთარი რადიკალური პოზიციით მოხიბლა. არხს ყველაზე მეტი მაცურებელი მაშინ ჰყავდა, როცა ეთერში გადაცემა „საკანი №5“ გადიოდა. არაორდინალური რეალითი-შოუს წამყვანი „უცნობი“ მაშინ საზოგადოების ნაწილისთვის ოპოზიციის ბევრ წარმომადგენელზე უფრო პოპულარულ და ძლიერ ფიგურად იქცა. „საკანმა“ 11 თვეს იარსება. ამ პერიოდის განმავლობაში გია გაჩეჩილაძესთან პაემანზე 500 სტუმარი მივიდა.

ახალმა მენეჯმენტმა „მესტროს“ ახალი გეგმები დაუსახა. მთავარი მიზნები მაცურებლის დივერსიფიკაცია, პრობლემატური საკითხების ობიექტური და ამომწურავი გაშუქება და ფინანსური დამოუკიდებლობა გახდა.

სანდო საინფორმაციო პროგრამირების მიღწევის მიზნით, ახალი მენეჯმენტის გადანყვეტილებით, 2010 წლიდან „დროებით“ შეწყვეტილი „საკანი“ დაიხურა, ნიუსრუმის მუშაობა რეგულარული და მეტად დაბალანსებული გახდა.

თუმცა, როგორც ჟურნალისტი ზვიად ქორიძე ამბობს, მას შემდეგ, რაც არხის შინაარსი შეიცვალა, ტელევიზია ნაკლებად ექსპრესიული გახდა. „მესტროს“

რადიკალურად განწყობილი მაცურებლების დიდი ნაწილი დაკარგა, ახალი კი ვერ შეიძინა.

დამკვირვებელთა ნაწილის აზრით, ამის მიზეზი ზედმეტად ინერტული, უინტერესო საინფორმაციო პროგრამირება გახდა. „რთული სათქმელია, შეძლო თუ არა არხმა რაიმე მნიშვნელოვანი თემის წამოწევა, რომელიც შეიძლებოდა, გამხდარიყო საზოგადოების სერიოზული განსჯის საგანი“, ამბობს ზვიად ქორიძე.

ახლა „მესტროს“ მომავალი იმაზე გაურკვეველია, ვიდრე ეს 2009 წელს იყო. ყოფილი თანამოაზრეების – ვის ერთობლივ მუშაობასაც „მესტროს“ მაღალი ჟურნალისტური სტანდარტების, ძლიერ ტელეარხად უნდა ექცია, მთავარ საქმიანობად ერთმანეთთან ურთიერთობებისა და ანგარიშების საჯარო გარკვევა იქცა.

ეროსი კინმარიშვილი აცხადებს, რომ მისი პოლიტიკაში წასვლის შემდეგ „მესტროს“ საქმიანობაში არ ჩარეულა. მამუკა ლლონტს კი ეროსი კინმარიშვილთან მოლაპარაკება არ სურს, რადგან „მას არ ენდობა“. კითხვაზე – რატომ? ლლონტი ასე პასუხობს: „ცუდი სიზმარი ვნახე“.

მესტროს მფლობელის თქმით, მან მმართველ კომპანიას ბოლო შანსი მისცა. ეს კი, შესაძლოა, თავად „მესტროსთვისაც“ თვითგამორკვევის და დამოუკიდებელ მედიად ჩამოყალიბების ბოლო შანსად იქცეს. ■

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org

www.laender-analysen.de

www.res.ethz.ch

www.boell.ge

ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ნაწილი გახდა. ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასია და განსაკუთრებით კი, საქართველო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსეთსა და საქართველოს შორის ომი წარმოადგენდა ტესტს არა მხოლოდ საქართველოს გარდამავალი მდგომარეობისათვის, არამედ დასავლეთის დედაქალაქების, ევროკავშირისა და ნატოს შესაძლებლობებისათვის, ემოქმედათ გადამწყვეტად. მაშინ, როდესაც სამხრეთ კავკასია წამყვანი საერთაშორისო გაზეთების მთავარ გვერდებზე ყოველდღიური თემა გახდა, ომმა ასევე გავლენა მოახდინა მედიაზე რუსეთსა და საქართველოში. ვერცერთმა მხარემ ვერ მოახერხა ობიექტური ინფორმაციის მიწოდება და ანალიზი, იყენებდა რა ჟურნალისტურ შეტყობინებას, როგორც ინსტრუმენტს ესკალაციისათვის.

მთლიანობაში რეგიონში მზარდ ინტერესთა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის დისბალანსი არსებობს. გარდა რუსეთ-საქართველოს ომის ნეგატიური გავლენისა, რეგიონის ექსპერტები გეოგრაფიულ იზოლაციასაც განიცდიან. ჩაკეტილობა მთებსა და ზღვებს შორის, არასაკმარისი ფრენები მათ დასავლეთ ევროპისა და „აღმოსავლეთის სამეზობლო“ ქვეყნებში არსებული დისკურსების მიღმა ტოვებს. სწორედ ეს გახლავთ კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის არსი: ის მიზნად ისახავს სამხრეთ კავკასიაში, ასევე საერთაშორისო არენაზე არსებული ინფორმაციის ნაკლებობის აღმოფხვრას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის კონკრეტულ მიზანს რეგიონის ექსპერტებთან, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ექსპერტებთან თანამშრომლობა წარმოადგენს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, გამოაქვეყნონ საკუთარი ნამუშევრები დასავლეთში, რაც, ამავდროულად, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებში დემოკრატიული ტრანსფორმაციის გაძლიერებასა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას. წარმატება, რომელიც კავკასიის

ანალიტიკურ დაიჯესტს საერთაშორისო ინტერესის გაღვივებისათვის მისი გამოცემის პირველი ორი წლის განმავლობაში ხვდა წილად, კარგი ნიშანია. სწორედ ამგვარმა წარმატებამ წახალისა დაიჯესტის რედაქტორები, ჟურნალის ნაწილი ქართულად ეთარგმნათ, გამოეყენებინათ ჩვენი ფონდის არსებული თანამშრომლობა „ლიბერალთან“, დაეხმებინათ შერჩეული სტატიები და ისინი ჟურნალ „ლიბერალის“ მეშვეობით ფართო საზოგადოებისათვის გაეცნოთ.

სამხრეთ კავკასიის ანალიზის ერთ-ერთი სტრატეგიული მოთხოვნა ჩართულობის საჭიროება, პერსპექტივების ქონა არა მხოლოდ სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან, არამედ მთიანი ყარაბაღის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამი არალიარებული ერთეულებიდანაც (როგორც ანალიზის სუბიექტებისა). ჩვენი ჩართულობის კრედოს ხაზგასასმელად, მაგრამ ყოველგვარი პოლიტიკური დატვირთვის გარეშე, ჟურნალის პირველ გვერდზე გამოსახული რუკა მონიშნავს სამხრეთ კავკასიური ქვეყნების ოფიციალურ სახელმწიფო საზღვრებს მთლიანი ხაზებით, ხოლოდ არალიარებული რესპუბლიკების საზღვრებს წყვეტილი ხაზებით.

კავკასიის ანალიტიკურ დაიჯესტს მხარს უჭერს რედაქტორთა კონსორციუმი, რომელიც ხაზს უსვამს ევროპულ და ამერიკულ ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში. თემებისა და ავტორების შერჩევისას კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი ეთმობა ანალიტიკურ და პოლიტიკურ დისკურსს. სტატიები გამოხატავენ ავტორების პირად მოსაზრებებს.

დოქტორ ირის კემპე
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიური ოფისის დირექტორი

მასობრივი ტერორი საბჭოთა კავშირში: ერთი ოჯახის ანბანი

გიორგი ანჩაბაძე, თბილისი

საბჭოთა კავშირში მმართველობის სისტემად დამკვიდრებული მასობრივი ტერორის შესახებ ბევრი დაინერა, თუმცა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც მომავალში შესწავლის საგანი უნდა გახდეს, პასუხი ჯერ გაცემული არ არის. 1917 წელს ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაწყებული უპრეცედენტო რეპრესიები 1953 წლამდე გაგრძელდა და საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ მოსახლეობას შეეხო. პოლიტიკური ნიშნით დახვრეტილი თუ დაპატიმრებული, ეტაპირების დროს, ბანაკებში თუ გადასახლებაში, ძალადობის მიმშლილსა თუ სილატაკის გამო დაღუპული ადამიანების რიცხვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების უკან კონკრეტული პირებისა და ოჯახების ბედ-იღბალი იმალება. ამბები საბჭოთა სახელმწიფო ტერორიზმს მსხვერპლად შეწირული ცალკეული ადამიანების ტრაგიკული ბედის შესახებ პოლიტიკური რეპრესიების ბუნების არსის წვდომაში „მშრალ“ სტატისტიკაზე ნაკლებად როდი გვშველის. XX საუკუნის 30-იანი წლების მასობრივი ტერორის ისტორიას საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და მის შემადგენლობაში შემავალ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ სტატიის ავტორი თავისივე ოჯახის მაგალითზე აღწერს.

დიდი ოჯახი სოსუმში

დავიბადე 1949 წელს თბილისში. ჩემი მშობლები უკანონოდ რეპრესირებული ოჯახებიდან იყვნენ (მოგვიანებით ორივე ოჯახი რეაბილიტირებულ იქნა). ალბათ, სწორედ ამიტომ ბნელი 1937 წლის შესახებ ადრეული ასაკიდანვე ვიცოდი და ოჯახებში უშიშროების წარმომადგენლების ღამით შემოჭრის, დაპატიმრებებისა და პატიმრების მიერ გადატანილი ტანჯვის შესახებ ამბებიც გაგონილი მქონდა. სადამსჯელო ორგანოები მთელ საქართველოსა და აფხაზეთში უკიდურესი სისასტიკით მოქმედებდნენ. მათ, ფაქტობრივად, გაანადგურეს მოსახლეობის საუკეთესო ფენები, განსაკუთრებით კი, ინტელიგენცია. ანალოგიური სიტუაცია იყო საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებშიც. 20-იან და 30-იან წლებში სახელმწიფოს მიერ ხალხისათვის მიყენებულმა ზიანმა მომავალში საზოგადოების განვითარებაზე უკიდურესად უარყოფითი გავლენა იქონია. მის შედეგებს პოსტსაბჭოთა პერიოდშიც კი ვგრძნობთ.

ჩემი დიდი პაპის, მეფის არმიის გადამდგარი პოდპოლკოვნიკის ტარას ანჩაბაძის დიდი ოჯახი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში ცხოვრობდა. ტარას ზურაბის ძესა და მის მეუღლეს, მარიამ ნიკოლოზის ასულ დადიანს (ეს უკანასკნელი საქველმოქმედო ორგანიზაციის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილების თავმჯდომარედ მუშაობის წყალობით ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახდა) ექვსი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. უფროსმა ვაჟმა, ვა-

ლერიანმა, ელიზავეტგრადის კავალერიის სკოლა დაამთავრა, რუსეთის არმიაში იმსახურა და კაპიტნის წოდებას მიაღწია. ის I მსოფლიო ომში მონაწილეობდა, შემდეგ კი ახლად შექმნილ ქართულ ჯარშიც მსახურობდა. ქართულ ჯარში მსახურობდნენ, აგრეთვე, უმცროსი ვაჟები – ვალერიანი (ჩიჩი), ვლადიმერი (ლადი) და ნიკოლოზ ანჩაბაძეები.

ვიანორ ანჩაბაძის მოღვაწეობა მედიცინის სფეროში

პაპაჩემმა, ვიანორ ტარასის ძე ანჩაბაძემ, 1908 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია, უმაღლესი განათლება კი სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო სამედიცინო აკადემიაში მიიღო. აკადემიის დამთავრების შემდეგ (1914 წელს) ჯარში გაინვიეს და 1918 წლამდე სხვადასხვა სამხედრო კამპანიაში მონაწილეობდა. I მსოფლიო ომის დროს ვიანორ ანჩაბაძემ ექიმად დაიწყო მუშაობა. პოლკის უფროს ექიმად და გაერთიანებული ჰოსპიტლის მთავარ ექიმად მუშაობის დროს სამაგალითო სამედიცინო მომსახურებას უწევდა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ყურადღებიანი და სათუთი მიდგომით გამოირჩეოდა ავადმყოფი ჯარისკაცებისადმი. მისი პირადი მაგალითი სხვებისათვისაც მისაბაძი იყო. ვიანორ ანჩაბაძეს ჭრილობა და სამი სამხედრო ორდენი ჰქონდა მიღებული.

კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ პოლკი, რომელშიც პაპაჩევი მსახურობდა, აზერბაიჯანში გადაიყვანეს, იქ კი 1918 წლის ზაფხულში ქოლერა მძვინვარებდა. ვიანორ ანჩაბაძემ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა და ყარაბაღში ქოლერით დაავადებულთა ბარაკების მოწყობისათვის აზერბაიჯანის მუსავატური მთავრობისაგან ოფიციალურად ჯილდოც მიიღო. 1918 წლის ბოლოს ვიანორ ტარასის ძე აფხაზეთში დაბრუნდა და დაუყოვნებლივ ჩაერთო გუდაუთის რაიონში ესპანური გრიპის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1919 წლის თებერვალში ის სოხუმის ოლქის ექიმად დაინიშნა, ხოლო იმავე წლის აპრილში – აფხაზეთის კომისარიატის ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ამ პერიოდშივე დაქორწინდა კეთილშობილი წარმომავლობის ქალზე, ვერა ანდრეას ასულ შენგელაიაზე. მათ ორი შვილი ეყოლა – ვაჟი ზურაბი (მამაჩემი) და ქალიშვილი ირინა.

პროფესიით მუშაობასთან ერთად პაპაჩევი სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებშიც მოღვაწეობდა, იყო აფხაზეთის ერთა საბჭოსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი და საქართველოს სოციალისტური რევოლუციური პარტიის მხარდამჭერი. როგორც აფხაზეთის საკონსტიტუციო კომიტეტის წევრი წარგზავნილ იქნა თბილისში, სადაც 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურს – ნოე ჟორდანიასა და მთავრობის სხვა წევრებს შეხვდა.

აფხაზეთის გასაბჭოება

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთი საქართველოს რესპუბლიკაში შემოიჭრა. ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში ტარას ანჩაბაძის ოთხი შვილი მონაწილეობდა. ტარასის შვილებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვალერიან ანჩაბაძე, რომელიც აფხაზეთში ქართული დაჯგუფების მეთაურის მოადგილე იყო. სოხუმის დასავლეთით გამართულ არიერგარდულ ბრძოლებში ის წითელი არმიის მე-9 ქვედანაყოფის წინააღმდეგ იბრძოდა და დაჯგუფების ძირითად ძალებს აღმოსავლეთისკენ უკანდახვევის საშუალება მისცა. დაიღუპა გუმისთის ხიდთან, სადაც შემდგომში, პოსტსაბჭოთა პერიოდის 1992-1993 წლებში, ქართულ-აფხაზეთი შეიარაღებული კონფლიქტის ძირითადი ფრონტის ხაზი გადიოდა.

აფხაზეთის გასაბჭოების შემდეგ გამოცხადდა აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეუერთდა, თუმცა 1931 წელს აფხაზეთმა „ხელშეკრულებით“ სტატუსი დაკარგა და საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკად იქცა. ეს სტატუსი მას საბჭოთა კავშირის დაშლამდე შემორჩა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აფხაზეთში

მნიშვნელოვანი დრამატული მოვლენები არ განვითარებულა. საზოგადოების არაპროლეტარული ფენების მიმართ ხელისუფლება „გონივრულად ფრთხილ“ პოლიტიკას ატარებდა. აფხაზეთის ხელისუფლება ნესტორ ლაკობას ხელმძღვანელობით აფხაზეთის სოფლებს კოლექტივიზაციისა და „ექსპროპრიაციისაგან“ შეძლებისდაგვარად იცავდა. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) ფონზე ცხოვრების დონე აფხაზეთში თანდათანობით უმჯობესდებოდა. ამ პირობებში აფხაზეთის თითქმის მთელმა ინტელიგენციამ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაიწყო, რადგან უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდათ. ვიანორ ანჩაბაძე, რომელიც იმ დროს აფხაზეთის კურორტების მაკონტროლებელ ორგანოს ედგა სათავეში, აფხაზეთის კურორტების აღორძინებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობდა. „ეს მიმიღე დრო იყო, – აღნიშნავს თავის ნაშრომში პროფესორი კუპრავა. – არ ჰყოფნიდათ მედიცინის მუშაკები, აპარატურა, ნამლები. ამ ძნელებდობის ფაშს ვ. ანჩაბაძემ სანატორიუმებისა და საკურორტო ინფრასტრუქტურის აღდგენისა და განვითარების საქმეში ქმედუნარიანობა და უდიდესი ენერჯია გამოამჟღავნა. დაულალავი შრომით მან მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია“. მოგვიანებით ვიანორ ტარასის ძემ პროფესიული კარიერა აფხაზეთის ჯანდაცვის სახალხო კომისრის თანამდებობაზე განაგრძო. ამ თანამდებობაზე ის ორჯერ მუშაობდა – 1928-1930 და 1932-1937 წლებში. იმ დროის საქართველოში ის ერთადერთი უპარტიო სახალხო კომისარი იყო.

სახლი, რომელშიც ვიანორ ანჩაბაძე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ნესტორ აპოლონის ძე ლაკობას სახლის გვერდით იდგა. ლაკობასა და ანჩაბაძეს ერთმანეთისადმი განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება არ ჰქონიათ (პირველი „ძველი რევოლუციონერი“ იყო, მეორე კი – ყოფილი ელიტის წარმომადგენელი), თუმცა ურთიერთობები მათ შორის სრულიად ნორმალური იყო. ვიანორ ანჩაბაძე მთავრობის წევრი იყო, მთავრობას კი ნესტორ ლაკობა ხელმძღვანელობდა. ამას გარდა, მათი შვილები – ზურაბ ანჩაბაძე და რაუფ ლაკობა – განუყრელი მეგობრები იყვნენ, ერთ სკოლაში სწავლობდნენ და, მრავალ სხვა სოხუმელ ახალგაზრდასთან ერთად, მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ვიანორ ანჩაბაძის უმცროსმა ძმებმაც დაიწყეს. კერძოდ, უკვე ნახსენები ვარლამი და ვლადიმერი „აფხაზეთის წითელ არმიას“ მსახურობდნენ („ხელშეკრულებით რესპუბლიკას“ თავისი რაზმი ჰყავდა). როგორც ცნობილია, 20-იან წლებში საბჭოთა კავშირში პროფესიონალი სამხედროები ჯერ კიდევ არ იყვნენ, ამიტომ ყოფილი ოფიცრები და გენერლები შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ექსპერტებად აჰყავდათ. სხვათა შორის, წითელი არმიის აფხაზეთის საკავალერიო პოლკს ბებიაჩემის ძმა, ვარლამ შენგელაია ხელმძღვანელობდა. ის წარსულში გვარდიის



ანჩაბაძეების ოჯახი 1919 წელს. მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ნიკოლოზი, ვალერიანი, ტატიანა, ვიანორი და გიორგი; სხედან: მარიამ ნიკოლოზის ასული, ტარას ზურაბის ძე და ვერა შენგელაია; წინ: ვარლამი და ვლადიმერი.

ოფიცერი იყო და ბოლშევიკების წინააღმდეგ ჯერ დენიკინის მოხალისეთა არმიის, შემდეგ კი საქართველოს არმიის რიგებში იბრძოდა.

მოახლოებული ტარი

მაგრამ ეს მშვიდობიანი ატმოსფერო დიდხანს არ შენარჩუნებულა. მოახლოებული საფრთხის აშკარა ნიშნები 20-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. დასავლელი მეცნიერები „დიდ ტერორს“ საბჭოთა კავშირში 1937-1938 წლების სისხლიან მოვლენებს უწოდებენ, რადგან სტალინის რეპრესიებმა პიკს სწორედ იმ წლებში მიაღწია, თუმცა რეპრესიები 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, ძალდატანებითი კოლექტივიზაციისა და დაჩქარებული ინდუსტრიალიზაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაიწყო.

ამ პერიოდში რეჟიმმა თავისი მხეცური სახე აფხაზეთშიც გამოაჩინა, ხოლო 1937 წლის დადგომასთან ერთად რეპრესიებმა ავტონომიურ რესპუბლიკაში სისტემატური და განუწყვეტელი სახე მიიღო. ყველაფერი ნესტორ ლაკობას სიკვდილით დაიწყო. ის 1936 წლის დეკემბერში თბილისში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

ლაკობა სოხუმში დიდი პატივით დაკრძალეს, თუმცა დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ხალხის მტრად გამოცხადდა. მისი ცხედარი საფლავიდან ამოიღეს და გაანადგურეს. რეპრესიებში მოყვნი ნესტორთან დაახლოებული პირებიც: ოჯახის წევრები (დედა, ცოლი და შვილი), ნათესავები, კოლეგები და მეგობრები... დიდი ტერორის ბორბალი აფხაზეთში მთელი სისწრაფით დატრიალდა.

დაკითხვები და დაპატიმრება

რეპრესირებულ „ლაკობისტა“ შვილები დაპატიმრებულ არასრულწლოვანთა შორის განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიდნენ. ესენი იყვნენ ნესტორის შვილი რაუფი და მამაჩემის სხვა მეგობრები და ნაცნობები – თენგიზ და კუკუშა ლაკობები, კოკა ინალ-იფა... 1937 წელს ეს ბიჭები 14-16 წლის იყვნენ, მაგრამ კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოსაწყობად კონტრრევოლუციური და ტერორისტული ახალგაზრდული ჯგუფის შექმნა ედებოდათ ბრალად.

„ახალგაზრდა ტერორისტების“ საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში (ნკვდ) მათ მეგობრებს, კლასელებს, მასწავლებლებსა და სხვა პირებს იბარებდნენ. დაკითხვაზე ზურაბ ანჩაბაძეც გამოიძახეს.

მამაჩემის შესახებ მოგონებებში ამ ფაქტს პროფესორი ჯულიეტა რუხაძე ასე აღწერს: „დაკითხვის დაწყების წინ გამომძიებელმა უჯრიდან რევოლვერი ამოიღო, ხელში ხაზგასმით შეათამაშა, მაგიდაზე დადო და შეკითხვების დასმა დაიწყო. ზურაბის პასუხები საოცრად გაბედული იყო. უშიშროების წარმომადგენლებს მან განუცხადა, რომ ბრალდებული ახალგაზრდები მისი მეგობრები იყვნენ, მაგრამ მათი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდა. ზურაბმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მოსაზრება ანტისაბჭოთა ახალგაზრდული ორგანიზაციის არსებობის შესახებ არასწორად მიაჩნდა. ნკვდ-ს კედლებში 17 წლის ბიჭის ამგვარი საქციელი გმირობის ტოლფასი იყო. გამომძიებელმა ყველაფერი გულდასმით ჩაინერა. დაკითხვის ოქმი რამდენიმე გვერდი გამოვიდა, ბოლო გვერდზე კი სულ რამდენიმე სტრიქონი ეწერა. გამომძიებელმა შესთავაზა ხელი გვერდის ბოლოში მოეწერა. ზურაბი მიხვდა, რომ თუ ხელს გამომძიებლის მიერ მითითებულ ადგილას მოაწერდა, დარჩენილ ნაწილს მოგვიანებით თავიანთი სურვილის მიხედვით შეავსებდნენ, ამიტომ მთელი გვერდი ხელმოწერით შეავსო. გამომძიებელმა სარკასტულად გაიღიმა და ჰკითხა: „რა, უკვე ძალიან გამოცდილი ხარ?“

რაუფ ლაკობა და ტერორიზმში ბრალდებული სხვა ახალგაზრდები ციხეში სრულწლოვანების მიღწევამდე ამყოფეს, შემდეგ კი არარსებული ორგანიზაციის წევრობისათვის გაასამართლეს. მოგვიანებით ყველა დახვრიტეს.

რეპრესიები აფხაზეთში

ამასობაში რეპრესიებმა აფხაზეთში საზარელი ფორმები მიიღო. მიუნხენის სსრკ ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტმა თავისი „გაზეთის“ 1951 წლის პირველ ნომერში აფხაზეთში 20 წლის განმავლობაში (10-იანი წლების ბოლოდან 30-იანი წლების ბოლომდე) მიმდინარე მოვლენების შესახებ ს. დანილოვის მოგონებები გამოაქვეყნა. ამ მოგონებებში 1937-38 წლების მოვლენებიცაა აღწერილი: „ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელის დაპატიმრების შემდეგ „ცხადი გახდა“, რომ მთელი ორგანიზაცია,

რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, „ხალხის მტრებით იყო გაძედილი“. ამკარა იყო, რომ „სარეველებისა“ და „ხალხის მტრების“ დაუნდობელი წმენდა დაუყოვნებლივ დაიწყებოდა. უკლებლივ ყველა დააპატიმრეს – პარტიისა და კომკავშირის წევრები, უპარტიოები, სპეციალისტები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ვაჭრობის სფეროს მუშაკები (მათ შორის, გამყიდველებიც). სოფლებში დააპატიმრეს ინტელიგენციის ყველა წარმომადგენელი – ყოფილი მინათმფლობელები, მდიდარი გლეხები და აფხაზეთის ყოფილ მთავრობასთან რაიმე კავშირის მქონე ადამიანები. ყველა დააპატიმრებული, უკეთეს შემთხვევაში, ჩრდილოეთის რეგიონებში გადაასახლეს და საკონცენტრაციო ბანაკებში მიმონერის უფლების გარეშე მოათავსეს.

საპატიმროები და სოხუმის ციხე გადატვირთული იყო. დანაშაულის „ალიარების“ შემდეგ ჩატარებული მიკერძოებული დაკითხვის შემდეგ პატიმრები მასობრივად გადაჰყავდათ თბილისში, სადაც ცუდი სახელის მქონე მეტეხის ციხეში საშინელ პირობებში ამყოფებდნენ, თუმცა დაპატიმრებულთა უმეტესობას იქვე, აფხაზეთში ხვრეტდნენ. დრანდის მონასტერი სპეციალურად გადაკეთდა, რომ უფრო მეტი პატიმარი დატეულიყო“.

ამის შემდეგ დანილოვი აფხაზეთი ინტელიგენციის ბედს აღწერს და პირადად ჩემს პაპასაც ახსენებს: „განსაკუთრებული რეპრესიები დაატყდა თავს მცირერიცხოვან ახალგაზრდა აფხაზეთ ინტელიგენციას, – წერდა დანილოვი. – ისინი თითქმის მთლიანად დახოცეს. ექიმ ანჩაბაძის ამბავი მთელ ამ ეპოქას განსაკუთრებით კარგად ახასიათებს...“

პაპაჩიშვილის ბავშვი

ნკვდ-მ ვიანორ ანჩაბაძე 1937 წლის 10 დეკემბერს დააპატიმრა. მის ბინაში უშიშროების მიერ მოწყობილი ჩხრეკა ქურდობით დამთავრდა. რაიმე ღირებულების მქონე ნივთები (მათ შორის, საშინაო მოწყობილობა, მაგალითად, საკერავი მანქანები) მათ ჩანთებში ჩაანყვეს და ერთ ოთახში გადაიტანეს, ოთახი კი დალუქეს. შემდეგ ავტომანქანა მოიყვანეს და მთელი „ნაალაფარი“ წაიღეს. რამდენადაც ვიცი, ჩამორთმეული ნივთები უშიშროების თანამშრომლებს დაბალ ფასებში მიჰყიდეს, თუმცა გამომძიებლებმა რაღაც ნივთები თავიანთთვისაც წაიღეს. ზურაბმა შეამჩნია, როგორ შევიდა სამზარეულოში უშიშროების ოფიცერი ქიშიშიშვი, თაფლიანი ფინჯიდან ვერცხლის კოვზი ამოიღო, ერთ ხანს ფინჯანს ზემოთ ეჭირა, რომ თაფლი შიგ ჩაღვრილიყო, შემდეგ კოვზი გაზეთის ნაგლეჯით განწმინდა და ჯიბეში ჩაიღო.

მალე დააპატიმრეს ვერა ანდრიას ასულიც, მისი შვილები კი ქალაქის ცენტრში მდებარე დიდი ბინიდან გამოასახლეს და გარეუბანში ძველი სახლის ერთ ოთახში შეასახლეს.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 2005 წელს, ჩემი მამიდა ირინა განცდილის შესახებ მოგონებებში წერდა:

„ჩვენი ბავშვობა 1937 წლის დეკემბერში დასრულდა. მამა წაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ დააპატიმრეს დედა. მამა მეტი აღარ გვინახავს. დედა პატიმარი ქალების ჯგუფთან ერთად შორ გზას გაუყენეს. საოცარია, მაგრამ როგორღაც გავიგეთ, როდის უნდა წაეყვანათ, და ნათესავების დიდი ჯგუფი ნკვდ-ს შენობასთან შეიკრიბა. კარები გაიღო და პატიმრები ქუჩაში გამოიყვანეს. ყველა იქვე მდგომ მანქანაში ჩასვეს და სადგურისკენ წაიყვანეს. ამ ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში მათ თავიანთი ახლობლების ნახვა შეეძლოთ. ზურაბი კორდონის უკან იდგა, ხტოდა და ყვიროდა: „დედა! დედა!“

დედაჩემის თვალეზზე ცრემლი არ შემიმჩნევია, მაგრამ რა ხდებოდა მის გულში, როცა რკინის კარს უკან დარჩა დამწყვედი, გარეთ კი შვილი ეძახდა? არ მინდა წარმოვიდგინო. არც შემიძლია. ამას აზრი არა აქვს. მაგრამ ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: რატომ? რისი გულისათვის? რა უფლებით? რისთვის დასჭირდათ მამაჩემის დახვრეტა? რისთვის დაგვიხოცეს ამდენი ნათესავი და ამდენი წლით დაგვაშორეს დედას? ჩვენი ცხოვრება დაინგრა. საკუთარი ბიოგრაფიიდან ამოგვშალეს – ოსიპ მანდელშტამის ეს სიტყვები ყველას გვეხება, ვისაც კი „დიდი ტერორის“ ბასრი მახვილი შეგვეხო“.

ვიანორ ანჩაბაძე ტროიკის (სამკაციანი ჯგუფი, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა) გადაწყვეტილებით 1938 წლის იანვარში დახვრიტეს, მანამდე კი, გადარჩენილი მოწმეების ცნობით, ნკვდ-ს ჯურღმულებში საშინელი ტანჯვა-წამება გადაიტანა.

ს. დანილოვი ამ ამბებს ასე აღწერს: „ერთხელ ერთ ჩემს მეგობარს შევხვდი, რომელიც ნკვდ-ში შვიდთვიანი პატიმრობის შემდეგ ახალი გათავისუფლებული იყო. ვკითხე, ჩემი დაპატიმრებული ძმის შესახებ ხომ არაფერი იცემითქი. ნაცნობი აღელდა, თავი გაიქნია – არაო და ბულვარისკენ წასვლა მთხოვა, სადაც ხალხისგან მოშორებით მომიყვებოდა, რაც თავს გადახდა. წავედით... იცოდა, რომ ექიმ ანჩაბაძეს ვიცნობდი და მის შესახებ მომიყვა:

„ერთხელ ღამით უშიშროების ორმა წარმომადგენელმა ჩვენი საკნის კარი გააღო და უგონოდ მყოფი კაცი შემოიყვანა. ის კაცი საკნის კუთხეში მიაგდეს, კარი ჩაკეტეს და წავიდნენ. ჩვენსავით გაუბედურებულ ახალ მეგობარს მივცვივდით, მაგრამ ცემით და წამებით იმდენად დამახინჯებული იყო, რომ სახეზე ვერ ვიცანით, თუმცა ისეთი ტანისამოსი ეცვა, რომ არც მუშა უნდა ყოფილიყო და არც გლეხი. სახე ცემისგან საშინლად ჰქონდა დამახინჯებული. თვალი ძლივს გაახილა და რაღაც ამოიკვნესა (ლაპარაკი არ შეეძლო). ნათქვამი ვერ გავიგეთ. დიდი გაჭირვებით გავგაგებინა, რომ წყალი უნდოდა. წყალი მივუტანეთ და ტკივილისგან დაკრუნჩხულმა ნელ-ნელა ძლივს დალია. წყურვილი რომ მოიკლა, საცოდავი იატაკზე დაწვა... მოგვიანებით მისგანვე შევიტყვეთ, რომ ექიმი ანჩაბაძე იყო. მალე ჩვენი საკნიდან წაიყვანეს. არ ვიცი, სად... აღ-

ბათ, „ჩამონერეს“. გვიან ღამით ნკვდ-ს ეზოდან მანქანების ხმაური მოგვესმა“.

მაგრამ დახვრეტის ოფიციალური ცნობა არ მოსულა. ასეთ შემთხვევებში ნათესავების მიერ დასმულ შეკითხვებზე, ჩვეულებრივ, ტიპური პასუხი ჰქონდათ: „თქვენი ქმარი (შვილი, ძმა, მამა) 58-ე მუხლით გასამართლდა როგორც ხალხის მტერი და მიმონერის უფლების გარეშე ბანაკებში 10 წლით პატიმრობა მიესაჯა“. ამასობაში კი ამ ადამიანების ნეშტი უკვე დიდი ხნის განმავლობაში უსახელო საფლავებში განისვენებდა.

სხვადასხვა ტიპის თაღლითები (ხშირად ყოფილი მსჯავრდადებულები) მოტყუებული ნათესავების უბედურებით სარგებლობდნენ. ისინი იმ ადამიანების მისამართებს იგებდნენ, ვისი ნათესავებიც მიწერ-მონერის უფლების გარეშე იყვნენ გადასახლებული და უყვებოდნენ, რომ ბანაკებში მათ ნათესავს შეხვდნენ, თან დასძინდნენ, რომ ის მალე დაუბრუნდებოდათ. გახარებული ნათესავები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ ეს თაღლითები დაე-საჩუქრებინათ და საცხოვრებლად სახლშიც ტოვებდნენ, სტუმრები კი მასპინძლებს ხშირად ძარცვავდნენ და უჩინარდებოდნენ.

ვერა ანდრიას ასულმა შვიდი წელი გაატარა „ალჟირ“-ში („სამშობლოს მოლაღატეების ცოლების აკმოლის ბანაკის“

რუსული აკრონიმი). ამ უზარმაზარ ბანაკში ჰყავდათ ქალები, რომელთა ერთადერთი დანაშაული რეპრესირებული პირების ცოლობა თუ შვილობა იყო. შესაძლოა, ბებიაჩემი იმიტომ გადარჩა, რომ ბანაკში პატიმრები თავიანთი პროფესიით მუშაობდნენ, ის კი ექიმი იყო, მაგრამ ჯანმრთელობა ძალიან შეერყა და გათავისუფლებიდან რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა.

1935 წელს გარდაცვლილი ჩემი დიდი პაპის, ტარას ანჩაბაძის ყველა ვაჟი ვიანორის გარდა 1937-1938 წლებში დახვრიტეს. დახვრიტეს ვარლამი და გიორგიც (ძმებს შორის ყველაზე უმცროსი). ვლადიმერმა და ნიკოლოზმა აფხაზეთიდან გაქცევა მოახერხეს და ხელისუფლებას რამდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში ემალებოდნენ. დახვრიტეს ასევე მამაჩემის მამიდის ქმარი ნიკოლოზ აქირთავა, ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე კომპარტიის წევრი იყო. ბებიაჩემის ერთადერთი ძმა, ვარლამ შენგელაია, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, შეიარაღებული ძალების რიგებიდან დაითხოვეს, შემდეგ კი დააპატიმრეს და დახვრიტეს.

შემიძლია ასევე აღვწერო დიდი ტერორის დროს დედაჩემის ოჯახზე თავს დატეხილი უბედურება, თუმცა უმჯობესია, ეს სხვა დროს გავაკეთო.

ავტორის შესახებ:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ანჩაბაძე თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტის შესახებ

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი (კად) წარმოადგენს ყოველთვიურ ინტერნეტ პუბლიკაციას, რომელიც გამოიცემა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის (www.boell.ge), ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრის (www.forschungsstelle.uni-bremen.de), ვაშინგტონის (DC) რესურსების უსაფრთხოების ინსტიტუტის (resourcesecurityinstitute.org/) და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ელიოტის საერთაშორისო ურთიერთობათა სკოლის ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინსტიტუტის მხარდაჭერით. კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი ანალიზებს სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში: აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციას ამ რეგიონის მდგომარეობის საერთაშორისო და უსაფრთხოების განზომილების კონტექსტში. კად-ი ფინანსდება ჰაინრიხ ბიოლის ფონდის გრანტით.

თუ გსურთ გამოიწეროთ კად-ი ან შეწყვიტოთ მისი გამოწერა, გთხოვთ ესტუმროთ ჩვენს ვებგვერდს შემდეგ მისამართზე: www.res.ethz.ch/analysis/cad

მთავრობის ბახანსიები "პიკივად ხავხასიუხს"

ინტერვიუ „ПИК“-ის გენერალურ დირექტორთან,
რობერტ პარსონსთან

რობერტ პარსონსი, რომელიც 9 წელი „ბიბისი“-ს მოსკოვის კორესპონდენტი იყო, ახალი რუსულენოვანი არხისთვის სარედაქციო დამოუკიდებლობის პირობას ქართველი მინისტრებისგან ითხოვს.

როდის განახლებს მაუწყებლობას „პირველი კავკასიური“ და რა გეგმები გაქვთ ახალ სეზონზე?

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ არხს აღარ ერქმევა „პირველი კავკასიური“, მისი სახელია „ПИК“ (Первый Информационный Кавказский). არხი განახლებული პროგრამებით ეთერში 25 იანვარს გავა. ამ ეტაპზე ახალი ტექნიკის უმეტესობა უკვე ჩამოსულია, ახლა ინტენსიური ტრენინგების ეტაპზე ვართ. ტრენინგები მოიცავს როგორც ტექნიკურ ასპექტებს, ასევე პროფესიულ სტანდარტებს, წერას, მონტაჟს, მოკლედ, ყველაფერს, რისგანაც ტელევიზია შედგება.

ახალი სეზონის მომზადებაზე ადგილობრივი და მონვეული პროფესიონალები ერთად მუშაობენ, მაგალითად დოკუმენტური ფილმების გადაღებას ჟურნალისტებს ჩემი მეუღლე – ნინო კირთაძე – ასწავლის.

ეს სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოა, რომელსაც დიდი დრო სჭირდება.

რა იცვლება ახალი სეზონიდან?

აბსოლუტურად ყველაფერი, ეს იქნება სრულიად ახალი არხი.

დღე-ღამეში ექვსსაათიანი მაუწყებლობა იქნება, აქედან ორი საათი საინფორმაციო გამოშვებებს დაეთმობა, ორ-ორი საათი კი ადგილობრივ წარმოებასა და შექმნილ პროგრამებს.



ფოტო: გარანა ქორიანი

განსაკუთრებული იქნება ახალი ამბების გამოშვებებიც: იქნება სპეციფიკური, თემატურად დაყოფილი ახალი ამბები, დიდ ყურადღებას დავუთმობთ კავკასიის ამბებს, რომელიც მომზადდება ადგილობრივი რესურსების და რეგიონული ბიუროების ერთობლივი ძალისხმევით. ბიუროები იმუშავენ კავკასიის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის, მახაჩკალასა და ვლადიკავკაზშიც, საიდანაც ინფორმაცია რთულად აღწევს. ჩვენ გვინდა, მთელ რეგიონში ობიექტურობის და კეთილსინდისიერი მედიის სტანდარტები დავენერგოთ.

ყველაზე რთული ადგილობრივი ექსკლუზიური პროგრამების მომზა-

■ **მივიღე სიტყვიერი**

გარანტიები, რომ

შემიძლია ვმართო

ტელევიზია ისე, როგორც

ეს მე მინდა. თუ არადა,

ყოველთვის არსებობს

გამოსავალი, ვიყიდი

ბილეთს და სახლში

გავფრინდები.

დება. ეს ბევრ მეცადინეობას და ჟურნალისტებისთვის ისეთი უნარების გამომუშავებას მოითხოვს, რაც საქართველოში აქამდე არ ჰქონდათ. მაგალითად, ჩვენ გვინდა, გადავიღოთ დოკუმენტური ფილმები ყოველდღიურ საკითხებზე, მაგალითად, განათლებაზე საქართველოში, იმაზე თუ როგორ მიმდინარეობს განათლების რეფორმა, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. თემები მრავალფეროვანი იქნება, მთავარია, ის მთელი რეგიონისთვის იყოს საინტერესო.

თქვენ ეკატერინე კოტრიკაძესთან ერთად („პირველი კავკასიურის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი – ავტ.) დააფუძნეთ კომპანია „K1“.
სწორედ ეს კომპანია მართავს ახლა „პირველ კავკასიურს“. რა იყო თქვენი მოტივაცია, რომ ამ არხს სათავეში ჩადგომოდით?

მას შემდეგ, რაც „პირველმა კავკასიურმა“, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ იმუშავა, და ამის ერთ-ერთი მიზეზი სატელიტთან დაკავშირებული პრობლემები იყო, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გადაწყვიტა კომპანიის მმართველობა გადაეცა დამოუკიდებელი ჯგუფისთვის, რომელსაც ახალი ამბების და პროგრამირების გამოცდილება ექნებოდა. განვიხილეთ ეს შემოთავაზება და გადავწყვიტეთ „K1“ დაგვეფუძნებინა.

რა არის პირადად თქვენი მოტივაცია?
ეს ჩემთვის, პირველ რიგში, ახალი შესაძლებლობა იყო, ამავდროულად – დიდი გამოწვევა. მე ამ შანსს შევხედე, როგორც შესაძლებლობას, ჩემი წვლილი შევიტანო ქართული მედიის განვითარებაში.

ყოველთვის მაინტერესებდა ეს რეგიონი. ბევრჯერ ვყოფილვარ საქართველოში, არაერთი სემინარი ჩამიტარებია ქართველი ჟურნალისტებისთვის. ყოველთვის მწყდებოდა გული, რომ ჩემგან ნასული ჟურნალისტები ისევე იმის კეთებას აგრძელებდნენ, რასაც მათგან რედაქტორები მოითხოვდნენ. როცა ტრენერი

ხარ, სემინარის დასრულების შემდეგ კარგავ მის მონაწილეებზე გავლენას და ზოგადად, მედიას ვერ ცვლი.

ტელევიზიამ ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან 14 მილიონი ლარი მიიღო. როგორ?

ეს თანხა პირდაპირ ტელევიზიას არ მიუღია, ის „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მიიღო.

არხს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აფინანსებს, რომელსაც, თავის მხრივ, გადასახადების გადამხდელი აფინანსებენ. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ სახელმწიფოსგან გრანტი მიიღო და ასე დააფინანსა ჩვენი კომპანია.

როგორია არხის სარედაქციო პოლიტიკა და როგორ შეინარჩუნებთ დამოუკიდებლობას, როცა სახელმწიფო რეზერვიდან ფინანსდებით?

მე მივიღე გარანტიები, რომ ჩვენს სარედაქციო საქმიანობაში არავინ

ჩაერევა და შეგვიძლია ვაკეთოთ ის, რაც მოგვწონს. მე ასე მითხრეს.

მე ვიქნები არხის დირექტორი და ვიმუშავებ ისევე, როგორც დედამინის ნებისმიერ სხვა წერტილში ვიმუშავებდი, გამოვიყენებ იმ პროფესიულ სტანდარტებს, რომლებსაც „ბიბისი“-ში ან „ფრანს 24“-ში გამოვიყენებდი.

როცა ამ შეთავაზებას თანხმდებოდით, რა რისკებს და დაბრკოლებებს განიხილავდით?

თანხმობის წინაპირობად მე მკაცრად მოვითხოვე სარედაქციო დამოუკიდებლობა.

რა უზრუნველყოფს ამ დამოუკიდებლობას?

ჩემი მოლაპარაკებები საზოგადოებრივ მაუწყებელთან და გარანტიები მთავრობის დონეზე. ეს იყო წინაპირობა, რომელიც მე დავაყენე. ეს საკითხი მე მალეღვებდა და გადაწყვიტე, ის წინასწარ განმეხილა.

ესაუბრეთ ვინმეს მთავრობიდან?
დიახ.

კონკრეტულად ვის?
რამდენიმე მინისტრს.

რატომ უნევს დამოუკიდებელ კერძო კომპანიას მთავრობასთან გარანტიებზე მოლაპარაკება?

ეს ძალიან გულუბრყვილო კითხვაა. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, ყველას გვსმენია ტელევიზიის საქმიანობაში მთავრობის ჩარევის შესახებ. როგორც უცხოელს, რომელიც კარგად იცნობს საქართველოს მედიას, მანუხებდა ეს საკითხი. ამიტომაც მინდოდა, დამოუკიდებლობის გარანტიები წინასწარ მიმეღო.

შეხვედრებმა თქვენი ნუხილი გააბათილა?
დიახ. მე ამაში დარწმუნებული ვარ.

მივიღე სიტყვიერი გარანტიები, რომ შემიძლია ვმართო ტელევიზია ისე, როგორც ეს მე მინდა. თუ არა და, ყოველთვის არსებობს გამოსავალი, ვიყიდი ბილეთს და სახლში გავფრინდები.

ბიოგრაფიული მონაცემები

რობერტ პარსონსი პოლიტიკური მეცნიერებების მაგისტრია, მან დოქტორის ხარისხი გლაზგოს უნივერსიტეტში ქართულ ნაციონალიზმზე დაიცვა.

პარსონსს BBC-ზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, რამდენიმე წელი ის რუსული ბიუროს პროდიუსერი, მოგვიანებით კი საერთაშორისო ამბების პროდიუსერი იყო. 1993-2002 წლებში ის BBC-ის მოსკოვის კორესპონდენტი, 2003-2005 წლებში კი „რადიო თავისუფლების“ ქართული ბიუროს დირექტორი იყო. მოგვიანებით პარსონსი ინგლისურენოვანი „France24“-ის საერთაშორისო რედაქტორად მუშაობდა.

პარსონსი ტელე და რადიო ჟურნალისტისტიკის გამოცდილი ტრენერია, ის ჟურნალისტებს სემინარებს რუსეთში, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში უტარებდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, აპრილში ინტერვიუში ამბობდა, რომ „პირველი კავკასიურის“ ფუნქცია რუსულენოვანი აუდიტორიისთვის საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ინფორმაციის მიწოდებაა. თქვენ იზიარებთ ამ მიდგომას?

ვეთანხმები მას, მაგრამ ვფიქრობ, მის ნათქვამს გავრცობა სჭირდება. არხს უფრო დიდი ფუნქცია აქვს. პირველ რიგში, ეს ჩრდილოეთ კავკასიაში და რუსულენოვან სამყაროში საქართველოს იმიჯის შეცვლაა. მაგალითად, სომხეთი და აზერბაიჯანი მთლიანად რუსულ ტელევიზიებზე არიან დამოკიდებულინი, ისინი საქართველოზე დამახინჯებულ ინფორმაციას იღებენ, მათ საქართველოში ცხოვრებას მუქ ფერებში უხატავენ. ჩვენ არ გვინდა, ცხოვრება ნათელ ფერებში დაეხატოს, ჩვენ გვინდა საქართველოში ცხოვრების რეალური სურათი ვაჩვენოთ. ამ მხრივ, მინისტრს ვეთანხმები.

ამ ტელევიზიას სამი ძირითადი ფუნქცია ექნება: პირველი – საქართველოში ცხოვრებაზე ინფორმაციის გავრცელება, მეორე – ვუჩვენოთ რუსებს მათი ცხოვრების ამსახველი დეტალური სურათი, რომელსაც ისინი საკუთარი მედიისგან ვერ იღებენ. მესამე ფუნქცია რეგიონში მაღალი პროფესიული სტანდარტების დანერგვაა. „PIIK“ კარგი ტელევიზიის ნიმუში უნდა გახდეს.

ვის წინაშე იქნება „K1“ ანგარიშვალდებული?

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და მისი სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. მე ასე წარმომიდგენია. ჩვენ კერძო კომპანია ვართ, მაგრამ, ამავდროულად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ნაწილი ვართ, რომელიც გვჭირაობს კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. თუმცა შევინარჩუნებთ მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და უშუალოდ ჩვენს საქმიანობაში არც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ჩაერევა.

თქვენი კომპანიის ფინანსური საქმიანობა გამჭვირვალეა?

ჩვენ აბსოლუტურად გამჭვირვალე ვართ. მე როგორც ვიცი, ჩვენი ყველა ფინანსური დოკუმენტი ტელევიზიის ვებგვერდზე იტვირთება.

თუმცა ინფორმაცია ხელფასების შესახებ დახურულია. არ ფიქრობთ, რომ ჯობდა ესეც საჯარო ყოფილიყო?

არა, მე ასე არ მგონია. ეს დამქირავებლების გადანყვეტილება იყო, ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

თქვენთან მომუშავე რამდენიმე პროფესიონალს ძალიან მაღალი ანაზღაურება აქვს.

დიახ. და ეს სულაც არ მეუხერხულება. გეგონათ მე, ან ნებისმიერი საერთაშორისო ექსპერტი, დასავლური ტელევიზიიდან მოვიდოდით და ქართულ ხელფასზე ვიმუშავედით? რა თქმა უნდა, ამაზე არც ერთი ჩვენგანი არ დათანხმდებოდა.

ივლისში ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ამბობდით, რომ არხი არ უნდა იყოს ალქმილი, როგორც პროპაგანდისტული და რომ ის საქართველოს ხელისუფლებას რეგიონის სხვა ქვეყნების ხელისუფლებების მსგავსად გააკრიტიკებს. როგორ აპირებთ ამის მიღწევას?

ეს ჩვენი გეგმაა. ვნახოთ, რა გამოგვივა.

როგორ გგონიათ, რატომ მიიჩნევენ „პირველ კავკასიურს“ პროპაგანდისტულ ტელევიზიად?

მე არ ვამბობ, რომ „პირველი კავკასიური“ პროპაგანდისტული ტელევიზია იყო. მე უფრო მომავალზე ვსაუბრობ. როცა ეს განცხადება გაეკეთე, ვაცნობიერებდი, თუ რა რეაქცია მოყვებოდა ახალი არხის შექმნას რუსული მედიის მხრიდან. როცა ეთერში გავალთ, ალბათ, არხს პროპაგანდისტულად შერაცხავენ.

ასეთ შეფასებას მხოლოდ რუსული მხრიდან ელით?

რა თქმა უნდა, რუსულ რეაქციებთან ერთად მალევეს ადგილობრივი შეფასებებიც. მინდა, ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენ არ ვიქნებით პროპაგანდისტული ტელევიზია.

არხის წარსული ამის შესაძლებლობას იძლევა?

როგორც უკვე გითხარით, მე სრული დამოუკიდებლობა მაქვს. ტელევიზიის წარსულს ჩემთან საერთო არაფერი აქვს. მე არ ვარ პასუხისმგებელი არხის წარსულზე, მას არ ექნება გავლენა ჩემს საქმიანობაზე. უსამართლობა იქნება, ახლა ჩემი წინამორბედები ვაკრიტიკო. ჩემი საქმეა, „PIIK“ წარმატებულ ტელევიზიად ვაქციო.

როგორ უყურებთ „PIIK“-ს – როგორც გრძელვადიან პროექტს თუ მოკლევადიანს?


ეს რთული კითხვაა, არ მაქვს მარტივი პასუხი. ვნახოთ, მომდევნო რამდენიმე თვე საქმეები როგორ წაგვივა.

როდის შეაფასებთ თქვენი საქმიანობის პირველ შედეგებს?

კონტრაქტი ივნისის ბოლომდე მაქვს დადებული, შედეგებს რამდენიმე თვეში შევაფასებთ.

რა მოლოდინები გაქვთ ივნისამდე, რის გაკეთება გინდათ კონტრაქტის ამონურვამდე?

პირველ რიგში, მინდა ობიექტური ახალი ამბების და საინტერესო დოკუმენტური ფილმების კეთების რეპუტაცია შევიქმნათ. ასევე, იმედი მაქვს, ამ დროისთვის ჟურნალისტიკის მაღალ სტანდარტს დავნერგავთ. ბედნიერი ვიქნები, თუ ამას ექვს თვეში მოვახერხებთ.

თუმცა თუ ჩვენ არ გვექნა სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება, პროექტში ჩადებული ფული დაკარგული იქნება. 

ესაუბრა ნანა საჯაია.

პენიტენციური სისტემა

ფსიქიკა ოთხ ხელს შოხის

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 22 ათასამდე პატიმარს სულ ორი ფსიქიატრი ემსახურება.

ნათია გულიაშვილი

ერთ-ერთი ქართული საქმე, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაჩქარებული წესით განიხილავს, პატიმარ ქალს ეხება. ციხეში მის მიმართ გამოჩენილი გულგრილობის გამო, სამი წლის თავზე ახალგაზრდა ქალი მწვავე ფსიქიკური აშლილობით იტანჯება.


მომჩივანი არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათია“. ის მთელ პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფოს აკისრებს.

სერთაშორისო სასამართლომ გადახედვისთანავე საქმეს 39-ე მუხლის კვალიფიკაცია მიანიჭა.

„ამ მუხლს ორ შემთხვევაში იყენებენ: თუ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ან ექსტრადიციის საკითხი დგას. ამ ქალბატონის ციხეში (და არა ფსიქიატრიულში) ყოფნა კი სტრასბურგში იმდენად დიდ დარღვევად მიიჩნის, რომ, ფაქტობრივად, წამების მუხლით აღძრეს საქმე. გამოდის, რომ ახლა, ვიდრე პაციენტს ფსიქიატრიულ კლინიკაში არ გადაიყვანენ, მთელი ეს დრო მის ფიზიკურ წამებად ჩაითვლება“, – ამბობს „ემპათიის“ ადვოკატი, სოსო ხატიაშვილი.

33 წლის ნინო (სახელი შეცვლილია) სასჯელს ქალთა და არასრულწლოვანთა დაწესებულებაში 2007 წლიდან იხდის. მის სამედიცინო ბარათში კი პირველი ჩანაწერი მოულოდნელად გამოვლენილი „არაადეკვატური ქცევების“ შესახებ, 2 წლის შემდეგ, 2009 წლის 12 მარტს გაჩნდა.

იმ დღეს ციხის ადგილობრივმა ექიმებმა პატიმრის დაწყნარება ვეღარ მოახერხეს და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. იმის გამო, რომ ერთადერთ სამკურნალო დაწესებულებაში, რომე-



ლიც მსჯავრდადებულებსა და პატიმრებს ემსახურება, ქალების განყოფილება არ არსებობს, ის ასათიანის კლინიკაში წაიყვანეს. კანონის მოთხოვნით, სამოქალაქო სტაციონარში გადაყვანისას, პატიმარს ბადრაგი უნდა გაჰყოლოდა, სტაციონარში კი იარაღსხმული თანა-

მშრომლების მოთავსება ვერ მოახერხეს. ამიტომ ქალი, რომელიც სასწრაფო მკურნალობას საჭიროებდა, ისევ ციხეში დააბრუნეს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიის“ ადვოკატი, სოსო ხატიაშვილი, საქმეში 2009 წლის სექტემბერში ჩაერთო.

სამედიცინო ექსპერტიზა დაზარალებულს მისი მოთხოვნით ჩაუტარდა, თუმცა, ამ ექსპერტიზის პასუხი მხოლოდ რამდენიმეთვიანი ლოდინის შემდეგ მიიღო.

დოკუმენტის თანახმად, პაციენტის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას საკუთარი მდგომარეობის შეფასების უნარიც აღარ შესწევდა. დასკვნის

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელალსრულების დეპარტამენტში ეს პასუხი 2009 წლის ოქტომბერშივე იცოდნენ, პატიმრის სტაციონარში გადაყვანაზე არ უზრუნიათ. მისი მდგომარეობა კი ციხეში დღითი დღე უარესდებოდა.

ადვოკატის მტკიცებით, 33 წლის პატიმარს ახლობლები არ ჰყავს და სრულიად მარტოა. თვეების განმავლობაში დაზა-

სანახავად მივდიოდი, მთხოვდა, აქედან უნდა გამიყვანო. ახლა მისი მდგომარეობა უკიდურესად გართულებულია, რომ მხედავს, ტირილს და ყვირილს იწყებს, უცნაურ მიმიკებს იღებს, ფსიქიკურად სრულიად დაშლილია. გარეგნულადაც ასეა – 33 წლისაა და მინიმუმ, 50-ისა გეგონებათ“, – ამბობს ადვოკატი.

„ეროვნული პრევენციის მექანიზმის“ წევრების ინფორმაციით, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2009 წელს 30-მდე დიაგნოზი შიზოფრენიული აშლილობა, რეაქციული ფსიქოზი და სხვა ტიპის მძიმე ფსიქიკური დაავადებები იყო.

დახურული, იზოლირებული გარემო, მაშინაც კი, როცა ციხეში მაღალი სტანდარტის საცხოვრებელი პირობებია, ხშირად იწვევს პატიმრების მსუბუქ დეპრესიას მაინც. მეტიც, ევროპელი სპეციალისტების გათვლით, ერთ ციხეში მსჯავრდადებულთა 60 პროცენტს შეიძლება, შეექმნას ფსიქიკური პრობლემები – მსუბუქი ნევროზული დარღვევებიდან მწვავე შიზოფრენიამდე.

ამიტომ ევროპელები ნორმად მიიჩნევენ იმას, რომ ციხის სამედიცინო მომსახურების მინიმალურ პაკეტში, სტომატოლოგის და შინაგანი მედიცინის სპეციალისტთან ერთად, ფსიქიატრის მომსახურებაც შედიოდეს და ეს მომსახურება არც ქალებისთვის არ უნდა იყოს შეზღუდული.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიის“ ხელმძღვანელი მაკა ჯიშკარიანი ამბობს, რომ პროექტი, რომლის ფარგლებშიც მისი ორგანიზაცია ქალი პატიმრების სამედიცინო დახმარებაზე, რეაბილიტაციასა და თერაპიაზე ზრუნავდა, ფაქტობრივად, ქვეყანაში ერთადერთი იყო. თუმცა, 2009 წელს, დიმიტრი შაშკინის მინისტრობისას, 3 წელზე განერილი პროექტი ჯერ ერთ წლამდე შეამცირეს, 2010 წლიდან კი, ახალი მინისტრის ხათუნა კალმახელიძის გადაწყვეტილებით, პროექტი საერთოდ შეჩერდა. მინისტრმა ეს ფაქტი, „ალტერნატიული პროექტების“ არსებობით ახსნა.

თუმცა ომბუდსმენის „პრევენციის ეროვნული მექანიზმის“ წარმომადგენლები, რომლებიც წელიწადში რამდენჯერმე



მიხედვითვე, სასჯელალსრულების სისტემიდან იგი აუცილებლად უნდა გადაეყვანათ ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში – იმ ერთადერთ სტაციონარში, სადაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტების არანებაყოფლობით მკურნალობა კანონითაა დაშვებული.

რალეზულის ოჯახის წევრები ერთხელაც არ უნახავს. პატიმრის ანამნეზიდან ჩანს ისიც, რომ ახალგაზრდა ქალი ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ ყოფილა – მას სცემდნენ მშობლები, 14 წლის ასაკში კი გაათხოვეს.

„ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, როცა მის

ატარებენ ციხეების მონიტორინგს, აცხადებენ, რომ სამინისტროს სინამდვილეში ალტერნატიული პროექტები არ აქვს. ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი და სამედიცინო ექსპერტი, ლევან ლაბაური ამბობს, რომ სასჯელალსრულების სისტემა კვლავაც ვერ უზრუნველყოფს ციხის საავადმყოფოში ქალი პატიმრების მკურნალობას, მით უმეტეს – მათთვის რეაბილიტაციის კურსებს.

„ქალებს ვერ მკურნალობენ ვერც ციხის საავადმყოფოში და მათი გადაყვანა შეუძლებელია სამოქალაქო სტაციონარშიც. ჯერ ერთი, არცერთ საავადმყოფოსთან არ აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული, გარდა ამისა, თუ ქალი ციხიდან საჯარო დაწესებულებაში გადაჰყავთ, მაშინ იქ ბადრაგის თანხლებით უნდა მივიდეს. როგორ წარმოვიდ-

მაც არსებობს, შეთავსებით ნარკოლოგის სერთიფიკატის აიღო. დამატებითი დეტვირთვის გამო კი, 2010 წლის ზაფხულიდან უარი თქვა ზუგდიდის და ბათუმის საპრობილემების გაკონტროლებაზე. ამას უბრალოდ, ფიზიკურად ვეღარ შეძლებდა“, – ამბობს ლევან ლაბაური.

პატიმართა და მსჯავრდადებულთა ერთადერთ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც დამატებით 3 ფსიქიატრი მუშაობს, პატიმრები მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის უკიდურეს სტადიაში გადაჰყავთ, ისიც მხოლოდ – მამაკაცები. ასეთი პაციენტებისთვის საავადმყოფოს სულ 39 საწოლი აქვს გამოყოფილი მაშინ, როცა ჰოლანდიის სასჯელალსრულების სისტემაში 16 ათას მსჯავრდადებულზე ფსიქიატრიული მომსახურებისთვის 700 საწოლია გამოყოფილი და, რაც მთავა-

ბზე და ციხის ადგილობრივ პერსონალზე გადადის, რომლებიც პატიმრების პრობლემებს ვერ უმკლავდებიან.

„ციხის მთავარმა ექიმმაც არ იცის, რას აკეთებს იქ მყოფი ფსიქოლოგი, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სოციალური სამსახურის დაქვემდებარებაშია და მათ შორის კოორდინაცია არ არსებობს. საერთოდ კი, ფსიქოლოგის მუშაობა, ფსიქიატრის დახმარების გარეშე სამედიცინო მომსახურებად არ ითვლება. ფსიქიატრიაში დოზის კორექციაა მნიშვნელოვანი. წამლების დანიშვნის შემდეგ, აუცილებელია, უახლოეს დღეებში ფსიქიატრმა ისევ ნახოს პაციენტი და თუ საჭიროა, პრეპარატი ან დოზა შეცვალოს, რისი კომპეტენციაც ფსიქოლოგს არ აქვს“, – ამბობს ლაბაური.

ფსიქიკური პრობლემების მქონე მსჯავ-

■ მსჯავრდადებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2009 წელს 30-მდე დიაგნოზი შიზოფრენიული აშლილობა, რეაქციული ფსიქოზი და სხვა ტიპის მძიმე ფსიქიკური დაავადებები იყო.

გენიათ, რომ ასეთი პირობებით საჯარო საავადმყოფოში მიიღოს პატიმარი?“

„ჩვენი შემოთვლების საგანი კვლავ რჩება პატიმართა ფსიქიატრიული მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დაწესებულებაში ვხვდებით ფსიქიატრიული ან ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტებს, ფსიქიატრის შტატი იქ მაინც არ არსებობს, ხოლო კონსულტანტის ვიზიტი არათანმიმდევრულია“, – ასკენიან ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) ექსპერტები 2010 წლის სექტემბრის ანგარიშში საქართველოს შესახებ.

საქართველოში სასჯელალსრულების დაწესებულებებში დღეს 22 ათასამდეა პატიმარია. მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის კი, აღმოსავლეთ საქართველოს 12 და დასავლეთ საქართველოს 5 ციხეში – მხოლოდ 2 ფსიქიატრია გამოყოფილი.

„დასავლეთის ციხეებზე პასუხისმგებელმა ფსიქიატრმა, იმის გამო, რომ სისტემაში ნარკოლოგის კადრების პრობლე-

რია, მკურნალობის უპირატესობას მამაკაცები არ ფლობენ.

ექსპერტი ფონდიდან „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ („გიფ“-ი) ამბობს, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი პოლიტიკის შედეგია. „ევროპელების მიდგომა სხვანაირია, იქ მიაჩნიათ, რომ ადამიანს შეიძლება უბრალოდ ფსიქოლოგიური კრიზისი, დეპრესია ჰქონდეს და საავადმყოფოში გადაყვანა ამიტომ სჭირდებოდეს. ჩვენთან კი მიაჩნიათ, რომ პატიმარი საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში რომ გადავიყვანოთ, მას ამისთვის აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფსიქოზი, ბოღვა, შალუცინაციები. მოკლედ, ძალიან ცუდად უნდა იყო, რომ სტაციონარული მომსახურების ღირსად მიგჩნინონ“.

თუმცა ის არ ფიქრობს, რომ პრობლემა მხოლოდ ფსიქიატრების ნაკლებობაა. მისი თქმით, ფსიქიატრის ფუნქცია დიაგნოზის დასმა და პრეპარატების გამოწერაა. მკურნალობისას მთავარი სიმძიმე კი სოციალურ მუშაკებზე, ფსიქოლოგე-

რდადებული ციხეში რომ არ მოხვდეს, ამის ერთადერთ შესაძლებლობას სასამართლოს ფსიქიატრიული ექსპერტიზა იძლევა, თუმცა „გიფ“-ის ექსპერტი გვპასუხობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ჩატარება გამოიძიებამ საჭიროდ არ მიიჩნია, ან სულაც განსასჯელის ადვოკატმა არ მოითხოვა ეს, ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტი, ციხეში მაინც აღმოჩნდება.

„ემპათიის“ ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ პატიმრებისთვის სამედიცინო მომსახურებას სასჯელალსრულების სამინისტრო დამოუკიდებლად ვერ უზრუნველყოფს და სახელმწიფომ ეს სფერო ჯანდაცვის სამინისტროს კომპეტენციაში უნდა გადაიტანოს. მანამდე კი, პატიმრების ფსიქიკურ მდგარდობას დამორგუნავ ოთხ კედელთან ერთად, გაუმართავი სამედიცინო მომსახურება კვლავაც შეუქმნის საფრთხეს. 33 წლის ნინოს ისტორიის მსგავსად კი, სამართლის პოვნის ერთადერთ იმედად ისევ სტრასბურგში ჩივილი დარჩება. ■

ოთხი თვე თანამედროვე მახობხეების ტყვეობაში

„საჭმელს არ გვაძლევენ, ჯაჭვებით გვაბამენ, ღამე გვალვიძებენ და გვცემენ“ –
სომალელი მეკობრეების ქართველი ტყვეები რამდენიმენამიან სატელეფონო საუბარში
სასწრაფოდ შველას ითხოვენ.

ეკა ქადაგიშვილი



2010 წლის აპრილში ამერიკული სა-
მხედრო გემი სომალის სანაპიროსთან
პატრულირებდა, როცა ნინბეიანი პა-
ტარა ნავიდან ცეცხლი გაუხსნეს. მცი-
რეხნიანი დევნის შემდეგ ამერიკულმა
გემმა ნავის ეკიპაჟის – ხუთი სომალე-
ლი მეკობრის შეპყრობა შეძლო. მათი
საქმე ამერიკაში ფედერალური სასა-
მართლოს მოსამართლემ რეიმონდ ჯე-
ქსონმა მოისმინა, თუმცა მეკობრეობის
მუხლით სომალელების გასამართლება
ვერ მოახერხა. ჯექსონის თქმით, სი-
ტყუა „მეკობრეობის“ განმარტება ამე-
რიკულ კანონმდებლობაში 1819 წლის
შემდეგ არ შეცვლილა, ამ განმარტების
მიხედვით კი, მეკობრეობა ნიშნავდა
დაყაჩაღებას ზღვაზე და არა უბრალოდ
ცეცხლის გახსნას, რის გამოც სომალე-
ლები ვერ დასაჯა.

ასე დასრულდა მეკობრეების წინა-
აღმდეგ მე-19 საუკუნის შემდეგ პირ-
ველად აღძრული საქმე ამერიკაში.
არადა, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით,
დატყვევებული გემების მფლობელე-
ბისგან სომალელი მეკობრეები ერთი
წლის განმავლობაში 150 მილიონი დო-
ლარის მოგებას ნახულობენ.

სომალიში, ადენის ყურეში გავრცე-
ლებული მეკობრეობა უკვე რამდენიმე
წელია, უნივერსალურ პრობლემას წარ-
მოადგენს. აფრიკელი მეკობრეები არ
ცნობენ განვითარებულ და განვითარ-
ებად ქვეყნებს. სარჩოს საძებნელად
ისინი ყველა იმ გადაზიდვაზე გემს უსა-
ფრდებიან, რომლებიც რეისებს ადენის
ყურის გავლით ასრულებენ.

საერთაშორისო სამართალი, ამერი-
კული კანონმდებლობის მსგავსი ლა-

ფსუსებისა და სხვა მიზეზების გამო,
დღემდე ვერ ახერხებს პრობლემის
ეფექტურად გადაჭრას. ეს მაშინ, როცა
გატაცებათა რიცხვი წლიდან წლამდე
იზრდება. ისევე, როგორც შარშან, თი-
თქმის გაორმაგდა ის თანხა, რაც სო-
მალელ მეკობრეებს გამოსასყიდის სა-
ხით გადაუხადეს. სიტუაცია იძაბება იმ
მხრივაც, რომ მოლაპარაკებებს მეკო-
ბრეებთან სულ უფრო მეტი დრო სჭირ-
დება. 2010 წლის სექტემბერში ექვსი
დატყვევებული გემის გათავისუფლება
120 დღის შემდეგ მოხერხდა.

ამ წუთებში, ადენის ყურეში თანამე-
დროვე მეკობრეების ტყვეობაში 600-
მდე ადამიანი იმყოფება. მათ შორის 15
ქართველია.

ბათუმელმა ლერა შავლიძემ მეზღ-
ვაური ქმარი შორეულ ნაოსნობაში

ბერძნული გემით 10 თვის წინ გააცილა. ოთხი თვის წინ მისი ქმარი და დანარჩენი ქართველები სომალელებმა შეიპყრეს. ახლა ლერა შავლაძე ტყვე მეზღვაურების ნათესავებთან ერთად ბათუმის უზენაესი საბჭოს შენობის წინ აქციის მოწყობით ცდილობს ქმრის დახმარებას. თუმცა აქცია რამდენიმე საათში უშედეგოდ იშლება. მეკობრეებთან მოლაპარაკება რთული და დღემდე უშედეგოა.

„საჭმელს არ გვაძლევენ, ჯაჭვებით გვაბამენ, ღამე გვაღვიძებენ და გვცემენ. გვიშველეთ რამე!“ – ამბობს სომალელების ქართველი ტყვე, დავით დევაძე სატელეფონო საუბარში. გარშემო ხმაურია, ისმის ტალღების ხმა და მამაკაცების ხმამალალი საუბარი. „ფული გადაიხადეთ, ფული!“ – დამტვრეული ინგლისურით ყვირის ერთ-ერთი – ეს სომალელი მეკობრეა, რომელმაც, თავის მეგობრებთან ერთად, ქართველ მეზღვაურებს ერთთვისანი პაუზის შემდეგ პირველად მისცა შინ დარეკვის

ვრების გათავისუფლება, მაგრამ ჩვენ ყველა ზომას ვიყენებთ და ვფიქრობ, ეს დიდ ხანს აღარ გაგრძელდება“, – ეს განცხადება ბერძენმა ადვოკატმა გადაცემა „პოსტსკრიპტუმის“ ეთერში გააკეთა. მაგრამ ბერძენებს გამოსასყიდი ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ. გასაიდუმლოებულია გამოსასყიდი თანხის ოდენობაც.

დატყვევებულებს შორის ახალგაზრდებიც არიან და ასაკოვნებიც. მათი ჰიგიენური პირობები მძიმეა – ყველანი ერთად ერთ პატარა კაიუტაში არიან შეყრილები. დღეში ნახევარ ჭიქა წყალს ასმევენ. საკვებიც უფრო და უფრო იშვიათად მიაქვთ. დროდადრო ჯაჭვით აბამენ და ცემენ. დატყვევებიდან 4 თვის თავზე სტრესთან გამკლავება მეზღვაურებს სულ უფრო უჭირთ.

ტანკერი სახელად „ოლიბ ჯი“ ქართველებისგან დაკომპლექტებულ ეკიპაჟს ინდოეთში, ჯართის გასაყიდად უნდა ჩაეყვანა. ის ბერძნული კომპანია „ფრიო ვენჩერის“ საკუთრებაა და 1988

ლი ეკიპაჟი მართავდა, სიძველის გამო საკმარისი სიჩქარე ვერ განავითარა და ამერიკელთა ქარავანს ჩამორჩა.

რაც დრო გადის, ტანკერს სულ უფრო მეტი პრობლემა ექმნება.

„ამინდი ხშირად იცვლება და შესაძლებელია, ნაპირზე გაგვიტანოს. დიდი შტორმი თუ იქნა, დაზიანდება გემი და შესაძლოა, ეკიპაჟიც“, – ყვება სატელეფონო საუბარში დავით დევაძე.

მეზღვაურების დასაქმებაზე ბათუმში 50-მდე კომპანია მუშაობს. ისინი სერტიფიცირებული ქართველი მეზღვაურების მონაცემთა ბაზას ქმნიან და უცხოურ კომპანიებს უგზავნიან. მეზღვაურთა კონტრაქტებსა და უსაფრთხოებაზე პასუხს დამსაქმებელი კომპანია აგებს. ერთ-ერთი ასეთი ბათუმური კომპანია „გრინვიჩი 21“ წელიწადში 100-მდე მეზღვაურს ასაქმებს. ხელფასი თანამდებობის მიხედვით, 800-დან 7 ათას დოლარამდეა. ადენის ყურეში გამგზავრებისთვის კი ქართველ მეზღვაურებს დამატებითი ფინანსური

■ დატყვევებულებს შორის ახალგაზრდებიც არიან და ასაკოვნებიც. მათი ჰიგიენური პირობები მძიმეა – ყველანი ერთად ერთ პატარა კაიუტაში არიან შეყრილები. დღეში ნახევარ ჭიქა წყალს ასმევენ. საკვებიც უფრო და უფრო იშვიათად მიაქვთ. დროდადრო ჯაჭვით აბამენ და ცემენ.

უფლება.

როგორც წესი, მეკობრეებთან მოლაპარაკებას გამოსასყიდის შესახებ გემის მფლობელი ანარმოებს. ქართველების ტყვეობა კი მხოლოდ იმ მიზეზით გაიწვია, რომ ბერძენი ადვოკატი მეკობრეებს თანხის შესახებ ვერ მოელაპარაკა. 7 დეკემბერს ადვოკატი სტელიოს კალოგერიანისი ათენში საქართველოს ელჩს შეხვდა.

„იმის შესახებ, რომ ქართველ მეზღვაურებს ამიშვილებენ, არაფერი ვიცი. ცხადია, სახარბილო პირობებში არ იმყოფებიან, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ ეს პირობები მათ სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის. გემი ისეთ ადგილას დგას, რომ მიახლოება შეუძლებელია. ჯერ ზუსტად უცნობია, რამდენ ხანში მოხერხდება ეკიპაჟის წე-

ნელსაა გამოშვებული. ამიტომ მისი ფასი მხოლოდ მილიონი დოლარი იყო. ეკიპაჟის ზოგიერთმა წევრმა არ იცოდა, რომ სახიფათო ზონაში მიდიოდა, ვინც იცოდა, ეგონა, გაუმართლებდა – ძველ გემს მეკობრეები თავდასხმის ღირსად არ მიიჩნევდნენ.

თუმცა შეიარაღებულმა მეკობრეებმა გემი 8 სექტემბერს ადენის ყურეში დააკავეს. სწორედ ეს ვინრო ყურეა მეკობრეებისთვის ყველაზე ხელსაყრელი. ეკიპაჟს გემზე დაცვა არ ჰყავს და ამიტომ წინააღმდეგობის განევა შეუძლებელია.

ზოგიერთ გემს ამერიკის მეექვსე სამხედრო ფლოტი იცავს, რომელიც ხომალდებს უსაფრთხოებისთვის სპეციალური ქარავნით აცილებს. ბერძენების ტანკერმა კი, რომელსაც ქართუ-

მოტივაციაც ჰქონდათ – „გრინვიჩი 21“-ის ხელმძღვანელისა და გატაცებული მეზღვაურის, დავით დევაძის მამის, სერგო დევაძის თქმით, იმის გამო, რომ სახიფათო ზონაში მიდიოდნენ, ყველა მეზღვაურს ორმაგი ხელფასი დაენიშნა.

ადენის ყურეში დღეს მეკობრეთა რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფება მოქმედებს. 17-დან 35 წლამდე ახალგაზრდა სომალელები საკუთარ თავს მეკობრეებს არ ეძახიან, არც ცალი თვალი აქვთ ახვეული და შორეულ წყლებში არც ხის გემებით მოგზაურობენ. სამაგიეროდ, არ აკლიათ შეიარაღება და მუდმივად მსოფლიოს ახალი ამბების ყურადღების ცენტრში ხვდებიან. მათი დამსახურებაა ის, რომ სომალის სანაპირო ზოლი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ზონად ითვლება.

კაპიტანი საშა კონცელიძე დღეს ბათუმში ცხოვრობს. 2 წლის წინ 64 დღე სომალელი მეკობრეების ტყვეობაში გაატარა. ამბობს, რომ სომალელი მეკობრეების მთავარი ძალა შეიარაღებაა. „იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ინგლისურად ვერ მეტყველებდნენ, კომპასიც კი არ ჰქონდათ და გვეკითხებოდნენ, სად ვართო. მოგვიახლოვდნენ ჩუმად, პატარა ნავით, ამოძვრნენ მალულად და იარაღის მუქარით ძირს დაგვანვინეს“, – იხსენებს ტყვეობას საშა კონცელიძე.


ეს ორინლისწინანდელი შემთხვევა ადენის ყურეში მოხდა. წითელი ზღვის გავლით, ეს ყურე უმოკლესი გზაა ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთის ოკეანისკენ მიმავალი გემებისთვის. შეიარაღებული მეკობრეები პატარა მოტორიანი ნავებით, ზღვაში ღრმად შედიან და გემებთან მიახლოებას დროულად ახერხებენ. ამას მანამ ასწრებენ, ვიდრე ამერიკის მეექვსე სამხედრო ფლოტის დაცვა ამოქმედდება.

მეკობრეობა სომალელ ახალგაზრდებს შორის, რომელთაგან ბევრი ყოფილი მეთევზეა, მომგებიანი ბიზნესია და რისკადაც ღირს. მინიმალური გამოსასყიდის სახით ისინი თითო გატაცების შემთხვევაში 2 მილიონამდე დოლარს ითხოვენ, წელიწადში კი ასამდე გემის დატყვევებას ახერხებენ და გამოდის, რომ მეკობრეობის ხარჯზე ეს ადამიანები მილიონერებივით ცხოვრობენ ქვეყანაში, სადაც ბოლო 17 წელია, ომი და სიღარიბეა. სომალელი დამნაშავეები მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაშიც კი იღებენ, რადგან ისინი აძლევენ ადგილობრივ ბიზნესმენებს ფულს სესხის სახით.

მეკობრეებს სომალიში კიდევ ერთი ბიზნესი აქვთ. თვეობით გატაცებულ გემებს საკვების მიწოდება სჭირდება. ამიტომ ხმელეთზე სპეციალური რესტორნები გაიხსნა, სადაც კერძები მზადდება და დატყვევებულ გემებზე იგზავნება. რესტორანში ადგილობრივი

მოსახლეობა დასაქმებული, რომლებსაც მეკობრეები ყოველთვიურ ხელფასს უხდიან.

2009 წლის 10 სექტემბერს ამერიკამ გაეროში სომალისთან ერთად მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. გაეროს დოკუმენტის მიხედვით, ტერიტორიას 15 ქვეყნის გემები აკონტროლებენ. ამის შემდეგ მეკობრეობის ფაქტები არ შემცირებულა, თუმცა გახშირდა თავად მეკობრეების დაპატიმრების შემთხვევები.

გერმანიაში სომალელი მეკობრეების პირველი სასამართლო პროცესი დეკემბერში შედგა. ეს ოთხასი წლის განმავლობაში გერმანიაში მეკობრეების წინააღმდეგ გამართული პირველი პროცესია. ერთ-ერთი ბრალდებული 13 წლის არის. ექსპერტები ამბობენ, რომ გერმანული სასამართლო ვერც ამჯერად შეაჩერებს მეკობრეებს, რომლებმაც წელს უკვე 37 გემის დატყვევება შეძლეს. 



სომალელი მეკობრეების სასამართლო პროცესი აშშ-ში

"ზახინა ვოსტოჟანს" დაისი



■ 2007 წელს „ზარია ვოსტოკას“ შენობას ძველის სტატუსი ჩამოერთვა. 2 თვის წინ კი მისი უკანა ნაწილის ნგრევა დაიწყო. ამჟამად ნაგებობის დაახლოებით ერთი მესამედი უკვე დაშლილია. ექსპერტები შიშობენ, რომ პროცესი ავთენტურ ნაწილებს აზიანებს. წინასწარი საჯარო განხილვისა და დისკუსიების გარეშე დაწყებულმა რეკონსტრუქციამ არქიტექტორების, ურბანისტების და ხელოვნებათმცოდნეების პროტესტი გამოიწვია. გასულ კვირას მათ ორი აქცია გამართეს. პროტესტს თბილისელების ნაწილიც შეუერთდა. „ნუ ვებრძვით სტალინიზმს სტალინის მეთოდებით“. „გადავარჩინოთ შენობა“, „აღუდგინეთ შენობას ძველის სტატუსი“ – ასეთი იყო დემონსტრანტების მოთხოვნები.



■ „ზარია ვოსტოკას“ შენობის ნაცვლად აქ მულტიფუნქციური ცენტრის აგება იგეგმება. ცენტრის ორი სავარაუდო პროექტი უკვე არსებობს.

■ რუსთაველის 42-ში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა 1930 წელს, სომეხი ხუროთმოძღვრის, დავით ჩისლევის პროექტით აიგო. შენობა 20-30-იანი წლების არქიტექტორული მიმდინარეობის, კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია. „იმელის“ შენობასთან ერთად „ზარია ვოსტოკა“ ამ სტილში აგებული ერთ-ერთი იშვიათი და გამორჩეული ნაგებობაა საქართველოში. ლუდვიგ ვან დერ როის ცნობილი გერმანული პავილიონის (1929) შემდეგ აგებული „ზარია ვოსტოკას“ შენობა იმის საინტერესო მაგალითიცაა, თუ რამდენად მალე შემოდოდა საქართველოში ახალი მსოფლიო მიმდინარეობები.

თვალსაზრისი

სახელმწიფოს მიუხედავად დაფინანსების შესახებ

უნდა აფინანსებდეს თუ არა სახელმწიფო ეკლესიას და თუ – კი, როგორ და რამდენით?

გიგა ლოღობერიძე, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის უფროსი მკვლევარი, ბელგია



ფოტო: თამარ პარპიანიანი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სამების საკათედრო ტაძარში

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა – ეს ის თემაა, რომელიც აქტუალობას მუდმივად ინარჩუნებს. საზოგადოების ერთი ნაწილი შიშობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენის

გაძლიერების გამო საქართველომ შესაძლოა, უარი თქვას სეკულარული სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებზე. საკითხი კომპლექსურია და მის ყოველმომცველ განხილვაზე პრეტენზია

არ მაქვს. მინდა, შევეხო მხოლოდ ერთ პრობლემას, რომელიც დისკუსიებში ხშირად ფიგურირებს: რამდენად მისაღებია სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება?

ყველაზე პირდაპირ ეს კითხვა 2009 წლის 3 დეკემბერს, ხელისუფლების მისამართით შედგენილ მიმართვაში დაისვა, რომელსაც ქართული საზოგადოების ნაწილი ანერდა ხელს. ამ ჩამონათვალმა მაშინ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ავტორები წერდნენ: „სახელმწიფო ბიუჯეტი ივსება, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი მოქალაქეების, ასევე სხვა აღმსარებლობის მიმდევარი, ათეისტი და არარელიგიური მოქალაქეების გადასახადებით. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ ფონზე, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან, ასევე საბიუჯეტო სახსრებიდან (25 მილიონი – 2009 წელს) მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსება არის დისკრიმინაცია და სახელმწიფოს ჩარევა ეკლესიის საქმიანობაში?“

ეს კითხვა რეალურად 2 დამოუკიდებელი კითხვისგან შედგება:

1. რამდენად მისაღებია სეკულარულ სახელმწიფოში სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსება?

2. ის ფაქტი, რომ ფინანსდება მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესია, ხომ არ არღვევს საქართველოს არამართლმადიდებელი მოსახლეობის უფლებებს?

ქართულ მედიაში რაიმე საკითხზე მსჯელობას ერთი ცუდი თვისება აქვს – ფაქტებსა და არგუმენტებს ხშირად ლოზუნგები და ემოციები სჭარბობს. ასე რომ არ გამომივიდეს, ვეცდები, ჯერ ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება აღვწერო და მხოლოდ ამის შემდეგ მოგახსენოთ ჩემი აზრიც.

იტალიაში მოქმედებს ე.წ. რვა მეთასედის კანონი, რომლის მიხედვითაც გადასახადის ყველა გადამხდელს აქვს უფლება, მისი სამომსავლო გადასახადის 0.8 პროცენტი გადაურცილოს რომელიმე აღიარებულ რელიგიურ ინსტიტუციას, ან სახელმწიფო პროგრამას. აღიარებული ეკლესიის სტატუსი აქვს 6 ორგანიზაციას, რომლებსაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება იტალიის სახელმწიფოსთან. ამ ინსტიტუციებს შორის არცერთი არაა მართლმადიდებლური ან მაჰმადიანური ორგანიზაცია. ხოლო თუ პიროვნება საგადასახადო დეკლარაციის შევსებისას არ მიუთითებს, თუ რომელ ორგანიზაციას ანიჭებს

პრიორიტეტს, მაშინ მისი შემოსავლის 0.8 პროცენტი ნაწილდება სხვა მოქალაქეების მიერ გაკეთებული არჩევნის პროპორციულად. ამ სქემით, კათოლიკური ეკლესია წლის განმავლობაში იღებს ამ თანხის 87 პროცენტს, ანუ – დაახლოებით 1 მილიარდ ევროს. გამოდის, რომ თუ თქვენ ხართ მართლმადიდებელი ან მაჰმადიანი, თქვენ ვერ დააფინანსებთ საკუთარ რელიგიურ ჯგუფს. ხოლო თუ არ გამოიყენებთ, საკუთარ უფლებას, განკარგოთ გადასახადის ნაწილი, მაშინ თქვენი განსაკარგი თანხის პროცენტს კათოლიკური ეკლესია მიიღებს.

ბელგიაში ყველა ტრადიციული კონფესიის (კათოლიციზმი, ლუთერანიზმი, ანგლიკანიზმი, მართლმადიდებლობა, იუდეიზმი და მაჰმადიანობა) მოქმედი სასულიერო პირი, ანუ სასულიერო პირი, რომელსაც მრევლი ჰყავს, ხელფასს სა-

მა არჩევანი უნდა გააკეთოს კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიას ან არარელიგიურ ინსტიტუციას შორის. ზოგიერთი რელიგიური უმცირესობა, მაგალითად, ებრაელები, სახელმწიფოს დახმარებას არ იყენებენ და თავად აგროვებენ თავისი წევრების რელიგიურ ბეგარას მხოლოდ გერმანიაში.

სხვა ქვეყნებში, სადაც საეკლესიო ბეგარა მოქმედებს, გადასახადის გადამხდელს ან მხოლოდ დომინანტი რელიგიის დაფინანსება შეუძლია, ან აქვს უფლება, თანხა საერთოდ არ გადაიხადოს. თუმცა ამ ქვეყნებში სახელმწიფო ხშირად დამატებით სახსრებს გამოყოფს ეკლესიისთვის, რომელიც, როგორც წესი, დომინანტ რელიგიას ხმარდება. მაგალითად, დანიის მთავრობა დომინანტ ეკლესიას წელიწადში 100 მილიონ ევროს უხდის. ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანული

■ იტალიაში თუ არ გამოიყენებთ საკუთარ უფლებას, განკარგოთ გადასახადის ნაწილი, მაშინ თქვენი განსაკარგი თანხის პროცენტს კათოლიკური ეკლესია მიიღებს.

ხელმწიფოსგან იღებს. ანუ, სახელმწიფო უხდის ჯამაგირს ბრიუსელში მოღვაწე ქართული ეკლესიის მღვდელსაც.

ამ მხრივ, ბელგიაში ძირითად კონფესიებს შორის ბალანსი დაცულია. თუმცა ამ დაფინანსების გარდა, სახელმწიფო სხვა გზებითაც აფინანსებს რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლის დროსაც ბალანსი უკვე დარღვეულია. მაგალითად, ბელგიაში მრავლად არსებობს კათოლიკური სკოლები (რომლებიც ძალიან პოპულარულია იმ მიზეზით, რომ ამ სკოლებში მაჰმადიანი უმცირესობის წარმომადგენლები არ სწავლობენ) და მათ თითქმის მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. ცხადია, ბელგიაში „მუსლიმური სკოლა“ არ არის და, შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსებასაც არ იღებს.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს საეკლესიო ბეგარა (გერმანია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ავსტრია, შვეიცარია, ისლანდია). გერმანიაში საგადასახადო დეკლარაციის შევსებისას გადამხდელ-

ეკლესია კი სახელმწიფოსგან დამატებით მოგების გადასახადის 1.63 პროცენტს იღებს. აღსანიშნავია, რომ ფინეთში მორწმუნეთა წილი მოსახლეობის 41 პროცენტს შეადგენს, ხოლო ეკლესიაში ამაზე გაცილებით ნაკლები ადამიანი დადის.

ბელგიის გარდა დომინანტი რელიგიის საეკლესიო სკოლები სახელმწიფო დაფინანსებით არსებობს ბრიტანეთში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ირლანდიაში და გერმანიაში. ქვეყნებში, როგორცაა ავსტრია, იტალია, პოლონეთი და ესპანეთი, კათოლიკე მღვდლებს საჯარო სკოლებში რელიგიის მასწავლებლებადაც იწვევენ და ხელფასს უხდენ.

საბერძნეთი აფინანსებს მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების განათლებას, ხელფასებს და პენსიებს.

ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური რელიგიური კანონმდებლობა აქვს ლიტვას. ლიტვის კანონი რელიგიის შესახებ

ალიარებს 9 ტრადიციულ რელიგიას და სახელმწიფოს დახმარება ნაწილდება ამ 9 რელიგიურ ჯგუფზე. ამასთან, კანონის მიხედვით, სხვა კონფესიის წარმომადგენლებსაც აქვთ უფლება, მიმართონ ლიტვის პარლამენტს ტრადიციულ რელიგიად აღიარების მოთხოვნით, მაგრამ ამისათვის მათ ლიტვაში საქმიანობის მინიმუმ 25-წლიანი გამოცდილება უნდა გააჩნდეთ.

თუ ამ ინფორმაციას შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ: სახელმწიფო დომინანტ ან ტრადიციულ ეკლესიებს რაიმე ფორმით აფინანსებს ევროპის, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში. დაფინანსება ხშირად არასიმეტრიულია და დომინანტ

ცდილება ცხადყოფს კიდევ ერთს: მხოლოდ ის გარემოება, რომ სახელმწიფო ეკლესიას აფინანსებს, სეკულარობის პრინციპის დარღვევას არ ნიშნავს – ძნელია, თუნდაც ბელგიას არასეკულარული სახელმწიფო უწოდო.

პირველ კითხვაზე – რამდენად მისაღებია სეკულარულ სახელმწიფოში სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსება – ჩემი პასუხი დადებითია, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური არ ვარ. თუ ევროპისკენ მივდივართ, მაშინ ქვეყანა, რომელშიც მოსახლეობის 86 პროცენტი თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს, ხოლო მორწმუნეების საერთო რაოდენობა კიდევ უფრო დიდია, სახელმწიფო

სული ვარიანტის მონახვა იქნებოდა, რომელიც, ერთი მხრივ, ეჭვქვეშ არ დააყენებდა მართლმადიდებელი ეკლესიის დომინანტურ როლს, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა ტრადიციული რელიგიის მიმდევრებსაც მისცემდა საშუალებას, მიეღოთ გარკვეული სახელმწიფო დაფინანსება.

საკითხის მოგვარების შესაძლო ვარიანტი შეიძლება იყოს ლიტვური მოდელის დანერგვა. ლიტვაში იტალიის მსგავსი სქემა მოქმედებს. ყველა გადასახადის გადამხდელი თავად განკარგავს მის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 2 პროცენტს. მას შეუძლია, ეს თანხა გადასცეს ნებისმიერ ტრადიციულ რელიგიურ, არასამთავრობო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ასეთი მოდელი, ერთი მხრივ, რელიგიური ორგანიზაციების გარდა, უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსებასაც, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასაც. ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა იყვნენ ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოური გრანტების ანაბარა.

ასეთი სქემის პირობებში თავად ბენეფიციარები იქნებიან დაინტერესებული, რომ მათი საქმიანობა რაც შეიძლება გამჭვირვალე გახადონ და ამით მეტი სახსრების მოზიდვა შეძლონ. საგადასახადო დეკლარაციების შევსების პერიოდში იტალიური ტელევიზიები სავესტა სარეკლამო კლიპებით კათოლიკური ეკლესიის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ, რომლებიც გადამხდელებს მოუწოდებს, კათოლიკური ეკლესია დააფინანსონ.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ტიპის ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადიდან შემოსული თანხა ბიუჯეტის ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს, ამიტომ ასეთი ხარჯი ბიუჯეტს დიდად ვერ დააზარალებს.

სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შესაძლებელია, ჰქონდეთ სხვა საერთო მიზნობრივი პროექტები, მაგალითად, ბავშვთა სახლები ან ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრები, რომლებსაც სახელმწიფო დაფინანსებით ეკლესია მიხედავს. **■**

■ სახელმწიფო დომინანტ ან ტრადიციულ ეკლესიებს რაიმე ფორმით აფინანსებს ევროპის, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში. დაფინანსება ხშირად არასიმეტრიულია და დომინანტ რელიგიას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

რელიგიას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. არატრადიციულ რელიგიურ ჯგუფებს სახელმწიფო, პრაქტიკულად, არ აფინანსებს. მაგალითად, მცდელიობის მიუხედავად, ვერ ვიპოვე ევროპული ქვეყანა, რომელშიც სახელმწიფო იეჰოვას მოწმეებს დააფინანსებდა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: ვთქვათ, ბელგიაში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 43 პროცენტი აცხადებს, რომ მორწმუნეა, ხოლო ეკლესიაში მოქალაქეების 10 პროცენტი დადის, ნელინადში რამდენჯერმე კი მთელი ქვეყანა კათოლიკე მღვდლების მორიგ პედოფილიურ სკანდალზე საუბრობს, რატომ აფინანსებს სახელმწიფო ეკლესიას?

ამ საკითხზე ჩემს რამდენიმე ადგილობრივ არამორწმუნე მეგობარს ვესაუბრე და მათი პასუხი დაახლოებით ასე შეიძლება შევაჯამოთ: ყველაფრის მიუხედავად, სახელმწიფო მიიჩნევს, რომ საზოგადოების თვითორგანიზაციისთვის რელიგია საჭირო და სასარგებლოა. ეკლესიების დაფინანსებაც სწორედ ამითაა განპირობებული.

ზემოთ განხილული ევროპული გამო-

რალაც ფორმით ეკლესიას უნდა აფინანსებდეს. პირადად ჩემთვის პრობლემა დაფინანსება კი არა, ის ფორმაა, რითაც ამას ქართული სახელმწიფო აკეთებს. ეს მოქრთამებასა თუ ინდულგენციის გადასახადს უფრო ნააგავს, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის გააზრებულ დაფინანსებას. გაუგებარია, საიდან დგინდება მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა ბიუჯეტის შედგენისას და რა არის ამ დაფინანსების დანიშნულება.

მეორე შეკითხვაზე პასუხი ბევრად უფრო პრობლემატური მგონია. ერთი მხრივ, გასაგებია, რომ ყველა მოქალაქე თანასწორია და რელიგიურ უმცირესობებსაც უნდა ჰქონდეთ სახელმწიფო მხარდაჭერა, თუმცა ევროპული რეალობა გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ფორმით დომინანტი რელიგიური ჯგუფი, პრაქტიკულად, ყველაზე უპირატეს მდგომარეობაშია. ამ კონტექსტში გაუგებარია, რატომ უნდა ვიყოთ იტალიელებზე, ფინელებზე ან ბერძნებზე უფრო დიდი ლიბერალები.

საუკეთესო გამოსავალი კომპრომი-

ჯინის ხოფისიანი



როგორია თანასწორობის „ოპტიმალური“ დონე, როგორ და როდის მივალწვეთ მას?

მარკ მალენი

ჯინის კოეფიციენტი მათემატიკური კონცეფციაა, რომელიც იტალიელმა მათემატიკოსმა კორადო ჯინიმ 1914 წელს შეიმუშავა. დღესდღეობით, ეს განანილების უთანასწორობის გაზომვის ყველაზე ადეკვატური საშუალებაა, სადაც ციფრი 0 აღნიშნავს ყველაზე თანასწორს, ხოლო 100 კი – უთანასწორს. აღნიშნული ფორმულა ყველაფრის გასაზომად შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ ყველაზე მეტად ის იმის დასადგენად გამოიყენება, თუ რამდენად თანაბრად არის განანილებული ფული სხვადასხვა ქვეყნებში.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს სოფელი უსწორეთი, სადაც 500 ადამიანი ცხოვრობს. ერთ-ერთი მათგანი თვეში 100 000 დოლარს გამოიმუშავებს, რაც დაახლოებით, ნიუიორკელი ან ლონდონელი მაღალი რანგის ბანკირის ხელფასის ტოლფასია. დანარჩენ მკვიდრთა ყოველთვიური შემოსავალი კი თვეში 1 დოლარია. სოფელში საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 201 დოლარი გამოდის. ეს არც ისე ცუდია, მაგრამ სოფლის ბინადართა ეკონომიკურ მდგომარეობაზე ბევრს არაფერს გვეუბნება, იმიტომ, რომ სოფელს ჯინის კოეფიციენტი მაღალი აქვს. მეზობელ სოფელში, რომელსაც თანაბრეთი ჰქვია, ასევე 500 ადამიანი ცხოვრობს და თითოეული მოსახლე



თვეში 200 დოლარს გამოიმუშავენ. თანაბრეთის მოსახლეობის საშუალო შემოსავალი უსწორეთზე ოდნავ ნაკლები გამოდის, მაგრამ სოფელს ჯინის კოეფიციენტი დაბალი აქვს. ნათელია, რომ ეს ორი სოფელი ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება, მაგრამ, ამავდროულად, მათ ერთ სულ მოსახლეზე თითქმის ერთნაირი საშუალო შემოსავალი აქვთ.

ყველა ქვეყანა ცდილობს, გამდიდრდეს და საშუალო შემოსავლები გაიზარდოს. ამავე დროს, არსებობს უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თანასწორობა. ერთი მხარე ამბობს, რომ თანასწორობაზე არ უნდა ვიდარდოთ და ყველაზე მნიშვნელოვანი მთავრობის მიერ ეკონომიკაში ნაკლები ჩარევაა. ნაკლები ჩარევის შედეგად, ხალხი იმას გააკეთებს, რაც მოუნდება და ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდება. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადების მეშვეობით, შემოსავლების გადანაწილება მოხდება, ეს ადამიანებს გააზარმაცებს. ამ თეორიის თუ გჯერა, ისიც უნდა დაიჯერო, რომ მდიდარი ადამიანები მხოლოდ იმიტომ არიან მდიდრები, რომ ბევრს მუშაობდნენ და ან სხვებზე ჭკვიანები არიან. არადა, ისეთი მდიდრების რიცხვი ძალიან ცოტაა, ვინც წარმატებას მართლა მძიმე შრომითა და ჭკუით მიაღწიეს, მათ უმრავლესობას უბრალოდ გაუმართლა და საჭირო კავშირები აღმოაჩნდა.

საბჭოთა კავშირის ჯინის კოეფიციენტი დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ მისი დაშლის შემდეგ იგი საგრძნობლად გაიზარდა. რუსეთი ყველაზე უფრო ნაკლებად თანასწორი საზოგადოებაა, მისი ინდექსი – 42-ია, თუმცა მას ბევრად არც საქართველო და თურქმენეთი ჩამორჩება, რომელთა ჯინის კოეფიციენტი 41-ია. უთანასწორობას ბევრი ისეთი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელსაც მთავრობა ვერ გააკონტროლებს, მაგალითად, ნავთობი და ომი, მაგრამ დანარჩენ შემთხვევებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებები

ბი ბევრ რამეს განსაზღვრავს.

საბჭოთა კავშირის გარეთ, ინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოქმნილმა სიმდიდრემ უთანასწორობა წარმოშვა. ეს კი, თავის მხრივ, არასტაბილურობის გამომწვევი მიზეზი გახდა. ორ მსოფლიო ომს შორის დიდი ეკონომიკური დეპრესია მოხდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, ევროპამ და ამერიკამ დიდი ძალისხ-

■ საბჭოთა კავშირის ჯინის კოეფიციენტი დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ მისი დაშლის შემდეგ იგი საგრძნობლად გაიზარდა. რუსეთი ყველაზე უფრო ნაკლებად თანასწორი საზოგადოებაა, მისი ინდექსი – 42-ია, თუმცა მას ბევრად არც საქართველო და თურქმენეთი ჩამორჩება.

მევა ჩადეს იმაში, რომ ომისშემდგომ რეკონსტრუქციაში ყველას მეტნაკლებად თანაბარი მონაწილეობა მიეღო. ამ პერიოდში დასავლური საზოგადოებები უფრო მეტად თანასწორი იყო. ევროპამ ამგვარი პოლიტიკა გააგრძელა, ამერიკამ – არა.

ამერიკის ჯინის კოეფიციენტი 1970 წელს 35 იყო, მაგრამ ბოლო 40 წლის განმავლობაში ის მცირდებოდა, ახლა – 47-მდე ჩამოვიდა. დღესდღეობით, მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით ყველაზე თანასწორი ქვეყნები ევროპაშია: შვედეთი, ნორვეგია და ავსტრია. ამ ქვეყნების ჯინის კოეფიციენტი 20-დან 30-მდე მერყეობს.

ყველაზე ნაკლებად თანასწორი საზოგადოებები აფრიკაშია, სადაც ჯინის კოეფიციენტი 60-ზე მეტია, ლათინურ ამერიკაში – 50-ზე მეტი.

მსოფლიოში ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თანასწორობა თავისთავად კარგი მდგომარეობაა. ამ არგუმენტის მიხედვით, იქ, სადაც ნაკლები თანასწორობაა, საზოგადოებას ისეთ სფეროებში ექმნება პრობლემები, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება და სტაბილურობა. სხვები მიიჩნევენ, რომ ის საზოგადოებები, რომლებიც უთანასწორობას გადასახადების დაწესებით ებრძვიან, მოქალაქეების ეკონომიკურ ინიციატივას აქვეითებენ. ამ ქვეყნებში, სახელმწიფო აჯილდოებს იმათ, ვინც არ მუშაობს და ის ხალხი, რომელსაც ეკონომიკური სიკეთების შექმნა შეუძლია, მუშაობის ინიციატივას კარგავს. იმ ქვეყნებს რომ შევხედოთ, რომელთაც ჯინის კოეფიციენტი დაბალი აქვთ, ამ თეორიის დამადასტურებელ მაგალითს ვიპოვით, მაგრამ მისი, მაგალითად, საქართველოში, მაინც სჯერათ.

იმის თქმა, თუ რომელმა ჯგუფებმა იზარალეს და იხიერეს საქართველოში, სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის პირობებში, ადვილია. რა თქმა უნდა, ხალხის პოლიტიკა მათი ეკონომიკური გამოცდილებით არის ნაკარნახევი.

გლობალური ფინანსური კრიზისის და ზოგიერთი ღარიბი ქვეყნის ბოლოდროინდელი ეკონომიკური განვითარების ფონზე, უთანასწორობის თემა მეტად აქტუალურია და საქართველოშიც მას უფრო მეტ ყურადღებას უნდა აქცევდნენ. რა თქმა უნდა, ეკონომიკური თავისუფლება მნიშვნელოვანია და მან საქართველოს განვითარებაზე დადებითად იმოქმედა, მაგრამ როგორია თანასწორობის „ოპტიმალური“ დონე, როგორ და როდის მივალწვთ მას? საერთოდ, მნიშვნელოვანია კი თანასწორობა? სანყის ეტაპზე, იმაზე მაინც უნდა შევთანხმდეთ, რომ ყველა ვინც თანასწორობაზე საუბრობს, ბოლშევიკი არ არის. **■**

ბახეა თუ ახა ფეისბუქი ახალი ფინანსური ხიზის მოზაზი



გასკდება თუ არა „ფეისბუქის ბუშტი“ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტურად დაარეგულირებს ფედერალური მთავრობა ფინანსურ ბაზარს.

გიორგი ცხადაია

ბოლო დროს „ფეისბუქის“ დახურვასთან დაკავშირებით ჭორი გავრცელდა. ჭორი დეზინფორმაციული ახალი ამბების სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა (სხვათა შორის, ასეთი სააგენტო ქართულ ვებსაიტებშიც არსებობს – „ნი2 ნიუსი“). „ფეისბუქის“ მომხმარებლების ნაწილი ამან განსაკუთრებით შეაშფოთა, თუმცა მოგვიანებით, ნამყვანმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს ცნობა ერთხმად უარყვეს.

ამის მიუხედავად, დამშვიდების მიზეზი ჯერჯერობით არავის გვაქვს. შესაძლოა ბევრმა არ იცის, მაგრამ ბოლო დროს ეკონომისტები ერთ სამიმ მოვლენაზე ალაპარაკდნენ, რომელსაც პირობითად „ფეისბუქის ფინანსური ბუშტი“ დაერქვა. ფინანსური ბუშტები ისეთი მასშტაბური კრიზისების გამოწვევი ყოფილა, როგორცაა 30-იანი წლების „დიდი დეპრესია“, 1997 წლის აზიური ფინანსური კრიზისი და ბოლოდროინდელი ეკონომიკური რეცესია.

ვირტუალური სოციალური ქსელის ღირებულების ხელოვნურად გაბერვა ასეთი დონის კატაკლიზმებს ალბათ არ გამოიწვევს, მაგრამ მისი განხილვა მაინც აუცილებელია. ეს მომავალი საფრთხეებისა და ფინანსური კრიზისის არიდებაში მთავრობის როლის გაანალიზებაში დაგვეხმარება.

ფინანსური ბუშტები მაშინ წარმოიქმნება, როდესაც რომელიმე ეკონომიკურ სექტორში ფასების ზრდასა და აქციების რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა იზრდება. ბუშტების არსებობა, როგორც წესი, შესამჩნევი მას შემდეგ ხდება, რაც ისინი „სკდება“, ანუ ფასები კატასტროფულად ეცემა. ამის მიუხედავად, ბევრი ეკონომისტი საუბრობს იმაზე, რომ ფინანსური ბუშტების შემჩნევა და ნეიტრალიზება მაშინაც შეიძლება, როდესაც ისინი



წარმოიქმნება. „ფეისბუქის“ შემთხვევაში, შესაძლოა სწორედ ამგვარ მოვლენასთან გვეკონდეს საქმე. რა გვადლევს ამის მტკიცების საფუძველს?

სულ ახლახან ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა „Goldman Sachs“-მა და რუსულმა საინვესტიციო კომპანია Digital Sky Technology-მ „ფეისბუქის“ აქციების მცირე ნაწილი ე.წ. „მეორად ბაზარზე“ დაახლოებით 500 მილიონ დოლარად იყიდეს. ამ შესყიდვის საფუძველზე, „ფეისბუქის“ საერთო ღირებულება 50 მილიარდ დოლარად შეფასდა, ეს კი უფრო მეტია, ვიდრე yahoo!-ს და ebay-ის ღირებულება. „ფეისბუქის“ ღირებულების შეფასება იმის მიხედვით უნდა მოხდეს, თუ რამდენია მისი მოგება და პერსპექტივა. მოგება უცნობია, პერსპექტივებზე დავა კი შეიძლება.

ამჟამად „ფეისბუქის“ აქციების შესყიდვა მხოლოდ „მეორად ბაზარზე“ შესაძ-

ლებელი, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე კომპანიის აქციები ჯერ არ გაუტანიათ. სიტუაციას ახლოდან აკვირდება ფედერალური მთავრობის სააგენტო „ფასიანი ქვალადებისა და ბირჟების ამერიკული კომისია“ (SEC). სანამ „ფეისბუქის“ აქციების მყიდველთა რიცხვი 499-ს არ გადააჭარბებს, იქამდე SEC-ი მის საქმეებში ვერ ჩაერევა და კომპანიის შიდა ბუღალტერიასა და მომგებიანობას საჯაროდ ვერ გამოიტანს. ასე რომ, ახლანდელი 50 მილიარდიანი შეფასება უბრალოდ Goldman Sachs-ის და რუსული საინვესტიციო კომპანიის კერძო შეფასებას ეფუძნება, რომელიც შესაძლოა, რეალობისგან შორს იყოს.

რატომ არ არეგულირებს ამერიკის მთავრობის მარეგულირებელი კომისია „ფეისბუქის“ მეორად ბაზარზე გატანილ აქციებს? მარეგულირებელი კომისიის მიზანია, რომ უზრუნველყოს აქციების მყიდველთა

ინტერესები და საფონდო ბირჟაზე მაქსიმალურად რეალურად ასახოს კომპანიის შესაძლებლობები. SEC-ი არ არეგულირებს Goldman Sachs-ის მიერ „ფეისბუქის“ აქციების შეძენას, რადგან თვლის, რომ მსხვილი ინვესტორები თავადაც ეფექტურად მოახდენენ კომპანიის რეალური ღირებულებისა და პერსპექტივების დადგენას. ეკონომისტების ნაწილი კი ვარაუდობს, რომ Goldman Sachs-ი, რომელიც ამერიკის ფედერალური მთავრობის ფინანსურ რესურსებზეა მიბმული (ისე, როგორც ეს 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს მოხდა), ვერ მოახდენს კომპანიის ღირებულების ადეკვატურ შეფასებას და ამერიკის მთავრობის მხარდაჭერით შეგულიანებუ-

შედეგად, ამერიკის და მსოფლიოს ისტორიაში ბოლო 40 წლის მანძილზე უპრეცედენტო მასშტაბის ეკონომიკური კრიზისი მივიღეთ, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკის მთელი სისტემა რისკის ქვეშ დააყენა.

2008 წლის ფინანსური კრიზისის წინა პერიოდი არარეგულირებული ფინანსური ბაზრის განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა. უძრავი ქონების შეძენა ხშირ შემთხვევაში თავისუფლად შეიძლებოდა პირადი შემოსავლების დადასტურების გარეშე (ე.წ. subprime mortgage), რაზეც შემდეგ მთელი ფინანსური სტრუქტურა დაეფუძნა. სქემა ასეთია: მსესხებელი სესხულობდა თანხას, მაგრამ ყოველთვიურ გადასახადს აძლევდა არა გამსესხებელს,

შეუშალოს, ის ჩაერევა და „ფეისბუქს“ აიძულებს, აქციები ბირჟაზე გაიტანოს (სადაც აქციების სანდოობის გადამოწმების მეტი მექანიზმი არსებობს).

ისეთმა ავტორიტეტულმა გამოცემამაც კი, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“, 6 იანვარს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი მთავარი ეკონომისტის საიმონ ჯონსონის სტატია დაბეჭდა, სადაც ეს უკანასკნელი „ფეისბუქის ბუშტზე“ ლიად საუბრობს. ჯონსონის აზრით, თუ „ფეისბუქი“ მართლაც შექმნის ბუშტს და ამაში Goldman Sachs-ი იქნება ჩათრეული, შედეგები გაცილებით უფრო მძიმე იქნება, ვიდრე „დოთ ქომ“-ის ბუშტის დროს იყო.

მართალია, „ფეისბუქის“ შემოსავლების შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ Goldman Sachs-იც და სხვა ინვესტორებიც ვარაუდობენ, რომ მომხმარებლების ამ ტემპით ზრდის შემთხვევაში, ვებსაიტზე „მიზნობრივი რეკლამის“ შესაძლებლობებიც გაიზრდება. მიზნობრივი რეკლამა „ფეისბუქის“ ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს, რომ კონკრეტული გასაყიდი პროდუქტის სამიზნე აუდიტორია ზუსტად დაადგინოს და რეკლამის შემკვეთები მოიზიდოს. რა მოხდება მაშინ, თუ ამერიკის ან მსოფლიოს სხვა მთავრობები „ფეისბუქზე“ მომხმარებლების ინფორმაციის საჯაროობას შეზღუდვებს და ცუკერბერგის კომპანიას ამ ინფორმაციის კომერციული მიზნებისთვის გავრცელებას აუკრძალავენ? ალბათ, ამ შემთხვევაში, კომპანიის აქციების ღირებულება დაეცემა და „ბუშტიც“ გასკდება.

ნარსულში „დოთ ქომისა“ და უძრავი ქონების და ახლა უკვე „ფეისბუქის“ შესაძლო ბუშტის არსებობა იმის დასტურია, რომ ფინანსური ბაზრები რეგულაციების გარეშე ქაოსში იძირება. ამის მიზეზი ინვესტორების ხელში არასაკმარისი ინფორმაციის ქონა, გაუმართლებელ რისკებზე წასვლა და გამჭვირვალობის ნაკლებობაა. სამივე შემთხვევაში, მსოფლიოს დიდ მთავრობებს კრიზისების წარმოქმნაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. მასობრივმა დერეგულაციებმა „დიდ რეცესიამდე“ მიგვიყვანა, ვნახოთ, რამდენად გონივრულად მოიქცევა ამერიკის ფედერალური მთავრობა „ფეისბუქის“ და Goldman Sachs-ის ურთიერთობის დარეგულირების დროს. **□**

■ ნარსულში „დოთ ქომისა“ და უძრავი ქონების და ახლა უკვე „ფეისბუქის“ შესაძლო ბუშტის არსებობა იმის დასტურია, რომ ფინანსური ბაზრები რეგულაციების გარეშე ქაოსში იძირება.

ლი, სარისკო გარიგებაზე წავა.

„ფეისბუქის“ გარშემო ატეხილი სპეკულაციები ძალიან ჰგავს 90-იანი წლების მეორე ნახევრის „დოთ ქომის“ ბუშტს. აღნიშნულ პერიოდში საფონდო ბირჟაზე ისეთი კომპანიების აქციების ფასი, რომლებსაც ინტერნეტის სივრცის ათვისების პრეტენზია ჰქონდათ, არანორმალურად გაიზარდა, შემდეგ კი „გასკდა“. „დოთ ქომ“ კომპანიების ნაწილს რეალური მოგება არასდროს მოუტანია და მხოლოდ სასტარტო კაპიტალის შედინებაზე იყვნენ დამოკიდებული.

SEC-ი „ფეისბუქის“ აქციების შეძენასთან დაკავშირებულ ამბებში აქტიურად ჩარევას აპირებს და ეს წინა პერიოდთან შედარებით, შესაძლოა დადებითი ცვლილებებისა და კატასტროფის არიდების მანიშნებელი იყოს. ბუშტის პრეზიდენტობის დროს, 2003-2007 წლებში ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო ბანკმა ვერ შეძლო რეგულაციების ამოქმედება ბანკების, იპოთეკის გამცემი და სხვა ტიპის გამსესხებელი ორგანიზაციების მოსათოკად და ფინანსური ბაზრის ჯანსაღი მუშაობის აღსადგენად.

არამედ სპეციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც შემდგომ ამ ვალდებულებას ყიდდნენ ინვესტორებზე. შედეგად, მსესხებლის მიერ თანხის დაბრუნებაზე იყო დამოკიდებული რამდენიმე ფინანსური ინსტიტუტის ფუნქციონირება. როდესაც მსესხებლებმა ფული ვერ გადაიხადეს, ფინანსური სისტემა დაიშალა.

მეტი გამჭვირვალობის პირობებში, მსესხებლების მიერ სესხის დაბრუნების ალბათობა გაიზრდებოდა და შესაძლოა, კრიზისიც არ მომხდარიყო. ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ობამას მთავრობამ ფინანსურ ბაზრებზე რეგულაციები გაამკაცრა. SEC-ის ახლანდელი საქმიანობებიც სწორედ ამის დასტურია.

SEC-ი იმუქრება, რომ საჭიროების შემთხვევაში, „ფეისბუქის“ აქციებს საჯაროდ გაიტანს. Goldman Sachs-ი აპირებს სპეციალური საინვესტიციო ფონდის შექმნას, რომელიც ინვესტორებს საშუალებას მისცემს „ფეისბუქში“ 1.5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩადონ. თუ SEC-ი ჩათვლის, რომ ეს ფონდი იმისთვის შეიქმნა, რომ „ფეისბუქის“ საჯაროდ გამოტანას ხელი

31 დეკემბრის ექსტრემალური ღამე



დავინწყით ახალი წელი მსუბუქად. არავითარი კრიტიკული ანალიზი და შეფასება, მხოლოდ მიმოხილვა.

ნინია კაკაბაძე



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II-ის საახალწლო მილოცვა



ანდრეა ბოჩელი და სოფო ნიჭარაძე ბათუმში გამართულ კონცერტზე

ჩემგან არ გესწავლებათ და ამბობენ, ახალ წელს როგორც შეხვდები, ისე გაატარებ მთელ მომდევნო წელსო. შარშან კარერასთან და სოფო ნიჭარაძესთან ერთად შევხვდით ახალ 2010-ს და წლის მიწურულს დომინგო ჩამოვიდა. ნიჭარაძემ მთელი წლის განმავლობაში მონატრების მიზეზი არ მოგვცა. წელს ისევ ნიჭარაძე, ბატონი ანდრეა ბოჩელი, პატრიარქი და პრეზიდენტი – მათთან ერთად გავაცილეთ 2010-ის ბოლო წუთები და შევხვდით 2011-ს. წლის განმავლობაში ეს წმინდა სამეული: სოფო ნიჭარაძე, საქართველოს პატრიარქი და საქართველოს პრეზიდენტი გაგვყვება. აი, ვინ შეცვლის ანდრეა ბოჩელის (და კრის დებურგს) – საკითხავი ეს არის?!

რამდენიმე საკითხი, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით ჩნდება ხოლმე საახალწლო დღეებში. მთელი წლის განმავლობაში ჩემი სახლის ტელევიზორი რომ არ ჩაირთოს, ერთი

მავნე ტრადიციის შესაბამისად, 31 დეკემბრიდან ირთვება და რამდენიმე დღის განმავლობაში გუგუნებს. ზოგს ახალ წელთან ერთად ახალი ცხოვრების, ახალი ეტაპის დასაწყისის მოლოდინი აქვს; აი, მე კი, ყოველ ახალ წელს, რომელიმე სატელევიზიო არხზე მაინც, კარგ გადაცემას ველი. თინეჯერობის ასაკის შემდეგ გადავეჩვიე საახალწლო წვეულებებზე სიარულს და დავრჩი ტელეეკრანის ამარა. ერთი შევნიშნე, სატელევიზიო ჟურნალისტები საკუთარ ბენეფისს აწყობენ. მთელი წლის განმავლობაში ეკრანზე რომ არ ჩანდნენ, ვიფიქრებდი, ამათაც უნდათ გამომზეურება-მეთქი, მაგრამ... როგორ ხვდებიან ჟურნალისტები ახალ წელს, ჟურნალისტები შვილებთან ერთად, ჟურნალისტები მშობლებთან ერთად, ჟურნალისტები მეკვლევდ ოჯახში, ჟურნალისტები სასაცილო სიტუაციებში ე.წ. „კურობების“ განყოფილებაში, ჟურნალისტების

დამზადებული გოზინაყი, ვის უყვარს ჩურჩხელა, ვის რამხელა ნაძვის ხე უდგას სახლში, ვისი „ვერხუშკა“ ჯობს და ა.შ. ერთი სიტყვით, თუ რამე საიდუმლო დაგვიტოვა „ცხოვრებისეულმა“ („ჟინენი“) ტოკ-შოუებმა ჟურნალისტების შესახებ, 31 დეკემბერს ყველაფერი შევიტყვეთ. „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ზ. შენგელიას მიერ დანერგილ ძველ ტრადიციას არ უღალატა და საახალწლო ჰიმნი ჩაწერა, მოდერნისტული ელემენტებით – ბავშვებთან, ანუ შვილებთან ერთად. ერთი სიტყვით, სატელევიზიო მედიის წარმომადგენლებმა საახალწლოდ თვითრეპრეზენტაცია მოახდინეს.

ყველას გახსოვთ დრო, როდესაც ყველა სატელევიზიო არხი გვაჩვენებდა „ბედის ირონიას“ და უკანასკნელ წლებში „ბედის ირონია 2“-ს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსულ-ქართული ურთიერთობის სიმწვავემ პიკს მიაღწია, საბედნიეროდ, ეს ფილმები

ჩაეხსენით საახალწლო ტვ-ბადიდან. ახლა არ ვიცი, რა მიზეზით, ან რომელ სოციოლოგიურ გამოკითხვას ვეყრდნობით, მაგრამ ფაქტია, რომ სათითაოდ ყველა არხი საახალწლო განწყობის შესაქმნელად ქართულ ფილმებს იყენებს. „ლონდრე“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „სიყვარული ყველას უნდა“ და (წელს არ მინახავს, მაგრამ სავარაუდოდ, იქნებოდა) „კუჩხი ბედინერი“. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე, ზამთრის სიცივიტო შეწუხებულს, პრაქტიკულად, შიშვლად მოტანტალე ლონდრეს ყურებისას, მხოლოდ ერთი ნატვრა მიტრიალებს ხოლმე თავში – ნეტავ, ზაფხული იყო! თუმცა, რა ვიცი, იქნებ ვინმეს სწორედ შიშველი სხეულების ყურებისას ექმნება საახალწლო სიმყუდროვის განცდა.

ისევ ახალი წლის ღამეს დაეუბრუნდეთ. პირველი და თვალში საცემი კო-

დათ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საახალწლო საჩუქარი ტელემაყურებლებისათვის. გმადლობ, ბატონო გია, საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიური სენტიმენტების გაღვივებისათვის.

იგივე და არანაკლები ეფექტურობით შეგვისრულა, მაგრამ განსხვავებული ფორმით გადაგვისროლა მაია ასათიანის საახალწლო გადაცემამ საბჭოთა წარსულში. ძველი ქართული კინოპიტების მუსიკალური ნომრები თანამედროვე შესრულებით. თუმცა არ იფიქროთ, რომ ეს რემიქსები იყო. ამ მუსიკალურ ნომრებს ახალგაზრდა საესტრადო მომღერლები ასრულებდნენ ძველ სტილში. მედია ჯაფარიძის, ანუ ქეთოს როლში მაია ასათიანი იყო და სწორედ ის წარმოგვიდგენდა წარსულის აჩრდილებს. თუკი საესტრადო ვარსკვლავების ერთფეროვნება ობიექტურად გასაგებია, მათ რეპერტუარს უკვე ძალიან სუბიექტური მი-

და არც „ხალადეცი“. ყველა ნაძვის ხეს დგამს, ერთმანეთს საჩუქრებს ჩუქნის და ა.შ. იმ ცნობილი ადამიანების არ მიკვირს, რომელნიც ვერაფერ ორიგინალურს ვერ ყვებიან, მაგრამ ვინც ამ გადაცემებს თუ რეპორტაჟებს ამზადებს, იმათი კი გამკვირვებია, ნეტავ რას ელიან? რას მოისმენენ ახალს? ესეც ძველი, დაშტამპული აზროვნების შედეგია, რომ არავის აფიქრდება წავიდეს და გაიგოს, როგორ ხვდება ახალ წელს ამ ქვეყნის ნებისმიერი, რიგითი მოქალაქე, მაგალითად, იმ რამდენიმე ათასიდან ერთი მაინც, რომელიც გაჭირვების ზღვარს მიღმა იმყოფება. მაშინ, როდესაც ჩვენი სახლები გოჭებით, ინდაურებით, ქათმებით, ღორის კანჭებით ივსება, კარგი იქნება, თუკი ვინმე შეგვახსენებს, რომ არის ოჯახები, სადაც საახალწლოდ ნიგოზსაც ვერ ყიდულობენ. აბა, რამდენჯერ უნდა მოვისმინოთ და ვნახოთ

■ პირველი და თვალში საცემი კომიზმი, რომელიც ჩვენს სიმწირესა თუ სიპატარავზე მიგვითითებდა, ის იყო, რომ სამ ნაციონალურ არხზე პარალელურ რეჟიმში, ერთი და იგივე საესტრადო მომღერლები სხვადასხვა კოსტიუმში და სხვადასხვა ადგილიდან გვიმღეროდნენ.


მიზმი, რომელიც ჩვენს სიმწირესა თუ სიპატარავზე მიგვითითებდა, ის იყო, რომ სამ ნაციონალურ არხზე პარალელურ რეჟიმში, ერთი და იგივე საესტრადო მომღერლები სხვადასხვა კოსტიუმებში და სხვადასხვა ადგილიდან გვიმღეროდნენ. მაგრამ ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს – ეს ვართ, რაც ვართ. აი, სუბიექტური მიზეზი სხვა რამეს აქვს...

შემამფოთებლად ანაქრონისტული, გნებავთ რეტროგრადული იყო „საზოგადოებრივი არხის“ გადაცემაკონცერტი, სავარაუდოდ სახელწოდებით „გალუბოი აგანიოკ“. სტუდიაში თუ დარბაზში 50-იანი წლების სახელმწიფო ტელევიზიის აჩრდილები დაიარებოდნენ. 31 დეკემბრის ღამემ თითქოს დროის მანქანით წარსულში გადაგვიყვანა და სწორედ ეს გახლ-

ზეზი აქვს – საბჭოთა საქართველოს ნოსტალგია. თუმცა რა არის ამ მიზეზის მიზეზი, ეს უკვე სერიოზული წერილის საგანია. ახლა ხომ შევთანხმდით, მხოლოდ მიმოვიხილავდით საახალწლო ტელემაუწყებლობას.

სატელევიზიო გადაცემების ფონზე, ძალიან უსუსურად გამოიყურებოდა, უფრო სწორად, ისმინებოდა რადიოეთერი. „როგორ ხვდებიან ხელოვანები ახალ წელს?“ – ყური მოგვარი ასეთ გადაცემას. ყოველ წელს ვიკვლევთ და ვიგებთ, როგორ ხვდებიან ცნობილი ადამიანები ახალ წელს და ვერც ერთხელ ვერაფერი განსაკუთრებული და ორიგინალური ვერ გავიგეთ. ან კი როგორ უნდა შეხვდნენ? რა უნდა გააკეთონ განსაკუთრებული? გოზინაყს ვერაფერი შეცვლის იმიტომ, რომ ყველაზე გემრიელია, არც საცივია ცუდი

– „როგორ ხვდებიან ახალ წელს ხელოვანები?!“

აი, ხომ ხედავთ, მაინც შემომეპარა პათეტიკური სენტიმენტები. იმიტომ, რომ არც ახალი წელი მიყვარს და არც დღესასწაულები. ქართული მედია კი წლის ბოლოსთვის შემონახული ფინანსური თუ ინტელექტუალური რესურსებით სიახლის თუ მომავლის იმედის ყველა მოლექულას საბოლოოდ ანადგურებს. ადამიანი თავის ნამდვილ სახეს ექსტრემალურ სიტუაციაში აჩენს, ასეა ჩვენი მედიის საქმეც. თითქოს რას უნდა ელოდო ერთწლიანი დაკვირვების შემდეგ, წლის ბოლოს, მაგრამ ახალი წლის ექსტრემალურ ღამეს მისი ნამდვილი სახე ყველაზე მკაფიოდ ჩანს. გილოცავთ ახალ 2011 წელს, უკეთესს გისურვებთ, სოფო ნიუარაძეზე უკეთესსაც კი. 

ჩაო და მახადონაო



გიო ახვლედიანი

მგონი, საქმე მართლაც იქით მიდის, რომ წლეულს პრემიერ-ლიგაში კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი გამოჩნდება. ეს გასაკვირი არაა, მსოფლიოს ყველაზე ღონიერი საფეხბურთო ლიგის კლუბებში ახალ მწვრთნელს თითქმის ყოველდღე ეძებენ.

ამ სეზონში კლუბთა მენეჯერები ყოველგვარი მიზეზითა თუ უმიზეზოდ ითხოვენ სამსახურიდან მშვენიერ მწვრთნელებს და მათ ნაცვლად მოჰყავთ ასევე მშვენიერი მწვრთნელები, ან არამშვენიერი მწვრთნელები და დროებითი შემცვლელები, რათა სეზონის ბოლომდე მათიონ გუნდი და მერე კი მართლა მშვენიერი მწვრთნელი მოიყვანონ, რომელსაც ასევე იოლად შეელებიან, თუკი სულ მალე გუნდის ცხრილის პირველ ხუთეულში, უფრო კი ოთხეულში შეტენვას ვერ მოახერხებს.

წლეულს ისეთმა კაცებმა დაკარგეს სამსახურები და ისეთ კაცებს ემუქრებათ სამსახურის დაკარგვა, რომ პირდაპირ ცრემლი მოგადგება თვალზე. მაგრამ რას იზამ, პრემიერ-ლიგაა და კლუბების ახლანდელი პატრონებიც სრულად არ ჰგვანან ძველ პატრონებს.

თქვა კიდევ სერ ალექს ფერგიუსონმა, იმათ, ვინც სამსახურები დაკარგეს, ფეხბურთში დასამტკიცებელი არაფერი აქვთ, ისინი დიდებული სპეციალისტები არიან, მაგრამ ახლანდელ, უცხოელ პატრონებს ძველთაგან განსხვავებით, მოთმინება არა აქვთო.

ეს, ალბათ, დიდმა ფულმა იცის.

სულ ბოლო დათხოვნილი „ლივერპულში“ სულ რაღაც ექვს თვეს ნამუშევარი როი ჰოვსონი გამოდგა. მისი სკამი კენი დალგლიშმა დაიკავა. ადგილის სიმცირის გამო, იმის მოყოლა გაგვიჭირდება, თუ ვინ გახლავთ ეს ორი კაცი ფეხბურთისთვის, თუმცა კი დალგლიშის ხელში „ლივერპულმა“ უკვე მოასწრო ხუთ დღეში ორი თამაშის წაგება და რა აზრი აქვს ხოლმე ასეთ ცვლილებას, ძნელი გამოსაცნობია.

ჰოვსონს წინ უსწრო „ბლექბერნის“ მენეჯერმა სემ ალარდაისმა, დიდ სემად წოდებულმა, რთული ხასიათისა და არცთუ უმნიშვნელო ფინანსური წარსულის კაცმა, მაგრამ უდავოდ პირველ სამთაგან ერთმა საუკეთესო ინგლისელმა მწვრთნელმა.

თვით ფაბიო კაპელომ თქვა, წლევიანდელი სეზონი მისი დიდებული სამწვრთნელო აზროვნების ნიშნითაც მიდისო.

მერე რა, რომ მისი „ბლექბერნი“ ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებოდა? მიეცით დღევანდელი „ბლექბერნის“ ფეხბურთელები ვინმე სხვას და რაც გამოვა, ვნახოთ. აი,



დგას მის ადგილას დროებითი მწვრთნელი და რა? არც არაფერი იცვლება. მეტიც, შედეგები უარესია.

საქმე ისევ კლუბის პატრონებშია.

გასულ შემოდგომით „ბლექბერნი“ მძლეთამძლე ინდურმა ოჯახმა იყიდა. რაოს საგვარეულო ძალიან მდიდარია და საერთოდაც, „ბლექბერნი“ პირველი პრემიერლიგური კლუბია, ინდოელებმა რომ შეიძინეს.

ჰოდა, რაობმა პირველი რაც გააკეთეს,

ის იყო, რომ დიდი სემი მოხსნეს, აქაოდა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 1-7 წააგოო. ვის აღარ წაუგია „მანჩესტერთან“ 4, 5, 6 ბურთით? და საერთოდ, ვის არ წაუგია? მაურინიომ წააგო, 0-5 „ბარსელონასთან“. მაგრამ ის ხალხი, ვინც პირველად ებმება საფეხბურთო საქმეში, ხშირად ცოტა უცნაურად ფიქრობს ფეხბურთზე.

რაობმაც გადანყვიტეს, იმისთვის რომ პატარა კლუბი წამოეჭაჩოთ, დიდი სახელი გვინდაო.

სწორედ ასე გამოძვრა ჭორების ხლართიდან დიეგო მარადონა, რომელმაც სწორედ გასულ კვირას გამოაცხადა, თებერვალში ლონდონში ჩავდივარ და ერთ ინგლისურ კლუბს უნდა მოველაპარაკო მწვრთნელობის საკითხზე, თავს არ ვიკლავ, მაგრამ ვნახოთ, რას შემომთავაზებენო.

ემშაკობს დიეგო.

ზაფხულიდან მოყოლებული, თავსაც იკლავს და ინგლისში სიარულსაც მოუხშირა, რადგან იცის, აქ მწვრთნელებს ისეთი ხელფასები აქვთ, რომ არავის დაესიზმრება და თანაც, თუ მწვრთნელის სახელი ისე უღერს, როგორც მისი სახელი, იქ კარგი თანხის მოხსნაც შეიძლება.

დიეგოს კი დიდი გასავალი აქვს: ოჯახი, ოჯახები, დიეგოური ცხოვრება. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ აგვისტოში „ასტონ ვილას“ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა „ფულემსაც“ ახსენებენ, მაგრამ, ცხადია, ხალხი, ვისაც ის უნდა, „ბლექბერნშია.“

საქმე ეგ არის მხოლოდ, რამდენ ხანს გააჩერებენ დიეგოს მწვრთნელად.

ისე კი, შოუ დიდებული იქნება, პრემიერლიგას უყვარს, როცა მწვრთნელი შოუს აწყობს. აგე, მაურინიო დღემდე ასსოვთ.

ისე, რაც დიეგოს წაუგია, ოთხი, ხუთი... რა ვიცი, რამდენი ბურთით. როგორც მწვრთნელს, რასაკვირველია. დიდი სემიც ეგრე იყო. ფეხბურთი, საერთოდ, ეგრეა. ■

მე ხომ თბილისში პიჩვანად ჩამოსუდი უსოიდი ვიყო

სიხილან "თბილისში სასაიხნო მაჩმუხაბი". ტაქსტი პიჩვანი



კახა თოლორდავა

მე რომ თბილისში სულ პირველად ჩამოსული ვინმე უცხოელი ვიყო და აქ ყოფნის პირველსავე დილას, სრულიად შემთხვევით, ქალაქში უაზროდ ყილისას, მშრალი ხიდის გავლით ზაარბრიუკენის მოედანზე მოვხვდე და წარმოდგენა არ მქონდეს, რა მიმართულებით გავაგრძელო გზა, ალბათ, ინტუიციას მივეწოდებოდი და მოსე გოგიბერიძის ქუჩას ავუყვებოდი. რა თქმა უნდა, არ მეცოდინებოდა ამ ქუჩის დასახელება, მაგრამ ეგ არაფერი, რადგანაც სულ რამდენიმე წუთში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა ისე მომიხიბლავდა თავისი რკინის აივნებიანი აგურის სახლებით, რამდენიმე არცთუ ურიგო რკინისავე ჭიშკრით და ხელმარცხნივ სახლზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული სხვენებით, რომ უკვე დარწმუნებული ვიქნებოდი – სწორად მოვიქეცი ქალაქის ამ უბანში რომ შემოვხეტე და ხიდზე მოვაჭრებთან არ დავრჩი. წინამძღვრიშვილის ქუჩას თითქმის ბოლომდე ჩავუყვებოდი, მაგრამ მერე ისევ ამავე ქუჩას ამოვუყვებოდი უკან და ტყვიავის ქუჩაზე ჩავუხვევდი სახლების ფასადებზე ორნამენტებისა და ბარელიეფებისათვის თვალის შესავლებად. ტყვიავის ჩიხში ოდნავ გაკვირვებულს დამტოვებდა გვერდზე გადახრილი აგურის სახლი და უკვე წინამძღვრიშვილზე დაბრუნებულს, ერთ-ერთი ეზოს თალიანი შესასვლელი ლომის ბარელიეფით თალის თავზე, სადაც გაგებდავდი, შევიდოდი, და მერე კი ინტერესით დავუწყებდი თვალიერებას იქვე, თალის ქვეშ შეყუჟულ, კედელზე აკრულ ერთი ციცქნაკიბებიან საცხო-

ვრებელს. არა, ეზოში ბოლომდე შესვლას ჯერ ვერ გაგებდავდი, დარწმუნებული არ ვიქნებოდი, ადგილობრივების მხრიდან დაუპატიჟებელი უცხოელებისადმი კეთილგანწყობაში, მაგრამ რომ იცოდეთ, როგორი სურვილი მექნებოდა თუნდაც რამდენიმე წამით შემეჭყიტა იმ ეზოებში, დაგრაგნილი რკინის თუ ხის კიბეებით მოვხვედრილიყავი იმ ერთმანეთში შემავალ-გამავალ აივნებზე, შემეჭყიტა

ერთი შეხედვით, საკმაოდ არამდიდრულ უბანში, ყველაზე მეტად „მერსედესების“ რაოდენობა გამაკვირვებდა და, ალბათ, სწორედ ეს მიბიძგებდა ამ ახალი სივრცის გამოსაკვლევად.

უცნობ ბიოგრაფიებში და ოჯახურ დრამებში. არა, ამას ახლა ვერ გაგებდავდი! ამის მაგივრად ქუჩაში დავბრუნდებოდი, წინამძღვრიშვილზე, მარცხნივ გაეხედავდი ქურდიანის მოკლე ქუჩას, დაფიქრდებოდი ჩამეხვია თუ არა, მაგრამ ისევ და ისევ ინტუიციის კარნახით ხელმარჯვნივ ავუყვებოდი ჩერნიშევსკის ქუჩას ორსართულიანი სახლის თავზე დასკუ-

პებული „ლუკოვიცისათვის“ თვალის შესავლებად. ცოტა ხანს ვიდგებოდი და ვუყურებდი ამ სახლს, შევეცდებოდი, წარმომედგინა ვის შეეძლო ეცხოვრა აქ ადრე და ვინ ცხოვრობდა ახლა, მერე კი პატარა სკვერის გასწვრივ გავაგრძელებდი გზას ივანე ჯავახიშვილის ქუჩაზე, ისევ და ისევ დავტყებოდი ცალკეული შესასვლელების სილამაზით, ადგილ-ადგილ, ეზოებში შეხედვისას, გავიკვირვებდი იქაურების უგემოვნობას, დაფიქრდებოდი ჩამეხვია თუ არა ხელმარცხნივ, კოლაუ ნადირაძის ქუჩაზე და ჩავუხვევდი კიდევ ქუჩის ბოლოში, ხელმარცხნივ მდგარი, ერთ-ერთი სახლის სილამაზით მოხიბლული, ხოლო იმ სახლის გვერდზე აღმოვანენდი კიდევ უფრო ლამაზ, ხის ფასადიანი სახლებით გარშემორტყმულ ეზოს, ორი უზარმაზარი ხით იმ ეზოს შუაგულში. ასე ვიდგებოდი ცოტა ხანს, იქაურობით მონუსხული, მერე კი ისევ ჯავახიშვილის ქუჩაზე დავბრუნდებოდი და მარჯვნივ ავუხვევდი. ასე მოვხვედებოდი ტურგენევის ქუჩაზე, რომლის გავლითაც არნოლდ ჩიქობავას ქუჩაზე გავიდოდი, მარჯვნივ გაუხვევდი, რამდენიმე მეტრში ხელმარცხნივ შევუყვებოდი საბჭოს შესახვევს და ზემოთკენ გავაგრძელებდი გზას. საბჭოს და გოცირიძის გზაჯვარედინზე უკვე მეცოდინებოდა ლაბირინთში რომ მოვხვდი, თუმცა ეს არ შემამინებდა, პირიქით, თავგადასავალს მოწყურებული, ბრმად შევუხვევდი მარცხნივ და კიდევ ერთ გზაჯვარედინზე მისული, წვერებიანი, ჩამოხეულ ტანსაცმლიანი ველოსიპედისტის და-



ნახვაზე, მარჯვნივ აუფხვედი და ქვით მოკირწყლულ აღმართს შევუდგებოდი, დაბალი სახლების ფანჯრებიდან თუ კედლებიდან ცხვირგამოყოფილი მიღებიდან ამოსულ ბოლში გახვეულ ქუჩას. იმ ქუჩის ბოლოში გასულს, ლამაზი სახლის აივნიდან ძალიან დამიყვება, ხოლო თვითონ ის ქუჩა, ტერენტი გრანელის, ორი მიმართულებით შემომთავაზებდა სეირნობის გაგრძელებას. ხელმარჯვნივ აღმართს აუფხვებოდი, რადგანაც შევამჩნევდი, რომ ეს ქუჩა პირდაპირ ცას ეჯახება. ადგილობრივი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად გამელიმებოდა ერთი ქალბატონის სიტყვებზე, თავის მეზობელს რომ გადასძახა აივნიდან, – უიმე, როგორ გასუქებულა ეს ჩემი კატა ამ შობა-ახალწლებზე, გოგო! – მაგრამ რადგანაც აქაური ენა არ მეცოდინებოდა, ღიმილის გარეშე ფრთხილად დავეშვებოდი ციკაბო დაღმართზე, ქვემოთ გადაშლილი სახურავების ფარდაგის მიმართულებით. ქვემოთ ჩასული, ზურაბ ქვლივიძის ქუჩას აუფხვებოდი და აქ უეცრად მივხვდებოდი (საიდან უნდა ვიცოდე სვანეთის უბნის სიახლოვეს რომ მოხვდები?), რომ გზას თუ გავაგრძელებ ქალაქის სხვა განზომილებაში მოხვდები, – აქ ყველაფერი ბევრად უფრო ქაოტურია და დამამშვიდებელ სიმეტრიას მოკლებულია. და მაინც, სანახავი, ალბათ, აქაც ბევრი უნდა იყოს. ერთი შეხედვით, საკმაოდ არამდიდრულ უბანში, ყველაზე მეტად „მერსედესების“ რაოდენობა გამაკვირებდა და, ალბათ, სწორედ ეს მიბიძგებდა ამ ახალი სივრცის გამოსაკვლევად. რა თქმა უნდა,

ისევ ცას შეტაკებულ ქუჩას აუფხვებოდი, რომელიც ეკლესიის გუმბათით და გუმბათის თავზე ჯვრით მთავრდება და სრულიად მოულოდნელად ლაბირინთის საზღვრებს მიღმა აღმოვჩნდებოდი, მანქანებით გადატვირთულ ქუჩაზე. ისევ და ისევ გავიკვირვებდი ქალაქის ასე მოულოდნელად დაკარგულ სახეს, თუმცა ქუჩის გადაღმა, ფერდობზე შეფენილი განსხვავებული ლაბირინთის დანახვაზე, მაინც მომინდებოდა როდესმე იქაც შეხირება. ამჯერად ამისგან თავს შევიკავებდი და სანაცვლოდ მარცხნივ ჩავუყვებოდი გზას, ისევ ტერენტი გრანელის ქუჩაზე. გზაში აუცილებლად ვიყიდი ერთ აქაურ ცხელ ლავაშს, პირდაპირ საცხობიდან, საიდანაც გამოვარდნილი სუნი გამახსენებდა, რომ ძალიან მომშვიდა და ლეჭვა-ლეჭვით ჩავუვლიდი ეკლესიის შესასვლელთან მოხატულ კედელს და ნამდვილად ვერ გაგბედავდი იმ ცხენოსნებით და აბჯარასხმული მეომრებით მოხატული ჭყეტელა კედლის ფონზე მდგარი ლუდის მყლურნავი კაცებისათვის ფოტოს გადაღებას. სამაგიეროდ, თვალი გამეპარებოდა ჩემს წინ ქუსლების ბაკუნით მიმაველი ქალისკენ და მის ყურებაში გართული ვერც კი შევამჩნევდი, რომ სრულიად მოულოდნელად ქალაქმა ისევ უწინდელი იერი შეიძინა, მანიაშვილის ქუჩაზე. ლავაშით ხელში და კვლავ ლეჭვა-ლეჭვით დავეშვებოდი ამ ქუჩაზე უკვე იმ გადანყვევებით, რომ სასტუმროში დაბრუნების დროც მოვიდა, თუმცა ნინოშვილის ქუჩის კუთხეში აუცილებლად შემაჩერებდა ვერ

სრულიად გამოგნებელი სილამაზის, გაცრეცილ-ფირუზისფერ-ფასადიანი სახლი, მერე კი მის მოპირდაპირე მხარეს, ალბათ, საბჭოთა პერიოდში აღმართული შენობა. ჰო, მანიაშვილის თექვსმეტმეტრე შეფერვებოდი, იმ ლამაზი, ნაგრძელეზული სახლის ფასადის თვალის შესაგულებად. ამის შემდეგ მე უკვე ისევ წინამძღვრიშვილზე ვიქნებოდი, აი იმ ქუჩაზე, ანტიკვარული ავეჯების გამყიდველებს თავისი საქონელი პირდაპირ ქუჩაში რომ აქვთ გამოფენილი. ღმერთო, რომ იცოდეთ, როგორ მომინდებოდა აქ უფრო დიდი ხნით გაჩერება, განსაკუთრებით სტალინის იმ უზარმაზარი სურათის დანახვაზე, სახლის კედელზე რომაა მიყუდებული! სწორედ იმ სურათის თვალიერებისას უკვე მესამედ ჩავყოფდი ფეხს ძაღლის ქაქში, არ ვიცი, რომელ ენაზე შევიკურთხებოდი, ქუჩასვე შევანმნდდი მის მიერ მორთმეულ ქაქს და მიუხედავად ამისა, ძალიან, ძალიან კარგ ხასიათზე ჩავუყვებოდი სუნდუკიანის ულაშაზეს ქუჩას. სრულ სიჩუმეში. აქ უკვე დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ სამშვიდობოს ვარ გამოსული და რომ ჩემი პირველი გასეირნება უცხო ქალაქში კეთილად დასრულდა. მერე კი, ქუჩის ბოლოს წითელ ტრადიციულ ტანსაცმელში (აბა, საიდან მეცოდინებოდა, რომ ეს ჩოხაა, ხოლო თავსაბურავი კი ყაბალახი?) გამოწყობილ ახალგაზრდას დავინახავდი და ალბათ სწორედ ამ დროს ვიგრძნობდი, თუ როგორ მინდა, ამ ქალაქზე უფრო მეტი ვიცოდე.

დაბჰიანაბუდი ჰოზენსაჰი



ლაშა ზულადე, მწერალი

ამ მცირე რეპლიკის დაწერა ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ დეკემბრის ნომრის წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე, უფრო ზუსტად კი, ბატონ პაატა საბელაშვილის ჩანახატის გაცნობის შემდეგ, რომელიც პროექტის, „ჩემი პრეზიდენტის“ ერთ-ერთი ნაწილია. ვადასტურებ რა ჩემს პატივისცემას ხსენებული ავტორის მიმართ, აქვე არ შემოძლია, არ გამოვეხმაურო მისი ტექსტის ფინალურ პასაჟს, რომელიც, ცოტა არ იყოს, უსამართლოდ მეჩვენება.

სტატიის დასასრულს ვიგებთ, რომ ავტორი არ თვლის მიხეილ სააკაშვილს თავის პრეზიდენტად, რაკი მან თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ცნობილი ჰომოფობის, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის სახელი უწოდა. ცხადია, შესაძლოა უამრავი მიზეზი არსებობდეს იმისა, თუ რატომ უნდა გაღიზიანებდეს (ან არ გაღიზიანებდეს) მიხეილ სააკაშვილი და ავტორის პოზიციაც, როგორც იტყვიან, „კერძოა“, მაგრამ მე, როგორც საქართველოს ერთმა (2008 წლის ომის დროს ფრიად შეშინებულმა) რიგითმა მოქალაქემ მაინც ვიგრძენი გარკვეული უხერხულობა პოლონეთის გარდაცვლილი პრეზიდენტის მიმართ. შესაძლოა, ის მართლაც ყოფილიყო შემჩნეული „არაზომიერ“ კონსერვატივიზმში, მაგრამ თქვენი არ ვიცი და მე კი ძალიან მიკვირს, რატომ უნდა დაგამახსოვრდეს ეს კაცი მხოლოდ როგორც „კაცთმოძულე“ და არა იმით, თუ როგორ დადგა შენს გვერდით შენთვის ყველაზე მძიმე დროს. ცხადია, ჰომოფობია (ისევე, როგორც

„ფობიათა“ სხვა მრავალი პროფილი) პრობლემაა და აქ სადავოც არაფერია, მაგრამ არა მგონია, სამართლიანი იყოს ლეხ კაჩინსკის მხოლოდ „ასე“ დახასიათება. არც ის მგონია სამარცხვინო, რომ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი ეწოდა, რომელიც, ვფიქრობ, აბსოლუტურად ობიექტური მაღლიერების ჟესტი იყო და არა, ვთქვათ, მლიქვნელურ-ვულგარული, როგორც ჯორჯ ბუმის სახელობის ქუჩის შემთხვევაში.

გამოვტყდები, ერთგვარი უცნაური ფატალისტური სენით გახლავართ



დაავადებული – ზოგიერთისა არ იყოს, მეც მჯერა, რომ დაწერილ ტექსტს (როგორი ხარისხისაც არ უნდა იყოს იგი) იმაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. პარადოქსია, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო ტექსტებსაც კი შესწევთ იმის ძალა, რომ გარკვეული სტერეოტიპები შექმნან, და არა მხოლოდ სტერეოტიპები, ისტორიაც კი. ლეხ კაჩინსკიზე საქართველოში ბევრი არაფერი დაწერილა და, ცოტა არ იყოს, მეწყინა, როცა ვიფიქრე, რომ ზოგიერთები, ვინც „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერს წაკითხავდნენ, ზემოთ ხსენებული ავტორის ბრალდება-სტერეოტიპის მიხედვით დაიმახსოვრებდნენ ამ ადამიანს. ჩვენ ხომ უამრავი უცნაური თვისება გვაქვს: მაღლიერების გამოხატვა სათაკილო საქმედ მიგვაჩნია, შეგვიძლია, უსწრაფესად დავივიწყოთ, როგორც ღირსეული, აგრეთვე, უღირსი და ცუდი საქციელი (ეს თანაბრად პრობლემატურია) და ასევე ჩქარა-ჩქარა გვჩვევია მოვლენებისთვის თუ ადამიანებისთვის არასწორი სახელების დარქმევა...

და ბოლოს, ზოგადი კომენტარის სახით: აგრესიული ჰომოფობები (განსაკუთრებით – შინაურები) მეც მაღიზიანებენ, მაგრამ უკვე არანაკლებ კომიკურად გამოიყურებიან მათთან აქტიურად დაპირისპირებულნიც – ორივე მხარე მხოლოდ „სუბიექტური სექსუალური პრიზმიდან“ აღიქვამს სამყაროს. თვალსაწიერი კი, დამეთანხმებით, ორივე შემთხვევაში მეტად ვინროა.



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშუსრი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE
